

თამარ გაბეშია

**ანაშაულის მცდელობის დასჯადობის თავისებურებები ქართულ და გერმანულ
კანონმდებლობაში**

**წარმოდგენილია საჯარო მმართველობის/სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად**

**აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
თბილისი.0178. საქართველო
ივლისი 2019**

საავტორო უფლება 2019 თამარ გაბეშია

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებთ, რომ გავეცანით თამარ გაბეშიას მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: „დანაშაულის მცდელობის დასჯადობის თავისებურებები ქართულ და გერმანულ კანონმდებლობაში“ და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ხელმძღვანელი: ზურა მაცაბერიძე

თარიღი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი 2019 წელი

ავტორი: თამარ გაბეშია

დასახელება: დანაშაულის მცდელობის დასჯადობის თავისებურებები ქართულ და გერმანულ კანონმდებლობაში

ფაკულტეტი : იურიდიული

ხარისხი: საჯარო მმართველობის / სამართლის მაგისტრი

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

თამარ გაბეშია

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

სამართლის მეცნიერებაში მნიშვნელოვანია ნაშრომი შედარებით-სამართლებრივ ანალიზზე ავაგოთ და გამოვკვეთოთ საკითხის აქტუალობა, პრობლემური მხარეები. ნაშრომში გავეცნობით ქართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობას დაუმთავრებელ დანაშაულთან, კერძოდ დანაშაულის მცდელობასთან მიმართებით, მის მიდგომებს და შედარებით-სამართლებრივ ანალიზს გავაკეთებთ გერმანულ კანონმდებლობასთან. ჩვენი მიზანია შევაფასოთ, გავიზიაროთ, შევადაროთ ან უარვყოთ გერმანული სისხლის სამართლის საკითხები.

კვლევაში გამოვლინა დანაშაულის მცდელობის პრობლემური და აქტუალური საკითხები, როგორც გერმანულ ასევე ქართულ სისხლის სამართალში. პრობლემების და აქტუალობის უკეთ გასარკვევად კვლევაში გამოყენებულია, როგორც ქართველი მეცნიერების მიერ ჩამოყალიბებული სამართლებრივი მსჯელობები და თეორიები ასევე გერმანელი მეცნიერების შეხედულებები და მათი ნაშრომები, ასევე სასამართლო პრაქტიკა და ანალიზი.

ნაშრომში განხილულია დანაშაულის მცდელობის ინსტიტუტი, პრობლემური საკითხია ევენტუალური განზრახვა, შედარებით-სამართლებრივი ანალიზი გაკეთდა ობიექტური და სუბიექტური თეორიების ქართულ და გერმანულ მოდელებზე.

ნაშრომში დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის საფუძვლად ობიექტური თეორიაა მიჩნეული, რაც მიჩნეულია ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიად.

ავტორი მიიჩნევს რომ დანაშაულის მცდელობა ქართულ სამართალში ობიექტური თეორიის საფუძვლად აღმოცენდა. ნაშრომში არის რეკომენდაცია, რომელიც დანაშაულის მცდელობის ცნების ახლებურ განსაზღვრებას აყენებს, რაც ხელს უწყობს ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

კვლევაში განხილულია დაუმთავრებელი დანაშაულის სუბიექტური და ობიექტური შემადგენლობა, ყველაზე აქტუალური და პრობლემური საკითხი არის სუბიექტური შემადგენლობა კერძოდ ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობა, ქართულ სისხლის სამართალში და სასამართლო პრაქტიკაში გაბატონებული იყო შეხედულება რომელიც გულისხმობს დანაშაულის მცდელობას პირდაპირი განზრახვით. კვლევაში გაზიარებულია იმ მეცნიერთა შეხედულებები რომლებიც არ ეთანხმებიან არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობის დასჯადობას, თუმცა არსებობს მეცნიერთა ნაწილი, რომლებიც ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობას ასაბუთებენ. სამართლებრივი კვლევის დროს არ გამოიკვეთა ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის დასჯადობის აუცილებლობა, ვინაიდან ქართულ სისხლის სამართალში არსებობს საფრთხის შემქმნელი დელიქტები, ამიტომაც ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის დასჯადობის საჭიროება არ არსებობს, ამის საჭიროებაზე ვერ მიუთითებს ვერც სასამართლო პრაქტიკა.

Abstract

In law science it is important to build the thesis on comparative-legal analysis and to research the actual character of the issue, the problematic sides. In the thesis we will be introduced to uncompleted crime of criminal law of Georgia, in particular concerning the attempt of the crime, its approaches and comparative-legal analysis with German legislation. Our aim is to evaluate, share, compare or neglect German criminal law issues. The research showed problematic and actual issues of the attempt of the crime, as in German as well as in Georgian criminal law. To better unveil problems and actual characters in the research there is used, as legal discussions developed by Georgia scientists and theories, also opinions of German scientists and their works, also court practice and analysis.

In the thesis there is discussed institute of attempt of the crime, there is problematic issue eventual intention, comparative-legal analysis was made based on German and Georgian models of objective and subjective theories.

In the thesis as basics of uncompleted crime is considered objective theory, which is considered as guarantee of the protection of human rights.

The author considers that attempt of the crime in Georgian law was emerged based on objective theory. In the thesis there is recommendation, which stands the new definition of sense of the attempt of the crime, which supports developing of unified practice.

In the research there is discussed subjective and objective composition of the uncompleted crime, the most actual and problematic issue is subjective composition, in particular possibility of eventual purposeful attempt, in Georgian criminal law and court practice there was dominated opinion which means crime attempt with direct intention.

In the research there is shared opinions of those scientists who don't agree punishable character of attempt of the indirect intentional crime, however there is part of the scientists, who justify possibility of intentional attempt with eventual intention. While legal research there was not seen necessity of punishment of crime attempt with eventual intention, because in Georgian criminal law there exists misdeed that create danger, that's why there is no necessity of punishment of crime attempt with eventual intention, there is no court practice that indicates on the necessity of.

შინაარსი

1. დანაშაულის მცდელობის ცნება, ნიშნები და სახეები

1.1 დანაშაულის მცდელობის ცნება და მისი ნიშნები

1.2 დანაშაულის მცდელობის ცნება და ნიშნები გერმანულ სისხლის სამართალში

1.3 დანაშაულის მცდელობის სახეები ქართულ სისხლის სამართალში

1.4 დანაშაულის მცდელობის სახეები გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით

2. დანაშაულის მცდელობის შესახებ განვითარებული შეხედულებები ქართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში

2.1 მცდელობის ობიექტური თეორია

2.2 ახალი ობიექტური თეორია

2.3 მცდელობის შერეული თეორია

3. დანაშაულის მცდელობის სუბიექტური და ობიექტური მხარის თავისებურებანი

3.1 შეცდომის ზეგავლენა დანაშაულის მცდელობად კვალიფიკაციაში

3.2 ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობა

3.3 დანაშაულის მცდელობის სუბიექტური მხარის თავისებურებები გერმანული კანონმდებლობის მიხედვით

3.4 დანაშაულის მცდელობის ობიექტური მხარის ნიშანი

3.4.1 მცდელობის მატერიალურ სამართლებრივი საფუძველი

3.4.2 დასჯადობა (დანაშაულის მცდელობის ობიექტური ნიშანი)

4. დანაშაულის მცდელობის დასჯადობის თავისებურებანი.

4.1 უვარგისი მცდელობის დასჯადობა ქართულ სისხლის სამართალში

4.2 უვარგისი მცდელობა და მისი დასჯადობა გერმანულ სისხლის სამართალში

4.3 დანაშაულის მცდელობა თანამონაწილეობის და თანაამსრულებლობის ფორმით ჩადენილ დანაშაულებში ქართულ და გერმანულ სისხლის სამართალში

4.4 მცდელობის დასჯადობა უმოქმედობის დელიქტებში

შესავალი

კვლევა ხელს შეუწყობს დაუმთავრებელი დანაშაულის მცდელობის შესახებ გაბატონებული და პრობლემური შეხედულებების ახლებურ გააზრებას. დანაშაულის მცდელობა დაუმთავრებელი დანაშაულის მეორე საფეხურია, დანაშაულის მომზადებას თან სდევს, მას სსკ-ის მე-19 მუხლი არეგულირებს და დეფინიციაში განხილულია როგორც განზრახი ქმედება, რომელიც უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. „დანაშაულის მცდელობა ყველა შემთხვევაში გვექნება, როცა განზრახული შედეგი ვერ განხორციელდა მიუხედავად მიზნისა, რომელმაც ხელი შეუშალა შედეგის გამონწვევას“

ძველი ქართული და გერმანული სისხლის სამართალი არ იცნობდა დანაშაულის მცდელობის ინსტიტუტს, ეს ცნება ჩამოყალიბდა მე-16 საუკუნეში, პირველად გერმანულ კანონმდებლობაში, ხოლო შემდეგ ქართულში. მნიშვნელოვანი საკითხი არის ის რომ, დანაშაულის მცდელობის დასჯადობა თავიდან ხდებოდა ობიექტური თეორიით ხოლო შემდეგ სუბიექტურმა თეორიამ ჩაანაცვლა, საბოლოოდ ყველაზე ხელსაყრელი შერეული ანუ სუბიექტუ-ობიექტური თეორია გახდა. ამიტომაც ნაშრომში ერთი თავი ეხება დანაშაულის მცდელობის შესახებ ჩამოყალიბებული სუბიექტური და ობიექტური თეორიების განხილვას.

ქართული სისხლის სამართლის მეცნიერებაში მრავლად არის დანაშაულის მცდელობის შესახებ ნაშრომები, რომლებიც იკვლევს ამ საკითხის აქტუალურობას და პრობლემატიკას, თუმცა არის ისეთი საკითხები რომელთა ხელახლა გადახედვა განხილვა და პრობლემების ახლებურად გააზრება კვლავაც შესაძებელია. საკვლევი თემაც იმაში მდგომარეობს რომ დანაშაულის მცდელობის ანალიზი გაკეთდეს ქართული და გერმანული კანონმდებლობის და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე.

ნაშრომში თავდაპირველად განხილულია დანაშაულის მცდელობის ცნება და მნიშვნელობა, როგორც ქართულ ასევე გერმანულ სისხლის სამართალში. კვლევაში განხილული თეორიები დანაშაულის მცდელობის კვალიფიკაციისთვის გამოიყენება. მცდელობის სუბიექტური თეორია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხია ამ ნაშრომში რადგან ზუსტად ამ საკითხში იკვეთება ნაშრომის მთავარი მიზანის ევენტუალური განზრახვის ელემენტი. ქართულ სისხლის სამართალში გაბატონებულია მოსაზრება დანაშაულის მცდელობის მხოლოდ პირდაპირი განზრახვით არსებობის თაობაზე, თუმცა ევენტუალური განზრახვისთვის დანაშაულის მცდელობა სისხლის სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. სამართალში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, მეცნიერთა ერთი ნაწილი მხარს უჭერს ევენტუალური განზრახვის არსებობას, მეორე ნაწილი კი გამოარიცხავს დანაშაულის მცდელობას ევენტუალური განზრახვით, თუმცა ვინაიდან ეს საკითხი მეცნიერთა ნაწილისგან აღიარებულია ჩვენი ნაშრომის მთავარი მიზანიც არის ვიმსჯელოთ, გამოვიკვლიოთ და საკუთარი აზრი არგუმენტირებულად

დავაფიქსირებთ ამ საკითხის მიმართ. ამ საკითხს განვიხილავთ ქმედებს შემადგენლობის, მართლწინააღმდეგობის და ბრალის დონეზე. შედარებით-სამართლებრივ კვლევას ჩავატარებთ და ვნახავთ თუ როგორ არის ეს საკითხი დარეგულირებული გერმანულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.

დანაშაულის მცდელობის სუბიექტური დახასიათების შემდეგ მნიშვნელოვანი საკითხია მცდელობის ობიექტური დახასიათება, რომელიც ადგენს მცდელობის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს, ასევე დასჯადობის საკითხს.

კვლევაში ასევე განვიხილავთ დანაშაულის მცდელობას უმოქმედობის დელიქტებში და მისი დასჯადობის თავისებურებას ქართულ და გერმანულ კანონმდებლობაში.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ასევე დანაშაულის მცდელობის ფორმალურ და მატერიალურ დელიქტებზე, უმოქმედობით დანაშაულის მცდელობაზე, თანამონაწილეობაზე, თანამონაწილეთა დანაშაულის მცდელობის პრობლემატიკაზე (თანამონაწილეობის მცდელობა და მცდელობა თანამონაწილეობის დროს)

იმისათვის, რომ კვლევა ჩატარდეს სიღრმისეულად გამოყენებულია შედარებით-სამართლებრივი, დოგმატური, ლოგიკური და სისტემური სამართლის მეთოდები.

ნაშრომში შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდი მიზნად ისახავს საზღვარგარეთის კანონმდებლობის თავისებურების დადგენად და ჩვენ კანონმდებლობასთან შედარებას.

სისხლის სამართალში მნიშვნელოვანია მცდელობის შესაძლებლობის საკითხი. ფორმალურ და მატერიალურ დელიქტებში, კერძოდ უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულებში, ასევე თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულის მცდელობაში.

ნაშრომის მიზანია:

1. დანაშაულის მცდელობის ძირითადი და პრობლემური საკითხების განხილვა, რომელიც მცდელობის დასჯადობასთან არის დაკავშირებული და ამ ყველაფრის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი გერმანულ კანონმდებლობასთან.
2. ჩატარდეს სიღრმისეული კვლევა, რათა გავარკვიოთ შესაძლებელია თუ არა დანაშაულის მცდელობა ევენტუალური განზრახვით და ჩამოვაყალიბოთ ამასთან დაკავშირებით არგუმენტირებული პოზიცია.
3. განვიხილოთ დანაშაულის მცდელობაში დაუმთავრებელი დანაშაულის ცნების სამნიშვნოვანი სტრუქტურის არსებობა: ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა, ბრალი.
4. ვიმსჯელებთ უვარგის მცდელობაზე და მისი დასჯადობის თავისებურებაზე
5. გავმიჯნავთ დამთავრებულ და დაუმთავრებელ მცდელობას

6. ვიმსჯელებთ თანამონაწილეობის და თანაამსრულებლობის საკითხზე დანაშაულის მცდელობაში როგორც ქართულ ასევე გერმანულ კანონმდებლობაში.
7. დავადგენთ მცდელობის დასჯადობის საფუძვლად ობიექტურ თეორიას.

კვლევის მეთოდები: სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას აქტიურად გამოვიყენებთ სხვადასხვა სოციოლოგიურ მეთოდებს, მათი შერჩევას გათვალისწინებულია კვლევის ობიექტის და საგნის სპეციფიკა. აუცილებელია შემდეგი მეთოდების გამოყენება, როგორცაა:

- სისტემური მიდგომის მეთოდი

- აბსტრაქტულ-ლოგიკური მეთოდი, რომელიც მოიცავს კვლევისადმი ისეთ მიდგომებს, როგორცაა: ანალიზი და სინთეზი, დედუქცია და ინდუქცია, ანალოგია, ფორმალური ლოგიკა და სხვა;
- ემპირიული მეთოდი, რომელიც აისახება სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებსა და საექსპერტო დასკვნებში ორგანიზებული დანაშაულობის შესახებ;

მოცემული ნაშრომში, დაუმთავრებელი დანაშაულის კერძოდ მცდელობის საკითხზე, გამოყენებულია ქართველი სამართლის მეცნიერების შეხედულებები, მათი სამართლებრივი ნაშრომები, რომელმაც მნიშვნელოვანი სიტყვა თქვა სამართლის მეცნიერებაში. დანაშაულის მცდელობის პრობლემურ და აქტუალურ საკითხებზე ქართველ მეცნიერებს მნიშვნელოვანი და ყურადსაღების პოზიციები აქვთ ჩამოყალიბებული.

ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება 4 თავისგან, 15 ქვეთავისგან და 2 ქვეთავისგან.

პირველ თავში დახასიათებულია დანაშაულის მცდელობის არსი როგორც ქართულ ასევე გერმანულ კანონმდებლობაში, რათა მკითხველმა შეიქმნას შთაბეჭდილება თუ რა არის დანაშაულის მცდელობა და რა მსგავსებები და განსხვავებებია ქართულ და გერმანულ კანონმდებლობაში.

ნაშრომის მეორე თავი ეხება თეორიებს, რომლებიც წლების მანძილზე ყალიბდებოდა ქართულ სისხლის სამართალში და ის ხელსუწყოებს ქმედების დანაშაულის მცდელობად კვალიფიკაციის გამარტივებას. თეორიები რამდენიმე სახის არსებობს და ნაშრომში განხილულია დანაშაულის მცდელობის კვალიფიკაციასთან ავტორისთვის ყველაზე ახლოს მდგომი თეორიები.

მესამე თავში ნაშრომის ყველაზე აქტუალური და პრობლემური თემაა განხილული, როგორც არის ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობა. სწორედ ეს არის ამ კვლევის ჩატარების ერთ-ერთი მთავარი მიზანი და უნდა ითქვას რომ ამ საკითხთან დაკავშირებით არამართო ქართულ კანონმდებლობაში არამედ გერმანულშიც არის აზრთა

სხვადასხვაობა და დღემდე დაობენ სამართლის მეცნიერები. სწორედ ეს საკითხია განხილული მოყვანილია არამართო გერმანული და ქართული მაგალითები არამედ საზღვარგარეთის ქვეყნების შეხედულებები ამ საკითხზე, ასევე ავტორის პოზიციის გასამყარებლად არგუმენტებად გამოყენებულია სასამართლო პრაქტიკა და სისხლის სამართლის სამეცნიერო არეერთი ნაშრომი. ამავე თავშია განხილული დანაშაულის მცდელობის დასჯადობის საკითხი რაც მნიშვნელოვნად ითვლება ასევე სისხლის სამართალში. ეს თავი ძირითადად ეხება დანაშაულის სუბიექტური და ობიექტური მხარის გაანალიზებს და მათ კრიტიკას და პრობლემური საკითხების გამოკვეთას.

მეოთხე თავში უვარგისი დანაშაულის მცდელობის დასჯადობის საკითხია, რაც თავისებურად არის ქართულ სამართალში ჩამოყალიბებული ამიტომაც იგი განხილულია და შედარებით-სამართლებრივი ანალიზი არის გაკეთებული გერმანულ სისხლის სამართალთან. მცდელობის დასჯადობა უმოქმედობის დელიქტებშიც არის ასევე აქტუალური თემა და განხილულია ნაშრომის ბოლო თავში. თანამონაწილეობა და თანამსრულებლობა დანაშაულის მცდელობაში.

I. დანაშაულის მცდელობის ცნება და ნიშნები

1.1 დანაშაულის მცდელობის ცნება და ნიშნები ქართულ სამართალში

სისხლის სამართლის კერძო ნაწილი დამთავრებულ დანაშაულს იცნობს, თუმცა არსებობს დაუმთავრებელი დანაშაულებიც, რომელთა სსკ-ის მე-18-ე მუხლიდან იწყება. სისხლის სამართლის პოლიტიკა ისე არის ჩამოყალიბებული რომ პირი ისტება დამთავრებული დანაშაულისთვის და ასევე სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას მიიღებს ის პირი რომელმაც მართლსაწინააღმდეგო ქმედებით საფრთხე შეუქმნა სამართლებრივად დაცულ ნებისმიერ სიკეთეს. დაუმთავრებელ დანაშაულში დანაშაული ბოლომდე არ არის განხორციელებული, მაგრამ სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა შესაძლოა გამოიწვიოს.

კანონმდებელმა ასეთ დანაშაულებს მიაკუთვნა დანაშაულის მომზადება და მცდელობა. სისხლის სამართლის კოდექსმა, რომელიც ძალაში შევიდა 2000 წლის 1 ივნისს, დიდი ცვლილება განიცადა დაუმთავრებელი დანაშაულის მიმართულებით. 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსი მე-17 მუხლით მცდელობის ცნებით განსაზღვრავდა მხოლოდ დასჯად მცდელობას და არაფერს ამბობდა არადასჯად მცდელობაზე, ასევე არ ამბობდა არაფერს უმოქმედობაზე და განიხილავდა მხოლოდ მოქმედებით ჩადენილ დანაშაულის მცდელობას.¹

სისხლის სამართალში დაუმთავრებელი დანაშაულის მეორე დასჯად სტადიას წარმოადგენს დანაშაულის მცდელობა. ამას არეგულირებს კოდექსის მე-19 მუხლი, „**დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც, თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი**” აქ იგულისხმება როგორც დამთავრებული ასევე დაუმთავრებელი, მოქმედებით და უმოქმედობით ჩადენილი, დასჯადი და არადასჯადი მცდელობა. მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არიქნა მიყვანილი. დანაშაულის მცდელობას წინასწარ დანაშაულებრივ

¹ დ.სულაქველიძე თბილისი 1991 გვ 11

საქმიანობას უწოდებენ. მცდელობის ერთ-ერთი კონსტიტუციური ნიშანია ის რომ , დანაშაული არ არის ბოლომდე მიყვანილი ანუ არ დგება დანაშაულებრივი შედეგი.²

დანაშაულის მცდელობა როგორც ტერმინიდან ჩანს განზრახი ქმედებაა, რომელიც დანაშაულის ჩასადენად უშუალოდ მიმართულია, თუმცა დანაშაულის არ სრულდება სხვადასხვა, ზოგჯერ დამნაშავის, ზოგჯერ მისგან დამოუკიდებელი მიზეზით.³

სამართლის მეცნიერებაში მცდელობის ცნება მრავალგვარად არის განმარტებული, კერძოდ რა იგულისხმება სიტყვებში „უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად“ ზოგიერთი მეცნიერი ამ საკითხში ობიექტურ მხარეს ხედავს ზოგიერთი კი სუბიექტურს. წერეთელი კი ამ საკითხს განმარტავს როგორც მცდელობის ობიექტური შემადგენლობა სუბიექტური ტენდენციით და არა მისგან მოწყვეტით.

დაუმთავრებელ დანაშაულს საფუძვლად უდევს **საფრთხის ცნება**. საფრთხე გულისხმობს მაგნე შედეგის განხორციელების შესაძლებლობას.⁴ თუ შესაძლებლობის ცნებას ვიყენებთ საფრთხის ცნების განსამარტად, დავინახავთ რომ საფრთხე ე.ი მაგნე შედეგის განხორციელების შესაძლებლობა არსებობს თუ კონკრეტულ შემთხვევაში ქმედება პოვნებს განვითარებას, ეს ქმნის საფრთხეს და მოსალოდნელი მაგნე შედეგი ნამდვილად განხორციელდება, ეს რეალური საფრთხე რეალური შესაძლებლობაა დადგეს დანაშაულებრივი შედეგი დანაშაულის მცდელობის დროს.

შესაძლებლობის ორი სახე არსებობს **ფორმალური** და **რეალური**. სისხლის სამართალში მნიშვნელოვანია რეალური შესაძლებლობა, რეალური შესაძლებლობა ორი სახის არსებობს **აბსტრაქტული** და **კონკრეტული**. აბსტრაქტულ რეალურ შესაძლებლობაში არ არის საკმარისი პირობა მისი სინამდვილედ გადაქცევისთვის, ხოლო კონკრეტულ რეალურმა შესაძლებლობამ შეიძლება საფრთხე სინამდვილედ აქციოს. საფრთხე კი უფრო საშიშია თუ ის რეალურ კონკრეტულ შესაძლებლობას შეიცავს.

სწორედ ამიტომ დანაშაულის მცდელობა მეტად საშიშროების შემცველია საზოგადოებისთვის, ვიდრე მომზადება და ამიტომაც მცდელობა ყველა შემთხვევაში სასჯელს იწვევს.⁵

² გ. ნაჭყებია ი.დვალიძე სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, 2007 თბილისი გვ 146

³ ო.გამყრელიძე სისხლის სამართლის პრობლემები 2013 თბილისი, გვ 242

⁴ თ. წერეთელი დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბილისი 1961 , გვ 102

⁵ თ.წერეთელი დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბილისი 1961 გვ 113

ძველი ქართულის სისხლის სამართალი როგორც სხვა ქვეყნების სამართლებრივი ძეგლები დანაშაულის მომზადებას და მცდელობის ზოგად ცნებას არ იცნობდა, კანონმდებელი მომზადებას და მცდელობას სჯიდა არა როგორც განვითარების სტადიას, არამედ როგორც „შეკვეცილ შემადგენლობას“ საფრთხის დელიქტს ანუ დამოუკიდებელ დამთავრებულ დანაშაულს.⁶ ევროპის სამართალში მცდელობის, როგორც დაუმთავრებელი დანაშაულის ზოგადი განმარტება პირველად იტალიელმა იურისტებმა გლოსატორებმა შემოიღეს, მათ მცდელობა ფართოდ ესმოდათ დანაშაულის განხორციელებისაკენ მიმართული ნებისმიერი ქმედება, ანუ ისინი დანაშაულის მომზადებასაც მცდელობად თვლიდნენ.

ზოგიერთი მეცნიერი მცდელობის არსს შესაძლებლობის და საფრთხის კატეგორიებით განსაზღვრავს.⁷ ქმედება უნდა ქმნიდეს კონკრეტულ შესაძლებლობას რომ დადგეს შედეგი, უნდა ქმნიდეს კონკრეტულ და უშუალოს საფრთხეს დაცული სიკეთისთვის.

დაუმთავრებელ დანაშაულს ახასიათებს სამი ნიშანი:

- დანაშაული არ არის დამთავრებული
- არსებობს დანაშაულის ჩადენის გადანწყვეტილება
- დანაშაულის ჩადენა უშუალოდ დაწყებულია (მცდელობა)

დამთავრებული დანაშაულისგან დანაშაულის მცდელობა განსხვავდება იმით, რომ დამთავრებული დანაშაულის დროს შესრულებულია დანაშაულებრივი ქმედების ობიექტური შემადგენლობის ყველა ელემენტი, ხოლო მცდელობის დროს ობიექტური შემადგენლობის ელემენტები ბოლომდე არ არის განხორციელებული.⁸

„დანაშაულის მცდელობა ყველა შემთხვევაში გვექნება, როცა განზრახული შედეგი ვერ განხორციელდა, მიუხედავად მიზნისა, რომელმაც ხელი შეუშალა ამ შედეგის გამოწვევას“⁹ დანაშაულის მცდელობა არის როდესაც პირის მოქმედება ობიექტურად მიმართულია მისი ქმედებით გამოწვეული დანაშაულებრივი შედეგისკენ. დანაშაულის მცდელობისას უფრო მეტად არის შესაძლებელი შედეგის რეალიზება და ის საფრთხის შემცველია დაცული სიკეთისათვის.

მომზადება და მცდელობა საფრთხის შემქმნელი მოქმედებებია, მომზადება აბსტრაქტულ საფრთხეს ქმნის ხოლო მცდელობა კონკრეტულს, საფრთხე ობიექტური ხასიათის მატარებელია.

⁶ ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი 2, დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები 2011 გვ1

⁷ წერეთელი, მჭედლიშვილი-ჰედრიხი, გამყრელიძე, დვალიძე, თოდუა

⁸ თ.დონჯაშვილი საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი 2002, გვ221

⁹ ო, გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბილისი, 2008, 160 გვ

დასჯადია ყველა შედეგიანი განზრახვი დანაშაულის მცდელობა. საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ქმედება დანაშაულის მცდელობად მაშინ ითვლებოდა როდესაც დანაშაულებრივი შედეგი არ მიიღწეოდა „დამნაშავის ნებისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.“ საქართველოს 1960 წლის სსკ მხოლოდ დასჯად მცდელობას განიხილავდა და არათერს ამბობდა არადასჯად მცდელობაზე.¹⁰

დამთავრებული დანაშაული ობიექტური და სუბიექტური მხარეების თანხვედრით ხასიათდება, ხოლო თუ ობიექტური და სუბიექტური მხარეები ერთმანეთს არ ემთხვევა ადგილი აქვს ან შეცდომას ან დაუმთავრებელ დანაშაულს. დაუმთავრებელი დანაშაულისას ნაკლებია ობიექტური მხარე.¹¹ დანაშაულის მცდელობა მოიცავს როგორც სუბიექტურ ასევე ობიექტურ მხარეს, სუბიექტური მხარეა განზრახვა, ევენტუალური განზრახვა-სადავოა! ხოლო მცდელობაში გაუფრთხილებლობა არ არსებობს (აბსოლუტურად გაბატონებული მოსაზრება)¹² მცდელობის ობიექტური და სუბიექტური თეორიები საუკუნეების მანძილზე ეცილებოდნენ ერთმანეთს, ხან ობიექტური თეორია იყო პირველ ადგილზე ხან სუბიექტური. ზოგჯერ ისინი კომბინირებული სახით გვხვდებოდნენ და მათ შერეულ თეორიას უწოდებდნენ.

დანაშაულის მცდელობა ობიექტურად ხასიათდება ორი ნიშნით: მოქმედება (უმოქმედობა) უშუალოდ მიმართულია დანაშაულის ჩასადენად და დანაშაული არ არის დასრულებული, ე.ი მიყვანილი ბოლომდე. ხშირ შემთხვევაში დანაშაულის მცდელობის ჩადენა ხდება მოქმედებით, ხოლო ზოგიერთი მატერიალური დანაშაულის ჩადენა უმოქმედობითაც შესაძლებელია. წმინდა უმოქმედობის დროს დანაშაულის მცდელობა შეუძლებელია¹³

წმინდა სუბიექტური თეორიის ჩამოყალიბებამდე მიგვიყვანს იმის მტკიცება, რომ პირი დანაშაულის განვითარების საწყის სტადიაზე მისი ბოროტი ნების გამო ისჯება.¹⁴ ამ თეორიის გააზრებით დანაშაულებრივად და დასჯადად ჩაითვლებოდა უვარგისი და არარეალური მცდელობაც და გაიზრდებოდა დასჯად ქმედებათა რიცხვი დანაშაულის ჩადენის სურვილის გამომჟღავნების ხარჯზე. ამ თეორიით თანახმად დაისჯებოდა დანაშაულის მომზადება, მცდელობა და დამთავრებული დანაშაული. თანამედროვე სისხლის სამართალი ამ თეორიას უარყოფს. ბოროტი ნება მხოლოდ

¹⁰ ო. გამყრელიძე 201 გვ 160 ლ. ხარანაული თბილისი 2013 გვ 100

¹¹ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, ავტორთა კოლექტივი, 2016 გვ 270

¹² 12ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, ავტორთა კოლექტივი, 2016 გვ 277

¹³ თ. დონჯაშვილი სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი 2002, გვ 221

¹⁴ Baumann/weber/mitsch

მაშინ უნდა იყოს სასჯელის საფუძველი, როცა იგი ობიექტურ სამყაროში ქმედების სახით გაცხადდა.¹⁵

„დანაშაულის მცდელობას აქვს ობიექტური და სუბიექტური ნიშნები, რომელიც საშუალებას იძლევა დანაშაულის მცდელობა განვასხვავოთ დანაშაულის მომზადებისგან და დამთავრებული დანაშაულისგან.“¹⁶ დანაშაულის მცდელობის დასჯადობის საკითხად ობიექტური თეორია მოიაზრება, თუმცა ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გაჩნდა მოსაზრებები რომლის მიხედვითაც სუბიექტურ თეორიაში შესაძლებელია დასჯადობის არსის უპირატესობის პოვნა. „ დანაშაულის მცდელობის არსი პოზიტიურ ნიშნებზე და ნეგატიურ ფაქტორზე დაყრდნობით გაიგება, პოზიტიურ ნიშნებში იგულისხმება მე-19 მუხლში არწერილი სუბიექტური და ობიექტური ნიშნები, რომლებიც საფუძვლად უდევს მცდელობის დასჯადობა, ნეგატიური ფაქტორი ის მე-19 მუხლის ფარგლებს გარეთაა და გულისხმობს იმ მიზეზებს რომლებიც ქმედების ბოლომდე განუხურციელებლობას უდევს საფუძვლად“¹⁷ პირველ შემთხვევაში შედეგი არ დადგა დამნაშავის ნების დამოუკიდებლად , ხოლო მეორე შემთხვევაში შედეგის დადგომა დამნაშავის მიზეზით არ მოხდა.

დანაშაულის ობიექტური მხარე სუბიექტურისგან განსხვავებით ხარვეზებით ხასიათდება. თუ ხარვეზი სუბიექტურ მხარეშია (ანუ შეცდომა) ამ შემთხვევაში გამოირიცხება მცდელობა და ზოგადად დანაშაულის შემადგენლობა. მცდელობის სუბიექტური მხარე დამთავრებული დანაშაულის სუბიექტური მხარის მსგავსია და შემდეგი ელემენტებისგან ხასიათდება: სახეზეა განზრახვა, რომელიც ობიექტური მხარის ყველა ნიშანს მოიცავს და მიზანი-დანაშაულის სუბიექტური მხარის ელემენტი.¹⁸

საბჭოთა სისხლის სამართალში სამართლის მეცნიერი ნ.ლიასი ავითარებდა შემდეგ აზრს, ქმედების მცდელობად შეფასებისთვის აუცილებელია, დანაშაულის ჩადენის დაწყებიდან სახეზე იყოს ქმედების ობიექტური შემადგენლობის თუნდაც მინიმუმ ერთი ნიშანი.¹⁹

წერეთელი კი განსხვავებულ პოზიციას იკავებდა ამ საკითხთან დაკავშირებით, ის ამბობს,

¹⁵ ე. მჭედლიშვილი-ჰედრიხი სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი 2, დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები

¹⁶ მ. ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი , 2007 გვ 159

¹⁷ ლ.ხარანაული, 2013 თბილისი

¹⁸ ე. მჭედლიშვილი-ჰედრიხი სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი 2. დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები თბილისი 2011

¹⁹ ЛяссН. В.1952

მცდელობად შეიძლება დაკვალიფიცირდეს ის ქმედება, რომელიც ქმედების ობიექტური შემადგენლობის გარეთ განხორციელდა. დანაშაულის მცდელობად კვალიფიკაციისთვის მისთვის აუცილებელია სახეზე იყოს საფრთხის ხარისხი და დანაშაულებრივი შედეგის დადგომის შესაძლებლობა. ამ აზრს ასევე ემხრობა ქ.მჭედლიშვილი-ჭედრიხი, მის მსგავსად ლ.ხარანაულს არ მიაჩნია საჭიროდ ქმედები შემადგენლობის რომელიმე კრიტერიუმის განხორციელება, მჭედლიშვილი-ჭედრიხი პოზიციის გასამყარებლად იშველიებს დროისა და სივრცის ელემენტი, რასაც ქმედების განხორციელების საფრთხის საზომად მიიჩნევს.

ქმედების შემადგენლობის სუბიექტურ მხარეში დანაშაულის ჩადენის გადანყვეტილება უნდა იყოს საბოლოო და პირი არუნდა ყოყმანობდეს. თუმცა დანაშაულის ჩადენის გადანყვეტილებას ანუ დანაშაულებრივი განზრახვის წარმოშობას და მის გამჟღავნებას სისხლის სამართლებრივი მნიშვნელობა არ ენიჭება. თუ ის არ გამოიხატა ქმედებაში (მოქმედება/უმოქმედობა)

ულპიანე ამბობდა რომ მარტოდენ აზრისთვის პირის დასჯა მიუღებელია.²⁰ იმავეს ამბობდა წერეთელი, დასჯა შეიძლება მხოლოდ იმისთვის , რაც სინამდვილეში არსებობს, და არა იმისთვის , რაც მარტოდენ ჩვენი ცნობიერების პროდუქტია.²¹

ქართული სისხლის სამართლის კოდექსი მცდელობას სუბიექტურად არ განმარტავს, რადგან ადამიანის წარმოდგენა და ფიქრი გარე სამყაროსთვის მიუწვდომელია, მცდელობის დაწყების ობიექტურ მხარეს კანონში აღწერილი ქმედების რეალურ დაწყებას გულისხმობს (ფორმალურ ობიექტური თეორია)²²

სისხლის სამართლის კანონმდებლობა და თეორია გაუფრთხილებელი მცდელობის შესაძლებლობას უარყოფს.²³ გაუფრთხილებლობით მცდელობის შეუძლებლობა გამომდინარეობს კანონიდან, რომელიც მცდელობას მხოლოდ განზრახ ქმედებად თვლის. დანაშაულის მცდელობისას პირი ამზადებს მართლსაწინააღმდეგო ქმედებისთვის პირობებს, ხოლო გაუფრთხილებლობისას შეუძლებელია პირმა მოამზადოს ქმედებები იმისთვის, რაც მას არ სურს და რის თავიდან აცილებასაც ფიქრობს.

ქართულ სისხლის სამართალში არსებობს საფრთხის შემცველი დელიქტები, რომელიც დანაშაულის მცდელობის ეტაპზე დამთავრებულ დანაშაულად ითვლება.

დანაშაულის მცდელობად ითვლება ქმედება, რომელიც დროსა და სივრცეში მჭიდროდ უკავშირდება ქმედების შემადგენლობის განხორციელებას და ამგვარად სამართლებრივ სიკეთეს კონკრეტულ საფრთხეს უქმნის.²⁴

²⁰ იურისტი ულპიანე ჩვ. წ-მდე 2-3 სს მოღვაწეობდა.

²¹ თ. წერეთელი დანაშაულის მომზადება და მცდელობა , თბილისი 1961 გვ 109

²² ქ. მჭედლიშვილი-ჭედრიხი სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი 2. დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები თბილისი 2011 გვ 40

²³ დვალიძე, ავტ. კოლ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი , გვ 170

²⁴ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, მეორე გამოცემა, თბილისი 2016, გვ 278

სისხლის სამართალში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ყურადსაღები საკითხია „დისტანციური დელიქტები“ ამ სახეს ახასიათებს დროში განელვა და მესამე პირთა მიერ დასრულება, აიტომაც სამართლის მეცნიერები რომლებიც დაუმთავრებელი დანაშაულის დროს იყენებენ ობიექტურ შემადგენლობას, ცვლიან პოზიციას და სუბიექტური თეორიით ახდენენ კვალიფიკაციას. ამის მაგალითი მოიყვანა მჭედლიშვილი-ჰედრიხიმ კერძოდ **მონამლული ბორჯომის ბოთლის მაცივარში შედგმა** დანაშაულებრივ ქმედებას დასრულებულად აფასებს ბოთლის შედგმისთანავე, მიუხედავად იმისა, ვინმე დაღევს თუ არა, ანუ სუბიექტმა ქმედება ამონურა.

ამ საკითხს კი მ.ტურავა განსხვავებულად აფასებს, თუ მონამლული სასმელი შესაძლოა იმავე დღეს დაილიოს არის მცდელობა, ხოლო თუ ხანგრძლივი დროის შემდეგ მაშინ არის დანაშაულის მომზადება.²⁵

ჩემი პოზიცია საკითხთან დაკავშირებით ასეთია თუ პირი გააღებს მაცივარს და აიღებს მონამლულ სასმელს არის დაუმთავრებელი მცდელობა, ხოლო თუ დაღევს სახეზეა დამთავრებული მცდელობა.

1.2 დანაშაულის მცდელობის ცნება და ნიშნები გერმანულ სისხლის სამართალში

დანაშაულის მცდელობის ცნება და მისი განმარტება განსხვავდება ყველა ქვეყანაში მისი კანონმდებლობის მიხედვით. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე პარაგრაფით მცდელობა განისაზღვრა შემდეგნაირად „დანაშაულის მცდელობას ახორციელებს ის ადამიანი, რომელიც, ქმედებაზე საკუთარი წარმოდგენის მიხედვით, უშუალოდ დაიწყებს ქმედების შემადგენლობის განხორციელებას.“²⁶ გერმანიის ძველი სსკ-ის მცდელობის შესახებ ცნებას ახალი კოდექსი მნიშვნელოვნად ავიწროებს. დანაშაულის მცდელობა დანაშაულის მოსამზადებელ და დანაშაულის დასრულებულ საფეხურებს შორის მდგომი სტადიაა.²⁷ დანაშაულის მცდელობას შუა სტადიად მოიხსენიებენ.²⁸ გერმანიის სისხლის სამართალში დანაშაულის მცდელობაში იგულისხმება ქმედებისგან გამონვეული რეალური საფრთხე. დანაშაულის მცდელობის ცნება უნდა განისაზღვროს არა მხოლოდ ფორმალური, არამედ მატერიალური სტანდარტებით.²⁹ ძველ გერმანულ სისხლის სამართალში დანაშაულის მცდელობა 43-ე პარაგრაფით რეგულირდებოდა და მცდელობის დაწყების კრიტერიუმები უფრო ფართოდ იყო განვითარებული ვიდრე ახალი კოდექსის 22-ე პარაგრაფში.

²⁵ მ. ტურავა თბილისი 2013 გვ 302

²⁶ ვესელსი ი და ბოილკე ვ 2010. 347

²⁷ ix. *Maurach, Gössel, Zipf*, AT II (1989), .13.

²⁸ ix. *Rath*, Jus (1998) 1006.

²⁹ Papageorgious-Gonatas 1988 გვ 41

სუბიექტურ თეორიას გერმანიაში რაიხის უზენაესი სასამართლო ავითარებდა, ხოლო დღეისთვის გერმანიის სასამართლო შერეულ **სუბიექტურ-ობიექტურ** თეორიას იყენებს, რომელიც მცდელობაში ქმედებაში გაცხადებულ პირის ბოროტ ნებას სჯის.³⁰ კანონმდებელიც ზემოაღნიშნული თეორიის მომხრეა.

გერმანიის სსკ-ის 22-ის მიხედვით მცდელობად თვლის ქმედებას მხოლოდ მაშინ როდესაც პირი თავისი შეხედულების მიხედვით ქმედების შემადგენლობის უშუალოდ განხორციელებას იწყებს. სამართლის თეორეტიკოსთა ნაწილი მხარს უჭერს **სუბიექტურ ობიექტურ** თეორიას, ხოლო დიდი ნაწილი **შთაბეჭდილების თეორიას**.³¹ შთაბეჭდილების თეორიის მიხედვით მცდელობა დასჯადია თუ პირის ქმედებაში გამოხატულმა ბოროტმა ნებამ ობიექტურად შეიძლება დააზიანოს მართლწესრიგის ნდობა და სამართლებრივი დაცულობის გრძნობა.³²

გერმანულს სისხლის სამართალში ასევე არსებობს **დუალისტური** შეხედულება, ეს თეორია არ იღებს დანაშაულის მცდელობისას პირის შეხედულებას, ამიტომაც მიიჩნევენ რომ ამ თეორიას არ აქვს საკანონმდებლო საფუძველი. მცდელობის **წმინდა ობიექტური** თეორია ძველად გერმანულ სისხლის სამართალში იყო გაბატონებული, ეს თეორია მცდელობის დასჯადობას მხოლოდ ქმედებისგან შექმნილი ობიექტურ საფრთხეში ხედავდა. ამ თეორიას ავითარებდა ლისტი, მხარს უჭერდა შმიდტი, კოლრაუმი. სწორედ ეს თეორია გამორიცხავდა უვარგისი და არარეალური მცდელობის დასჯადობას, თუმცა არც დანაშაულის მომზადება ითვლებოდა დასჯად ქმედებად.³³

მცდელობის სუბიექტურ თეორიას იზიარებს გერმანულის სისხლის სამართლის თეორია და პრაქტიკა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ძველად ფორმალურ-ობიექტური თეორია იყო გაბატონებული გერმანულ სამართალში.

დანაშაულის მცდელობას გერმანულ სამართლის სისტემაში აქვს პოზიტიური და ნეგატიური ფაქტორები. პოზიტიური თავისთავში გულისხმობს სუბიექტურ და ობიექტურ ელემენტებს, ხოლო ნეგატიური დანაშაულის შემადგენლობის დაუმთავრებლობას ასახავს.

1.3 დანაშაულის მცდელობის სახეები ქართულ სისხლის სამართალში

სისხლის სამართლის თეორიაში განასხვავებენ მცდელობის ორ სახეს: **დამთავრებულ** და **დაუმთავრებელ** მცდელობას. ამ სახეების ამგვარი დაყოფა გამოიწვია გაემიჯნათ დანაშაულის მცდელობა დამთავრებული დანაშაულისგან.

³⁰ Jescheck/Weigend, AT S. 513

³¹ ქ. მჭედლიშვილი-ჭედრიხი სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი 2. დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები თბილისი 2011

³² Ebert, AT S 124, ვესელსი/ბოილკე გვ343, აბზ. 594

³³ ქ. მჭედლიშვილი-ჭედრიხი სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი 2. დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები თბილისი 2011

მცდელობის სახეებად დაყოფას ობიექტური და სუბიექტური კრიტერიუმები უდევს საფუძვლად.

დანაშაულის განხორციელება მრავალ დანაშაულებრივ ქმედებას ანხორციელებს, სწორედ აქედან გამოიყოფა დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობა, მცდელობის ამგვარ სახეებად დაყოფას დიდი მნიშვნელობა აქვს სასჯელის დანიშვნის დროს, მოსამართლემ კანონის ფარგლებში უფრო მსუბუქი სასჯელი უნდა დანიშნოს დაუმთავრებელი მცდელობისთვის ვიდრე დამთავრებული მცდელობისთვის, რადგან სამართლით დაცულ სიკეთეს უფრო ნაკლები საფრთხე ექმნება დაუმთავრებელი მცდელობისას.³⁴

მცდელობის სახეებად დაყოფა ობიექტური კრიტერიუმებით უნდა მოხდეს, რადგან მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებისას ქმედების შეფასებისას მთავარია არა ადამიანის სუბიექტური მოსაზრება, არამედ რეალურად ჩადენილი ქმედებები, რომელიც შეფასდება მცდელობად.³⁵ წერეთელიც იზიარებს ამ აზრს და ამბობს, რომ სუბიექტური შეხედულება დამთავრებული და დაუმთავრებელი ცნებების განსაზღვრისას კარგად იყო გაკრიტიკებული სამართლის მეცნიერებაში და სუბიექტური კრიტერიუმების არსებობამ შეიძლება დიდი სხვაობა და მერყეობა გამოიწვიოს მცდელობის ამ ორი სახის გამიჯვნაში, რადგან სუბიექტური თეორია მოითხოვს გათვალისწინებული იქნეს დამნაშავეთა სუბიექტური შეხედულება, მცდელობის სახეებად დაყოფას საფუძვლად უნდა დაედოს ობიექტური ნიშანი.³⁶

დაუმთავრებელია მცდელობა როდესაც, გარდა შედეგისა ასევე ქმედების შემადგენლობის სხვა ობიექტური ელემენტებიც არ არის განხორციელებული. მაგ: ა-მ გადაწყვიტა, მოწამლოს ც. ამ მიზნით, ჩუყარა სანამლაფი სასმელში, მაგრამ მესამე პირმა დ-მ ხელი აუკრა ჭიქაზე, მოწამლულიაო და ამით გადაარჩინა, ეს არის დაუმთავრებელი მცდელობა, ვინაიდან ქმედების ბოლომდე მიყვანას სხვა გარე ფაქტორებმა შეუშალა ხელი.³⁷ პირმა ბოლომდე ვერ განახორციელა ქმედება, რომელსაც თანსდევს ნართლსაწინააღმდეგო შედეგი, , ხოლო **დამთავრებულია მცდელობა** როდესაც გარდა შედეგისა, ქმედების ობიექტური შემადგენლობა მთლიანად არის ამოწურული.³⁸ პირმა ბოლომდე ამოწურა ქმედების ყველა ელემენტი და ელოდება მართლსაწინააღმდეგო შედეგს. მაგ: ა-მ გადაწყვიტა, მოწამლოს ც., რისთვისაც ჩაუყარა სანამლაფი ც-მ დალია, მაგრამ ექიმებმა გადაარჩინეს.³⁹ ი.დვალისძის მოსაზრებით ფორმალურ ანუ შედეგგარეშე დანაშაულებში შეიძლება ადგილი ჰქონდეს დამთავრებულ მცდელობას თუმცა ამ

³⁴ ი.დვალისძე სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი თბილისი 2013 გვ 164

³⁵ ი.დვალისძე სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი თბილისი 2013 გვ 165

³⁶ თ.წერეთელი დანაშაულის მომხადება და მცდელობა გვ 151

³⁷ მ.ტურავა სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილის, მეცხრე გამოცემა 318 გვ

³⁸ თ. წერეთელი 2007 დანაშაულის მომხადება და მცდელობა

³⁹ მ.ტურავა სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილის, მეცხრე გამოცემა 318 გვ

აზრს ეწინააღმდეგება წერეთელი და ამბობს რომ: ფორმალურ დანაშაულთა დროს შესაძლებელია მხოლოდ დაუმთავრებელი მცდელობა. თუ სუბიექტის მოქმედება დასჯადია, უკვე შესრულებულია ადგილი ექნება დამთავრებულ დანაშაულს და არა დამთავრებულ მცდელობას, ასე რომ მცდელობის ამ ორი სახით დაყოფას ადგილი აქვს მხოლოდ მატერიალური დანაშაულის დროს, აქ შესაძლებელია მცდელობის მოქმედების არასრული ან სრული რეალიზაცია.⁴⁰

დაუმთავრებელი მცდელობისას პირმა უშუალოდ დაიწყო ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელება, მაგრამ ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ განხორციელდა დანაშაულებრივი ქმედება, რომელსაც შედეგი უნდა მოჰყვეს დამთავრებული მცდელობის დროს, პირმა ბოლომდე ამოწურა დანაშაულებრივი ქმედების შინაარსი და მხოლოდ შედეგის დადგომას ელოდება.⁴¹ **მცდელობა დამთავრებულია** თუ: პირი იარაღს დაუმიზნებს და ესვრის მსხვერპლს მკვლელობის განზრახვით, მაგრამ აცდება მსხვერპლს.

მცდელობა დაუმთავრებელია თუ: თუ პირმა მოამზადა სანამლაფი რომ ჩაეყარა მსხვერპლის ჭიქაში მაგრამ ვერ მოახერხა. მცდელობის სახეების დახასიათებისას მნიშვნელოვანია ქმედებასთან ერთად პირს ქონდეს წარმოდგენა ქმედების ობიექტური შემადგენლობის ამოწურვაზე.⁴²

დამთავრებული მცდელობა თავისი შინაარსით უფრო მძიმეა ვიდრე დაუმთავრებელი და ამდენად, უფრო გასაკიცხია მისი ჩამდენი, იგი უფრო ახლოს არის დანაშაულის დამთავრებასთან. მცდელობის სახეების დაყოფას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ე.წ მატერიალური (შედეგიანი) დანაშაულის დროს.⁴³

შედეგის დადგომის მიუხედავად, ზოგჯერ შეიძლება ქმედება დაკვალითუცირდეს დანაშაულის მცდელობად თუ სახეზე გვაქვს ყველა ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადანყვეტის (in dubio pro reo) შემთხვევა.⁴⁴ ეს არის დაუნერეელი პრინციპი სისხლის სამართალში და ბრალდებული არ შეიძლება დაისაჯოს, თუ სასამართლო არ არის დარწმუნებული ბრალდებულის დანაშაულში.

დანაშაულის მცდელობის ამ ორი სახით დაყოფას არ ემხრობა გამყრელიძე და ამბობს რომ ამ ორ სახედ დაყოფა პრაქტიკულად გაუმართლებელია, თუმცა სასამართლომ სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში უნდა მიიღოს როგორი საფრთხე შეუქმნა დამნაშავემ სამართლებრივ სიკეთეს და რამდენად მიახლოებული იყო მცდელობა დამთავრებულ დანაშაულთან.⁴⁵

დამთავრებული მცდელობის მაგალითია სსკ-ის 21-ე მუხლი „სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება აგრეთვე იმას ვინც, დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი შედეგის განხორციელებისთვის ყველაფერი გააკეთა, რაც მასზე იყო დამოკიდებული მაგრამ შედეგი თავის

⁴⁰ თ.წერეთელი დანაშაულის მომზადება და მცდელობა გვ 153

⁴¹ მ. ტურავა სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა გვ 308

⁴² ლ.ხარანაული 2013

⁴³ თ.დონჯიაშვილი სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი თბილისი 2002, გვ 224

⁴⁴ მ. ტურავა სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა გვ 309

⁴⁵ ო.გამყრელიძე სისხლის სამართლის პრობლემები გვ 250

ნებაყოფლობითი ქმედებით თავიდან აიცილა შედეგი“ სახეზეა დამთავრებული მცდელობა და ნებაყოფლობით ხელის აღება დამთავრებული მცდელობის დროს, ეს წარმოაჩენს მცდელობის სახის მნიშვნელობას.⁴⁶

1.4 მცდელობის სახეები გერმანულ სისხლის სამართალში

მცდელობის ცნება პირველად იტალიაში წარმოიშვა, მცდელობაც ცნებას ჰქონდა ფართო განმარტება და ის დანაშაულის მომზადებასაც მოიცავდა. ამის მიხედვით იტალიელი სამართლის მეცნიერები მცდელობის ორ სახეს ჰყოფდნენ: **შორეული** და **უახლოესი** მცდელობა. გერმანელი იურისტი კლაინი მცდელობის ორ სახეს განმარტავდა მცდელობად და დამთავრებულ მცდელობას. პირველს კლაინი კვლავ ორნაწილად ყოფდა და საბოლოოდ მცდელობის სამი სახე ჩამოყალიბდა. გერმანულ სამართალში როდესაც მოსამზადებელი ქმედების დასჯადობა გაუქმდა დარჩა მცდელობის ორი სახე და ეს იყო **დამთავრებული** და **დაუმთავრებელი** მცდელობა. მცდელობის ამ სახეების შეტანა გერმანულ სისხლის სამართლის კოდექსებში მნიშვნელოვანი იყო ვინაიდან კოდექსები დამთავრებული მცდელობისთვის უფრო მკაცრს სასჯელს ითვალისწინებდნენ, ვიდრე დაუმთავრებელი მცდელობისთვის.⁴⁷

დანაშაულის მცდელობის სახეებად დანაწილებას უმეტეს წილად სუბიექტური თეორიით აყალიბებენ, ასეთი მიდგომა გავრცელებულია გერმანულ კანონმდებლობაში და მცდელობის სახეების გამსაზღვრელია ქმედების შექმნის საფრთხეზე დანაშაულის სუბიექტის წარმოდგენა. სამართლის მეცნიერებაში მცდელობის სახეებად დაყოფას საფუძვლად უდევს თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, ასევე სასჯელის ინდივიდუალიზაციის საკითხი.⁴⁸ სუბიექტურ თეორიაში განმსაზღვრელია ქმედების ჩასადენად გადადგმული ნაბიჯით შექმნილი საფრთხე სუბიექტის წარმოდგენა.⁴⁹

გერმანულ სისხლის სამართალში მცდელობის ორი სახე დაუმთავრებელი და დამთავრებული მცდელობა 24 პარაგრაფში რეგულირდება. ამ ორი ფორმის ურთიერთგამიჯვნა ხდება ამსრულებლის გონებაში ჩამოყალიბებული წამოდგენის მიხედვით. ამგვარ დაყოფას დიდი მნიშვნელობა აქვს და ამსრულებლის ქმედებას რომელიც ჯერ არ გაცდენია დაუმთავრებელ მცდელობას შეუძლია სასჯელისგან განთავისუფლება, დამთავრებული მცდელობისას კი 24-ე პარაგრაფის მეორე ალტერნატივაში წერია რომ ამსრულებელმა შედეგის საწინააღმდეგო

⁴⁶ მ.ტურავა 2013 თბილისი გვ 319

⁴⁷ თ.წერეთელი დანაშაულის მომზადება და მცდელობა , თბილისი, 1961, გვ 145

⁴⁸ ი. დვალისძე 2007, გვ 164

⁴⁹ ვესელსი და ბოილკე 2010 453

დამაბრკოლებელი ქმედება უნდა განახორციელოს და თავიდან აიცილებს შედეგს.

50

გერმანული სამართლის მიხედვით მცდელობა დამთავრებულია როდესაც ამსრულებელი ფიქრობს რომ მან ყველაფერი გააკეთა, რაც მისი წარმოდგენით საკმარისია შედეგის გამონვევისთვის, მცდელობა დაუმთავრებელია თუ ამსრულებელი ფიქრობს რომ ჯერ კიდევ არ გაუკეთებია ყველაფერი რაც მისი წარმოდგენისთვის დანაშაულის დამთავრებისთვის არის საჭირო.⁵¹

გერმანულ სამართალში დიდიხნის მანძილზე იყო მსჯელობა მცდელობის ორი სახის (დამთავრებული და დაუმთავრებელი) გამიჯვნა რომელ სტადიაზე უნდა მომხდარიყო? დანაშაულის დანყების მომენტისთვის თუ ქმედების განხორციელების ბოლო აქტის დასრულებისას? ფეოდალური სასამართლო პირველად დანაშაულის განხორციელების გეგმის თეორიას მიემხრო, სადაც პირს მთლიანად ჰქონდა დანაშაულებრივი გეგმა შემუშავებული და მხოლოდ ერთი საბოლოო აქტის განხორციელება სჭირდებოდა. ამ სახის დაგეგმილმა შემთხვევამ თუ დანაშაულებრივი შედეგი გამოიწვია სახეზე იქნება დამთავრებული მცდელობა, აქვე გვაქვს მეორე შემთხვევა როდესაც პირს არანაირი წინასწარი გეგმა არ ჰქონია, ამსრულებლის გონებაში მხოლოდ ქმედების ბოლო აქტის დასრულება გამოიწვევს დანაშაულებრივ შედეგს, აქ in dubio pro reo პრინციპი მოქმედებს, რადროსაც ამსრულებელი მიიჩნევს რომ მისი ბოლო ქმედების უმუხოდ დანაშაული არ განხორციელდება, ანუ დაუმთავრებელია მცდელობა.⁵²

გერმანული სამართალი დაუმთავრებელი მცდელობის ხელის აღებას ითვალისწინებს, რაც პირის დასჯადობის გაქარწყლების საფუძველია, თუ ამსრულებელი ნებაყოფლობით იტყვის უარს დანაშაულის განხორციელების შემდგომ გაგრძელებაზე. გასარკვევია აცუილებლად უნდა გვექონდეს თუ არა სრული და საბოლოო უარის თქმა. არსებობდა მსჯელობა რომელიც ამბობდა რომ „პირმა საკუთარი დანაშაულებრივი გადაწყვეტილების ხორცშესხმა მთლიანად და საბოლოოდ უარყო“⁵³ თუმცა ეს მოსაზრება დროთა განმავლობაში არი იყო მისაღები გერმანული სამართლისთვის ვინაიდან ის მცდელობაზე ხელის აღებას ვინრო საზღვრებს უწესებდა. რაც შეეხება დამთავრებულ მცდელობაზე ხელის აღებას გერმანული სამართლის მიხედვით დამთავრებული მცდელობა დაუსჯელი დარჩება თუ ამსრულებელი ნებაყოფლობით ხელს შეუშლის დანაშაულის დამთავრებას, ან ისეთ დროს როდესაც დანაშაული მისი წვლისლის გარეშე ვერ დამთავრდება ნებაყოფლობით და სერიოზული განწყობით დამთავრებისთვის ხელის შეშლას შეეცდება.⁵⁴

⁵⁰ Krit. Frister, AT 24, 53

⁵¹ ი.ვესელსი ვ.ბოილკე სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, გვ 371 აბზ 631

⁵² ი.ვესელსი ვ.ბოილკე სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, გვ 372 აბზ 632

⁵³ Entscheidungen des bundesgerichtshofes in strafsachen 7, 296

⁵⁴ ი.ვესელსი ვ.ბოილკე სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, გვ 378 აბზ 644

გერმანულ სამართალში დასჯადობისთვის აუცილებელია ქმედების შემადგენლობის განხორციელების დაწყება და საკმარისი არ არის მხოლოდ აზრები და გეგმები.

წმინდა ფორმალურ ობიექტური თეორია მოძველებულია მცდელობის განმარტების საკითხში, გერმანიის კანონმდებლობით მცდელობა დაწყებულად ითვლება დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების შემდეგ.⁵⁵

გერმანიის სისხლის სამართლის კანონმდებლობა 22-ე პარაგრაფით ამბობს რომ

დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების შედგომა გულისხმობს მთელი დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების დაწყებას, თუმცა არსებობს გამონაკლისი შემთხვევებიც როდესაც დანაშაულის შემადგენლობის ნაწილობრივ განხორციელებით მცდელობა დასაშვებია, ამის განსაზღვრა უნდა მოხდეს სხვადასხვა საკითხებზე დაყრდნობით.⁵⁶

ძველ დროში იყენებდნენ „ფრანკის ფორმულას“ და „უშუალო სატურთხეს“ რათა განესაზღვრათ მცდელობის დაწყება, ხოლო თანამედროვე სასამართლო პრაქტიკაში გერმანელი სამართალმცოდნეები იყენებდნენ „დროში და სივრცეში სიახლოვის კავშირს“.⁵⁷

II. დანაშაულის მცდელობის შესახებ განვითარებული შეხედულებები ქართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში

2.1 მცდელობის ობიექტური თეორია

სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა დაუმთავრებელი დანაშაულისთვის დგება **სუბიექტურ-ობიექტური** ანუ **შერეული თეორიით**, ქართულ სისხლის

⁵⁵ როქსინი 2003 გვ 363

⁵⁶ როქსინი 2003 გვ 368

⁵⁷ როქსინი 2003 გვ 370

სამართალში სწორედ ეს თეორია არის ყველაზე მისაღები და სასამართლო პრაქტიკაშიც იყენებენ დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის საკითხების გადაწყვეტისას, ამ თეორიით მიჯნავენ დამთავრებულ დანაშაულს და არადასჯად ქმედებებს.⁵⁸ ტურავა მომზადების და მცდელობის გასამიჯნად და მცდელობის არსის გასაგებად ობიექტურ კრიტერიუმს იყენებს და მას განმარტავს არა ობიექტურად არამედ სუბიექტის წარმოდგენის შესაბამისად.⁵⁹

დანაშაულის მცდელობის განმარტება ქართულ სამართალში ობიექტური თეორიით ხდება. მცდელობა ძირითადი ნაბიჯია დანაშაულის ჩასადენად და წარმოშობს საფრთხეს და სესაძლებლობას რომ დანაშაული ბოლომდე იქნეს მიყვანილი, დამთავრებული, სწორედ ეს ფაქტობრივი გარემოებები და ქმედების შემადგენლობა გულისხმობს მცდელობის ობიექტური თეორიით განსაზღვრას.

ობიექტურ თეორიას ბევრი სისხლის სამართლის მეცნიერი ემხრობა, მათი თქმის სსკ-ის მე-19 მუხლი განსაზღვრავს მცდელობის არსს და აღიარებს ობიექტურ თეორიას.⁶⁰

დაუმთავრებელი დანაშაულის შესახებ არაერთი კვლევა არსებობს და ჩამოყალიბებულა უამრავი თეორია, დანაშაულის მცდელობის დასჯადობი შესახებ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კვლევა ეკუთვნის მეცნიერ თინა წერეთელს, რომელიც თავის ნაშრომში მცდელობის დასჯადობის საკითხს **ობიექტურ თეორიას** მიაკუთვნებს. ის ამისთვის იყენებს საფრთხის ცნებას და ამით ასხვავებს მცდელობას მომზადებისგან და დამთავრებული დანაშაულისგან.

საფრთხის ცნება საფუძვლად უდევს დაუმთავრებელ დანაშაულს. ის არ შეიძლება გავიგოთ სუბიექტური თვალსაზრისით და გამოვიყენოთ დანაშაულის მცდელობის შინაარსის დასადგენად. მცდელობა სამართლებრივი სიკეთისთვის საფრთხის შექმნაა, საფრთხე კი მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობა. საფრთხე ან სუბიექტის მოლოდინის ხარისხია ან შედეგის დადგომის ობიექტური შესაძლებლობა. იურიდიულ ლიტერატურაში ლ. ხარანაული არ ემხრობა მცდელობის აუცილებელ ნიშნად იყოს საფრთხე და შესაძლებლობა, მის ნაშრომში მოყვანილია დასაბუთება შემდეგი სახით: დანაშაულის მცდელობისას შესაძლებელია შედეგის რეალიზება და იქ სადაც საფრთხე რეალიზებულია შესაძლებლობაზე საუბარი მიუღებელია და ასევე შეუძლებელია შედარებით უვარგისი მცდელობის დასაბუთება. კვლევიდან გამომდინარე არ ვიზიარებს საკითხის ამ მხრივ შეფასებას, ვინაიდან არგუმენტები რომლებიც მოყვანილი იყო

⁵⁸ მ.ტურავა სისხლის სამართლიზ ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა გვ 313

⁵⁹ მ. ტურავა 2013 გვ 304

⁶⁰ მამულაშვილი თბილისი 2011 კერძო ნაჭილი გვ 127

არის საპროცესო ან მიზნობრივი კავშირის პრობლემები, სამართლებრივად არ ფასდება თითქმის დამდგარი შედეგი, ამას მხოლოდ კანონმდებელი უშვებს გამონაკლის შემთხვევებში. ხარანაულს თავისი პოზიციის გასამყარებლად მოყავს როქსინის თეორიები, რომ დანაშაულის მცდელობის რეალიზებასთან საიხლოვე უნდა დადგინდეს ქმედების საკანონმდებლოს შემადგენლობასთან ახლოს ყოფნით და არა ქმედებიდან სიკეთის დაზიანებამდე არსებული მანძილით.

როგორც წერეთელი ამბობს სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა არ შეიძლება ეფუძნებოდეს ისეთ ცნებას რომელიც მოკლებულია ყოველგვარ რეალურ შინაარსს.⁶¹ საფრთხის მნიშვნელობის გარკვევა ხდება შესაძლებლობის ცნების არსის დადგენის საფუძველზე. შესაძლებლობა არ არის სინამდვილე. შესაძლებელია მხოლოდ ის რასაც აქვს სინამდვილედ გადაქცევის უნარი.⁶²

დაუმთავრებელი დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ და სუბიექტურ მხარეებს შორის დისპროპორცია შეინიშნება, რადგან სუბიექტური მხარე უფრო მეტია, ვიდრე ობიექტური, დაუმთავრებელ დანაშაულში ადგილი აქვს შემადგენლობის ნაკლებობას, რადგან დანაშაულის შემადგენლობის შედეგი არ დამდგარა, ან ქმედება სრული მოცულობით არ განხორციელდა.⁶³

მცდელობის სახეებად დაყოფის საფუძველიც ობიექტური ნიშანია. წერეთლის ნაშრომში მითითებულია, რომ მცდელობის ცნება ისე არის ჩამოყალიბებული რომ მასში აშკარად ჩანს დანაშაულის არსებობის რეალური საფრთხე „მოქმედება რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის განხორციელებაზე“ ამას წერეთელი ობიექტური თვალსაზრისით განიხილავს და არანაირ კავშირს არ ხედავს სუბიექტურ თეორიასთან.⁶⁴

დანაშაულის მცდელობის ობიექტურ თეორიას ემხრობა მეცნიერი ე.მჭედლიშვილი-ჰედრიხი და ო.გამყრელიძე და ამბობს რომ მცდელობის დროს საფრთხეს აქვს კონკრეტული ხასიათი, განსხვავებით მომზადებისგან და დამთავრებული დანაშაულისგან.⁶⁵

ო.გამყრელიძის მიერ გამოთქმულ შეხედულებებში ჩანს რომ იგი ობიექტური თეორიის ერთ-ერთ საფეხურს ითვალისწინებს, რომელიც გამოიხატება საფრთხის თეორიაში. ხოლო მჭედლიშვილი-ჰედრიხი მიიჩნევს რომ დაუმთავრებელი დანაშაული ობიექტურ საფრთხეს აღირებს.⁶⁶

⁶¹ თ. წერეთელი 1961 გვ 104

⁶² თ.წერეთელი 1961 გვ 110

⁶³ ი.დვალიძე სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი თბილისი 2013 გვ 148

⁶⁴ თ.წერეთელი 1961 თბილისი გვ 126-128

⁶⁵ ო.გამყრელიძე 2008 თბილისი გვ 161

⁶⁶ ე. მჭედლიშვილი-ჰედრიხი 2011 გვ 10

დღეისათვის მოძველებული ობიექტური თეორიის მიხედვით დასჯადობის საფუძველს წარმოადგენს ქმედების შემადგენლობით დაცული ობიექტისთვის რეალური საფრთხის შექმნა .⁶⁷

ქართული სისხლის სამართლისთვის მისაღებია დუალისტური (სუბიექტურ-ობიექტური) თეორია, ის განსაზღვრავს საშიში და უვარგისი მცდელობების დასჯადობის საფუძველს, აბსოლუტურად უვარგისი მცდელობის დასჯადობას უარყოფს და ობიექტური თეორიით ასაბუთებს.⁶⁸

როგორც მ.ტურავა ამბობს ქართულ სისხლის სამართალში მნიშვნელოვანია სუბიექტურ-ობიექტური თეორიის არსებობა, ობიექტური კრიტერიუმის გარეშე ვერ დადგინდება განსხვავება დანაშაულის მომზადებას მცდელობასა და დამთავრებას შორის ხოლო სუბიექტური მომენტის არარსებობა ხელს შეუშლის მომზადებისა და უვარგისი მცდელობის პასუხისმგებლობის დასაბუთებას. ასევე სუბიექტური თეორიის გარეშე შეუძლებელია პასუხისმგებლობის დასაბუთება მცდელობისათვის უვარგისი საგნით.⁶⁹ მიუხედავად იმისა რომ ტურავა მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნას ობიექტური კრიტერიუმით ემხრობა ის მაინც ამბობს რომ ეს არის სუბიექტური ქმედების სუბიექტის წარმოდგენის შესაბამისად.⁷⁰

ამასთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი აქვთ წერეთელს და გამყრელიძეს, წერეთელი ობიექტურ თეორიას ანიჭებს გადამწყვეტ მნიშვნელობას და ამ აზრის გამყარებამ გამოიწვია ის რომ წერეთელი უარყოფს უვარგისი მცდელობის დასჯადობას ობიექტური თეორიით და ქმედებები რომელიც უვარგისი მცდელობად კვალიფიცირდება წერეთელი დანაშაულის მომზადებას უწოდებს. მაგ: გვამისათვის იარაღის სროლას ქურდობის მცდელობად-საკუთარი ნივთის მოტაცება, იგი ამას აფასებს არა მცდელობად არამედ მოსამზადებელ მოქმედებად, მომზადება ჩვენი კანონმდებლობით არ გამოირიცხავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.⁷¹

სუბიექტურ-ობიექტური თეორიის მიმდევარია ლ.ხარანაული და ის არ ემხრობა საფრთხე და შესაძლებლობა განვიხილოთ როგორც მცდელობის აუცილებელი ნიშანი.⁷² იგი იყენებს როქსინის თეორიას და ამბობს რომ დანაშაულის მცდელობის კვალიფიკაციისთვის საჭიროა არა მხოლოდ ერთი კრიტერიუმის არსებობა არამედ

⁶⁷ მ.ტურავა სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა მეცხრე გამოცემა. თბილისი 2013 გვ 313

⁶⁸ მ.ტურავა სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა მეცხრე გამოცემა. თბილისი 2013 გვ 314

⁶⁹ მ.ტურავა სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა მეცხრე გამოცემა. თბილისი 2013 გვ 314

⁷⁰ მ.ტურავა 2013 გვ304

⁷¹ წერეთელი 1961 გვ 163

⁷² ლ.ხარანაული 2013

ორივე კრიტერიუმი უნდა აიყოს სახეზე: „დროში და სივრცეში ახლო კავშირი“ და „ დაზარალებულის დაცულ პირად სფეროზე ზემოქმედება“⁷³

სუბიექტური და ობიექტური თეორიის სწორად ჩამოყალიბების პრობლემა დგას დანაშაულის შუალობითი ამსრულებლის ქმედების მცდელობად კვალიფიკაციის დროს.

დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ელემენტია ქმედება, რომელიც მოქმედებასთან ერთად დანაშაულებრივ უმოქმედობასაც გულისხმობს.⁷⁴

„უფრო მეტად ობიექტური“ - აღნიშნულ ფორმულირებას იყენებს ა.დაფი იმის ნათელსაყოფად, რომ ობიექტური თეორია არ გამოირიცხავს ქმედების შემადგენლობაში სუბიექტურ ნიშნებს.⁷⁵

სამართლის მეცნიერების აზრით ქმედების მცდელობად შეფასებისათვის სახეზე უნდა იყოს თუნდაც ერთი ნიმუში ქმედების ობიექტური შემადგენლობის, ამის საპირისპირო მიდგომას ანვითარებდა თ.წერეთელი და ამბობდა რომ დანაშაულის მცდელობად კვალიფიკირდებოდა ქმედების ობიექტური შემადგენლობის მიღმა არსებული ქმედება, რადგან დანაშაულის მცდელობის კვალიფიკაციისთვის საკმარისია საფრთხის არსებობა.⁷⁶ ხოლო თუ საფრთხე ანუ

„ობიექტური თეორია“ სუბიექტური თეორიის პრინციპზეა აგებული და სუბიექტური წარმოდგენა მავნე შედეგის განხორციელებას გულისხმობს, მის წინააღმდეგ წამოყენებულ იქნება მოსაზრებები რომელიც არსებობდა სუბიექტური თეორიის წინააღმდეგ,- დასჯა შეიძლება მხოლოდ იმის რაც სინამდვილეში არსებობს, და არა იმის რაც ცნობიერების პროდუქტია.⁷⁷

ობიექტური თეორიის მიხედვით საჭიროა კონკრეტული საფრთხე რათა მოხდეს მცდელობის დასჯადობა. კონკრეტული საფრთხე აუცილებლად უნდა იყოს ისეთი რომ მას შეეძლოს სინამდვილედ გადაქცევა და შედეგის გამოწვევა. ამ თეორიის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ რომ აბსოლუტურად უვარგისი მცდელობაში საფრთხე ვერ გადაიქცევა სინამდვილედ და ვერ გამოიწვევს შედეგს და აქედან გამომდინარე ობიექტური თეორიით აბსოლუტურად უვარგისი მცდელობა არ იქნება დასჯადი.

⁷³ ლ.ხარანაული თბილი 2013 გვ 213., Roxin AT 2003 გვ 374

⁷⁴ თ. წერეთელი 1966 გვ 12

⁷⁵ Duff R.A. 1996 გვ.145

⁷⁶ თ. წერეთელი 1976 გვ 117

⁷⁷ თ.წერეთელი 1961 გვ 109

2.2 ახალი ობიექტური თეორია

გერმანულ სისხლის სამართალში განვითარებულია „ახალი ობიექტური თეორია“ მისგან განსხვავდება „წმინდა ობიექტური თეორია.“ ახალ ობიექტურ თეორიას სუბიექტური საფუძვლები გააჩნია, ამის მკაფიო მაგალითი მოყვანილია მჭედლიშვილი-ჰედრიხის მოსაზრებებში. ახალ ობიექტურ თეორიას **შერეული თეორიების** მსგავსი პირობები აქვს.

ქართული სისხლის სამართალი მხარს არ უჭერს მცდელობის სუბიექტურ თეორიას.

უვარგისი მცდელობის დასჯადობის დასაბუთება კი წმინდა ობიექტური თეორიით შეუძლებელია, ვინაიდან ქმედების განხორციელების შემდეგ წმინდა ობიექტური თეორიის მიხედვით დაუმთავრებელი დანაშაულისათვის დამახასიათებელი ობიექტური საფრთხე არ არსებობს, ანუ შეუძლებელია უვარგისი მცდელობის შედეგად საფრთხე შეიქმნას, ხოლო თუ საფრთხეს ამსრულებლის პოზიციიდან შევაფასებთ დროის იმ მონაკვეთში როდესაც ქმედება ხორციელდებოდა მცდელობის სუბიექტურ თეორიაზე გადავალთ.⁷⁸

გერმანულ სისხლის სამართალში უვარგისი მცდელობის დასჯადობისთვის შემოიღეს „ახალი ობიექტური თეორია“ ამით მათ შეცვალეს საქმის გარემოების შეფასების სტილი, მათ ყურადღება გაამახვილეს იმ საშუალო ცოდნაზე რომელიც ნებისმიერ გონიერ ადამიანს ქმედების განხორციელებისას აქვს. უვარგისია ის მცდელობა რომელიც ქმედების შემადგენლობის განსახორციელებლად არ გამოდგება, ხოლო ვარგისია მცდელობა რომელიც ქმედების ჩადენისას გონიერ ადამიანს შეუქმნის აზრს რომ პირს ქმედების განხორციელებით მიზნის მიღწევა შეუძლია. ეს თეორია უვარგის მცდელობას ყოფს არა ამ ორ ნაწილად: აბსოლუტურად უვარგის და დასუჯელ მცდელობად და შეფარდებით უვარგის და დასჯად მცდელობად, არამედ ობიექტური დამკვირვებლის შეფასების საშისროების მქონე და საშიშროების არმქონე მცდელობად.⁷⁹

ახალი ობიექტური თეორიით საფრთხის ცნება ახლებურად განიმარტა, ამ თეორიამ ობიექტური თეორიის პრობლემები ახლებურად განიხილა(კერძოდ აბსოლუტურად და

შეფარდებით უვარგისი მცდელობის დაყოფის სიძნელებები.) ახალი ობიექტური თეორიის მიხედვით აბსოლუტურად უვარგისი მცდელობა საშიშროების არმქონეა, ხოლო შეფარდებითი უვარგისი მცდელობა დასჯად საშიშ მცდელობას ითვლება.

⁷⁸ ქ.მჭედლიშვილი ჰედრიხი, დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები გვ 49

⁷⁹ ქ.მჭედლიშვილი ჰედრიხი, დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები გვ 50

ახალი ობიექტური თეორიის მიხედვით მცდელობის დასჯადობის საფუძველია პირის მიერ შექმნილი საფრთხე, უვარგისი მცდელობის დასჯადობა კი მესამე პირის, ობიექტური დამკვირვებლის მიერ საფრთხის შეფასების მიხედვით ისჯება.⁸⁰

ახალი ობიექტური თეორია დანაშაულის უვარგისი მცდელობისათვის დასასაბუთებლად იყენებს ისეთ თეორიებს რომელიც დამახასიათებელია შერეული თეორიისთვის, ამიტომაც თანამედროვე სისხლის სამართალი შერეულ თეორიას ანიჭებს უპირატესობას.

2.3 მცდელობის შერეული თეორია

თავდაპირველად დანაშაულის მცდელობის დასჯადობის საკითხის მიმართ შერეული სუბიექტურ-ობიექტური თეორიის გამოყენება მ. ტურავამ ჩამოაყალიბა. მან თქვა რომ ქართული სიუსხლის სამართლისთვის თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით მისაღებია ე.წ სუბიექტურ-ობიექტური თეორია ანუ შემაერთებელი თეორია, რომელიც ახდენს სუბიექტური და ობიექტური კრიტერიუმების კომბინაციას. მან თავის ნაშრომში შერეული თეორიის უპირატესობები წარმოაჩინა. ის არ ემხრობა მხოლოდ სუბიექტურ ან მხოლოდ ობიექტური თეორიის გამოყენებას, როდესაც საქმე ეხება დანაშაულის მცდელობის, მომზადების და დამთავრებული დანაშაულის ურთიერთგამიჯვნას, დაუმთავრებელი დანაშაულის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთება უნდა მოხდეს შერეული თეორიის საფუძველზე.

ობიექტური თეორიის მიხედვით დასჯადობის საფუძველს წარმოადგენს ქმედების შემადგენლობით დაცული ობიექტისათვის საფრთხის შექმნა, ხოლო წმინდა სუბიექტური თეორია არ არის გამოსადეგი, ის მომზადებას და აბსოლუტურად უვარგის მცდელობას ობიექტური თეორიით დასჯად მცდელობის შემთხვევებს უტოლებს, რადგან მათ შროს სუბიექტურად არ არის განსხვავება.⁸¹

ქართულ სისხლის სამართალში მცდელობის დასჯადობის საფუძველად სუბიექტურ-ობიექტურ თეორიას ან ახალ ობიექტურ თეორიას თვლიან, რომლის ამოსავალი წერტილი პირის სუბიექტური წარმოდგენაა, რომელიც კონკრეტულ ქმედებაში ან მისი ჩადენისათვის პირობების შექმნაში უნდა გამოიხატოს. შერეული თეორიით მცდელობის დასჯადობის საფუძველია საფრთხე, რომელიც პირმა ქმედებით შექმნა, ხოლო უვარგისი მცდელობისას პირი ისჯება იმიტომ, რომ თავის

⁸⁰ მ. ტურავა სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი 2018 გვ 265

⁸¹ მ. ტურავა სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი მერვ გამოცემა , თბილისი 2010 გვ 255

წარმოდგენაში სამართლებრივ სიკეთეს კონკრეტული საფრთხე შეუქმნა (სუბიექტური თეორია).

თუ რომელიმე სამართლის სისტემა უარყოფს სუბიექტური თეორიის გამოყენებას მაშინ ის ვერ გაამყარებს მოსაზრებას უვარგისი მცდელობის დასჯადობის თაობაზე. უვარგისი მცდელობაში პირის პასუხისმგებლობის საკითხი საბუთდება სუბიექტური თეორიით.⁸²

შუალობითი ამსრულებლის ქმედება რომ მცდელობად შეფასდეს სუბიექტური და ობიექტური თეორიებისგან ერთ-ერთის არჩევა ამ საკითხთან მიმართებით მეტად რთულია. გამყრელიძე ამბობს რომ შუალობითი ამსრულებლის მოქმედების კვალიფიკაცია უნდა მოხდეს ისე როგორც ხდება თანამონაწილეობის ქმედების კვალიფიკაცია, მისი ქმედების შეფასება დამოკიდებული უნდა იყოს „ცოცხალი იარაღის“ ქმედებებზე.⁸³ ამ საკითხთან მიმართებით განსხვავებული პოზიცია აქვს მჭედლიშვილ-ჰედრისს, შუალობითი ამსრულებლის მხრიდან ცოცხალი იარაღის დაყოლიება უკვე მომზადებაა.⁸⁴

⁸² მ. ტურავა სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი

⁸³ ო. გამყრელიძე თბილისი 2010 185

⁸⁴ ე. მჭედლიშვილი-ჰედრისი 2011 191

3. დანაშაულის მცდელობის სუბიექტური და ობიექტური მხარის თავისებურებანი

3.1 შეცდომის ზეგავლენა დანაშაულის მცდელობად კვალიფიკაციაში

სსკ-ის 36 მუხლით რეგულირდება შეცდომა.

სამართალში არსებობს ორი სახის მცდელობა: **სამართლებრივი შეცდომა** და შეცდომა, რომელიც ფაქტობრივ გარემოებაშია დაშვებული, **ფაქტობრივი შეცდომა**. შეცდომა არის პირისგან დამოუკიდებელი გარემოებებით მომხდარი არასწორი მოქმედება.⁸⁵ შეცდომა შეიძლება უკავშირდებოდეს დანაშაულის სამივე ნიშანს, ქმედების შემადგენლობას, მართლწინააღმდეგობას და ასევე ბრალს.

დანაშაულის სისტემაში პრობლემის განხილვის ადგილის მიხედვით შეცდომათა ორი ჯგუფი არსებობს: პირველ ჯგუფში არის შეცდომის ის სახეები რომლებიც ქმედების შემადგენლობის ეტაპზე განზრახვასთან კავშირში განიხილება ანუ წმინდა პაქტობრივი ხასიათის გარემოებები, ხოლო მეორე ჯგუფში განიხილება ბრალის და მართლწინააღმდეგობის ეტაპზე, ანუ წმინდა სამართლებრივი ხასიათის შეცდომები.⁸⁶

პირმა ფაქტობრივი ან სამართლებრივი შეცდომა შეიძლება დაუშვას თავის საზიანოდ ან სასარგებლოდ. მაგ: თუ პირი შეცდომას უშვებს თავის საზიანოდ, ანუ ფიქრობს რომ არსებობს ისეთი ფაქტობრივი გარემოება რომელიც ამძიმებს მის მდგომარეობას, ან აკეთებს ისეთ სამართლებრივ შეფასებას რომელიც მისი საზიანოა, სინამდვილეში კი ამას ადგილი არ აქვს, ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს მცდელობასთან, როცა საქმე ეხება ფაქტობრივ გარემოებას, ხოლო მაშინ როცა პირი სამართლებრივ შეფასებაში ცდება თავის საზიანოდ გვაქვს მოჩვენებითი დელიქტი, რისთვისაც ის არ დაისჯება.⁸⁷

ფაქტობრივი შეცდომა, - ქმედების შემადგენლობის ეტაპზე განზრახვასთან არის კავშირში ქმედების ეს სახე, ქმედების შეცდომა ეს იგივეა რაც ფაქტობრივი ხასიათის შეცდომა, რომელსაც პირი უშვებს ქმედების ობიექტურ შემადგენლობაში. ეს ნიშნავს პირის არასწორ წარმოდგენას ქმედების შემადგენლობის ერთ-ერთ ფაქტობრივ გარემოებაზე. ქმედების შემადგენლობის შეცდომის საკითხებს არეგულირებს სსსკ-

⁸⁵ გამყრელიძე, „ცხოვრება და კანონი“ 2011 გვ 2

⁸⁶ მ.ტურავა 2013 გვ 152

⁸⁷ მ.ტურავა 2013 გვ 152

ის მე-9 და მე-10 მუხლები, რომლებიც ეხება განზრახვას და გაუფრთხილებლობას. ფაქტობრივი შეცდომა გამოირიცხავს განზრახვის არსებობას და პასუხისმგებლობას აყენებს მხოლოდ გაუფრთხილებლობისთვის, თუმცა შეიძლება გაუფრთხილებლობაც გამოირიცხოს.

ფაქტობრივი შეცდომა პირმა შეიძლება ჩაიდინოს თავის საზიანოდ, როდესაც ფიქრობს რომ იგი ახორციელებს ქმედებას დამამძიმებელ გარემოებაში.

შეცდომა **მიზეზობრივ კავშირში** მაშინ გვაქვს სახეზე, როდესაც შედეგი დადგა მიზეზობრივი კავშირის არა ისეთი განვითარებით როგორსაც დამნაშავე ვარაუდობდა, არამედ მოვლენათა განვითარებაში მოხდა ცვლილება.⁸⁸ მიზეზობრივ კავშირში შეცდომა არ ნიშნავს დანაშაულებრივი შედეგის აუცილებლად თავიდან აცილებას, პირიქით დანაშაულებრივი შედეგი დგება თუმცა მიზეზობრივი კავშირი განიცდის ცვლილებას. მიზეზობრივ კავშირში შეცდომა ყოველთვის არ იწვევს ცვლილებას სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისას, მხოლოდ მაშინ იწვევს როდესაც ადგილი აქვს „**არსებით გადახრას**“, ეს ნიშნავს წინასწარ განსაზღვრულისგან განსხვავებულ მოვლენას, რომელსაც დამნაშავე წინასწარ ვერ განჭვრეტდა.⁸⁹

მაგ: ა.-მ ბ.-ს ესროლა ტყვია, აცდა ბ.-ს და მოხვდა ბენზინით სავსე ცისტერნას, რომელიც აფეთქდა და დაიღუპა ბ. აქ დამნაშავემ დაუშვა შეცდომა მიზეზობრივ კავშირში, თუმცა განზრახული მიზანი, განზრახ მკვლელობა დადგა.

შეცდომა არის ადამიანის არასწორი მოქმედება, რომელიც მისგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო ხდება.⁹⁰

შეცდომა ასევე არსებობს დანაშაულის **საგანში**, რომლის შესახებაც თოდუა ამბობს, რომ მაგ: ვინმე იპარავს ნარკოტიკურ ნივთიერებას, სინამდვილეში იგი მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა სხვა ნივთს, რომელიც არ არის ნარკოტიკული საშუალება, ეს არის დანაშაულის მცდელობა და ამას უწოდებენ ასევე დანაშაულის საგანში დაშვებული შეცდომა.

შეცდომა ასევე შეიძლება იყოს დანაშაულის ჩადენის **საშუალებაში**, რომელიც არის მაკვალთფიცირებელი გარემოება. დამნაშავე იყენებს დანაშაულის ჩასადენად ისეთ საშუალებას, რომელიც არ ჰგონია ძლიერმოქმედი, თუმცა დანაშაულებრივ შედეგს ეს საშუალება იმაზე ადრე დააყენებს ვიდრე დამნაშავეს აქვს ეს განზრახული. ამასთან დაკავშირებით თავის მოსაზრებას გამოთქვამენ სამართლის ემპირიკები, თოდუა ამბობს რომ ასეთი ქმედება არის დანაშაული ჩვეულებრივი მკვლელობა, რადგან დანაშაულის საშუალებაში დაშვებული შეცდომა

⁸⁸ მ.ტურავა 2013 გვ 154

⁸⁹ მ.ტურავა თბილისი 2013 გვ 154

⁹⁰ გამყრელიძე „ცხოვრება და კანონი“ გვ 2

კვალიფიკაციას ვერ შეცვლის და არ იქნება დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობის მსდელობა.

მიზეზობრივ კავშირში დაშვებული შეცდომა კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს, თუმცა არსებობს საპირისპირო თეორია, „განცალკევების თეორია“, ამ თეორიის უპირატესობა ის არის რომ განზრახვა აუცილებლად უნდა აიყოს სახეზე ქმედების ჩადენის დროს. ეს თეორია აყალიბებს შემდეგ მიდგომას, რომ ქმედება კომბინირებულად უნდა შეფასდეს, განზრახვა-გაუფრთხილებლობით, მკვლელობის მსდელობა და სიცხოცხლის მოსპობა. თუმცა თუ სახეზეა ფაქტი რომ პირველი ქმედების განხორციელებისას პირი მაინც მოკვდებოდა ხოლო მეორე ქმედებამ დააჩქარა შედეგი, ეს ვერ შეფასდება როგორც დანაშაულის მსდელობა.⁹¹

სისხლის სამართალში არსებობს შეცდომა პიროვნებაში და ობიექტში, ეს გავლენას არ ახდენს კვალიფიკაციაზე. ხოლო იმ შემთხვევაში თუ პირი უფრო ნაკლები ღირებულების სამართლებრივ სიკეთეს დააზიანებს შეცდომით, ასეთ შემთხვევაში კვალიფიკაცია იცვლება. პიროვნებასა და ობიექტში შეცდომა როდესაც არის გადამწყვეტია რეალურად ხელყოფილი სამართლებრივი სიკეთე იყო თუ არა თანაბარმნიშვნელოვანი იმ სამართლებრივი სიკეთისა რომლის ხელყოფაც იყო გადამწყვეტილი.⁹²

სხვადასხვა ღირებულების სამართლებრივ სიკეთეებში, როცა ტყვეა აცდება ადამიანს და გაანადგურებს სხვის ძვირადღირებულ ნივთს, ეს კვალიფიკაციაზე მოახდენს გავლენას, აქ სახეზეა განზრახვი დანაშაულის მსდელობა და გაუფრთხილებლობით დანაშაული.⁹³

შეცდომის კიდევ ერთ სახედ შეიძლება მივიჩნიოთ დაზარალებული, რომელიც არის „შეცდენის მსხვერპლი“ ამ შემთხვევაში დამნაშავე დაზარალებულს ატყუებს და ამ გზით აღწევს მართლსაწინააღმდეგო შედეგს, ამის მაგალითი მოყვანილია ლეკვეიშვილის ნაშრომში მაგ: დამნაშავე სათამაშო იარაღის მუქარით დაზარალებულს ართმევს ქონებას, ხოლო დაზარალებულს ეს ჰგონია ნამდვილი იარაღი. ქმედების განხორციელების პროცესში შეცდომას უშვებს არა დამნაშავე არამედ დაზარალებული.

ასევე შესაძლებელია დაზარალებულმა ან მესამე პირმა შეაცდინოს დამნაშავე, ასეთ შემთხვევაში ხდება უფრო დიდი სამართლებრივი სიკეთის დაზიანების თავიდან აცილება. ესეთი ქმედებები შეიძლება შეფასდეს დანაშაულის მსდელობად.

⁹¹ მ.ტურავა 2013 გვ 145

⁹² მ.ტურავა 2013 გვ 157

⁹³ მ.ტურავა 2013 გვ 157

3.2 ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობა

ამ ნაშრომში ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობა არის აქტუალური და პრობლემური საკითხი, ამიტომაც ამ თემას ეთმობა ეს ქვეთავი, სადაც დანაშაულის სუბიექტურ შემადგენლობას განვიხილავთ. კვლევაში განხილულია იმ სამართლის მეცნიერთა პოზიციები რომლებიც არ უშვებენ დაუშთავრებელი დანაშაულის ევენტუალური განზრახვის ეტაპზე დასჯადობას. ნაშრომში ჩამოყალიბებული პოზიცია დაუშთავრებელი დანაშაულის სუბიექტურ მხარედ არ მიიჩნევს ევენტუალურ განზრახვას, ის მხოლოდ პირდაპირ განზრახვას აღიარებს, რადგან პირდაპირი განზრახვის დროს შედარებით ადრეულ სტადიაზე გხდება დასჯადობის გადატანა, რაც მეტად ხელსაყრელად არის მიჩნეული ქმედების სუბიექტური შემადგენლობისთვის.

დანაშაულის მცდელობის სუბიექტურ შემადგენლობას ეხება დანაშაულის განზრახვის საკითხი, რაც სამართალში საკმაოდ პრობლემური და აქტუალური საკითხია. სუბიექტურ ნიშნებთან დაკავშირებით იკვეთება სხვადასხვა აზრი სამართლის მეცნიერებაში, აზრთა სხვადასხვაობა ამ საკითხთან დაკავშირებით არის როგორც ქართულ ასევე გერმანულ სისხლის სამართალში, კერძოდ სუბიექტური მხარის შესახებ პოზიციები ორ ნაწილად იყოფა, ის რომ დანაშაულის მცდელობა გაუფრთხილებლობით შეუძლებელია განმტკიცებულია სამართლის ლიტერატურაში. დანაშაულის მცდელობა განზრახ მოქმედებას მოიცავს და სწორედ ამასთან დაკავშირებით იყოფა მეცნიერთა აზრები ორად. მეცნიერთა ერთი მხარე ავითარებს პოზიციას, რომ განზრახვა დანაშაულის მცდელობაში შეიძლება იყოს მხოლოდ პირდაპირი და ევენტუალური განზრახვის არსებობას ანაცვლებენ იმ საფრთხის შემქმნელი დელიქტებით, რომელიც გვაქვს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, ხოლო მეორე მხარე ემხრობა დანაშაულის მცდელობას როგორც პირდაპირი ასევე (ევენტუალური) განზრახვით.

ქართულ სისხლის სამართალში განზრახვის ორი სახე არსებობს, პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვა, რომელიც სსკ-ის მე-9 მუხლით რეგულირდება. პირდაპირი განზრახვა გვაქვს ორი სახის პირველი ხარისხის და მეორე ხარისხის, პირდაპირ განზრახვაში დამნაშავე ითვალისწინებს რომ აუცილებლად დადგება მართლსაწინააღმდეგო შედეგი, არაპირდაპირ განზრახვაში კი დამნაშავეს არ სურს შედეგის დადგომა თუმცა გულგრილად ეკიდება ამ საკითხს.

იურიდიულ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, დანაშაულის მცდელობის სუბიექტურ შემადგენლობად მხოლოდ პირდაპირი განზრახვა ითვლება თუ ასევე არაპირდაპირი

ანუ ევენტუალური? ეს საკითხი პრობლემატურია როგორც სამართლის თეორიაში ასევე პრაქტიკული მიმართულებითაც. ამ ნაშრომში ჩატარებული კვლევა ემხრობა

დანაშაულის მცდელობის მხოლოდ პირდაპირ განზრახვას და ევენტუალური განზრახვა დანაშაულის მცდელობისას დაუშვებელია.

ქართულ სამართალში დანაშაულის მცდელობას მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ემხრობა სამართლის მეცნიერთა დიდი ნაწილი. ქართულ სამართლის თეორიაში გაბატონებულია შეხედულება, რომ დანაშაულის მცდელობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შეიძლება, ევენტუალური განზრახვით ჩადენილი ქმედება კი კონკრეტულად დამდგარი შედეგის მიხედვით უნდა დაკვალიფიცირდეს.⁹⁴ ევენტუალური განზრახვის დროს დამდგარი შედეგი პირის მიზანს არ შეესაბამება, მიზანი კი მცდელობის მთავარი ელემენტია, აქედან გამომდინარე ევენტუალური განზრახვით მცდელობა შეუძლებელია.⁹⁵ სამართლის მეცნიერები მცდელობას მიზანმიმართულ საქმიანობად მიიჩნევენ, რაც მხოლოდ პირდაპირ განზრახვაში გამოიხატება, ხოლო არაპირდაპირი განზრახვისთვის მიზანი და შედეგის დადგომის სურვილი არ არის დამახასიათებელი.

ის რაც დამნაშავეს არ სურს, ლოგიკურად შეუძლებელია მისი განხორციელების მცდელობა.⁹⁶

ის მეცნიერები რომლებიც გამოირიცხავენ ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობას, ქმედების სუბიექტური შემადგენლობისას არაპირდაპირ განზრახვას დამდგარი შედეგის მიხედვით აკვალიფიცირებენ.⁹⁷

ზოგიერთი მეცნიერი კი ამბობს რომ მცდელობა ევენტუალური განზრახვით ისევეა შესაძლებელი, როგორც პირდაპირით. დანაშაულის მცდელობისთვის აუცილებელი არ არის პირდაპირი განზრახვა, არამედ სავსებით საკმარისია ევენტუალური განზრახვის დადგენა. ეს პოზიცია ბოლო წლების მანძილზე მკვიდრდება ქართულ სისხლის სამართალში და აღიერებს ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობას.⁹⁸ ტურავას ამ პოზიციის გასამყარებლად შემოქმედდა „ნორმატიული სურვილის ცნება“ რაც არის ნებელობის ფართო გაგება. ამ ცნებით ის ასახულებს არა მარტო მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვით მცდელობას არამედ ევენტუალურ მცდელობასაც. ტურავას აზრით დანაშაულის მცდელობა განზრახვის ორივე სახით არის შესაძლებელი, ის არგუმენტებს იშველიებს ამ აზრის გასამყარებლად და ამბობს, რომ რამდენადაც ქმედება და შედეგი ევენტუალური განზრახვის დროს ნებელობითია, შედეგთან უშუალოდ მიმართულია ისიც, ევენტუალური განზრახვის დროს ნებელობითი

⁹⁴ ქ.მჭედლიშვილი-ჰედრიხი გვ 71

⁹⁵ დვალიძე, ავტ.კოლ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, გვ 169

⁹⁶ თ.წერეთელი გვ 180

⁹⁷ გ. მამულაშვილი გვ 123

⁹⁸ მ.ტურავა

ელემენტი შედეგის მიღწევის სურვილით არუნდა იყოს მოცული და ერთმნიშვნელოვნად არ უნდა იქნეს გაგებული „არამედ აუცილებელია მისი ნორმატიული გაგება.“⁹⁹ მონინაალმდევე მხარე გამოიხატავს დანაშაულის მცდელობას ევენტუალური განზრახვით და ამის საპირისპირო არგუმენტი მოჰყავს ლ.ხარანაულს თავის დისერტაციაში, სადაც ის წერს რომ „სიტყვები უშუალოდ და მიმართული მცდელობის ობიექტურ მხარეს გამოხატავენ და არა სუბიექტურს და ამიტომ ეს არ გამოდგება საწინააღმდეგო მხარის არგუმენტად.“

ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის არსებობის მომხრეა ასევე მეცნიერი ლ.ხარანაული ის თავის ნაშრომში ამ აზრის გასამყარებლად წერს, რომ „პირი გაუპატიურებისას ქალს ყელზე უჭერს ხელს ძლიერად იმ აზრით, რომ ამ ქმედებას მოყვება სიკვდილი ან ჯანმრთელობის დაზიანება. ამასთან დაკავშირებით ხარანაული ამბობს რომ ეს იყო ევენტუალური განზრახვა და თუ ჩვენ ამას არ სევადვასებთ როგორც ევენტუალურ განზრახვას მივიღებთ უსამართლობას.¹⁰⁰ ქმედების სუბიექტი მოქმედების პირდაპირი განზრახვით, მისთვის ან ერთი შედეგი დადგება პირის სიკვდილი ან ჯანმრთელობის დაზიანება, თუმცა დამნაშავე არ ანიჭებს უპირატესობას არცერთ შედეგს და ითვალისწინებს მათი დადგომის სესაძლებლობას. ამიტომაც კვლევა არ ემხრობა ხარანაულის პოზიციას რადგან აქ გვაქვს არა ავენტუალური არამედ პირდაპირი განზრახვა და არ შეიძლება სხვაგვარად მოხდეს კვალიფიკაცია.

მეცნიერთა მესამე ნაწილი კი მიიჩნევს რომ, ევენტუალური განზრახვა თეორიულად შესაძლებელია დანაშაულის მცდელობისას, მაგრამ მისი დასჯა პრაქტიკული თვალსაზრისით გაუმართლებელია.¹⁰¹

ქართულ სისხლის სამართალში წლების მანძილზე იყო საუბარი ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესახებ, შემდეგ კი ჩამოყალიბდა დანაშაულის პირდაპირი განზრახვით მცდელობა და საფრთხის შემქმნელის დელიქტების მოსალოდნელ შედეგთან ევენტუალური განზრახვა. ეს მიდგომა არსებობდა ძველ საბჭოთა სისხლის სამართალში და მაშინ ჩამოყალიბდა დანაშაულის მცდელობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.¹⁰²

ქართულ სისხლის სამართალში დღესდღეობით ჩამოყალიბებულია ევენტუალური განზრახვით მცდელობის შეუძლებლობის თეორია. ამას ასაბუთებენ სსკ-ის მე-19 მუხლით, რომელიც ამბობს რომ დანაშაულის მცდელობა განზრახი

⁹⁹ მ.ტურავა 2011 თბილისი გვ 287

¹⁰⁰ ლ.ხარანაული 2013 გვ 187

¹⁰¹ ლ.ხარანაული გვ 155

¹⁰² სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება N9.1963. საბჭოთა სამართალი

ქმედებაა რომელიც მიმართულია უშუალოდ დანაშაულის ჩასადენად. სიტყვებში „უშუალოდ“ და „მიმართული“ მიუთითებს პირდაპირ განზრახვაზე და აქ გამოირიცხება ევენტუალური განზრახვა.¹⁰³ კონკრეტული დანაშაულებრივი შედეგის მიღწევისკენ უშუალო სწრაფვა მხოლოდ პირდაპირი განზრახვისთვის არის დამახასიათებელი, ხოლო ევენტუალური განზრახვის დროს ეს შედეგი თანმდევია.¹⁰⁴ გაუფრთხილებლობით მცდელობა არ არსებობს, კანონიდან გამომდინარე მცდელობა განზრახი ქმედებაა. მცდელობას ახასიათებს პირდაპირი განზრახვა, ეს უდაო საკითხია სამართლის მეცნიერებაში.

სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში გვაქვს მუხლები რომლებიც არაპირდაპირი განზრახვით მცდელობას გამოირიცხავენ. თუ ევენტუალური განზრახვით ქმედებას შედეგი არ მოყვება, ეს დაკვალიფიცირდება საფრთხის შემცველი დელიქტების შესაბამისი მუხლით და არა დანაშაულის მცდელობად. სსკ-ის 127-ე და 128-ე მუხლები კანონმდებელმა იმიტომ შეიტანა კოდექსის კერძო ნაწილში რომ გაუფრთხილებლობი და არაპირდაპირი განზრახვით მცდელობა შეუძლებელია.¹⁰⁵ ტურავა ამასთან დაკავშირებით კი ამბობს რომ დასახელებულ დელიქტებში მოსალოდნელ შედეგთან მხოლოდ გაუფრთხილებლობა იგულისხმება, ასევე ეს შვეიცარიის კანონმდებლობაში და ჩვენ კანონმდებლობაშიც შვეიცარიის სამართლიდან დაფუძნდა. კარლ შტოსი არის ის ვისაც ეკუთვნის ზემოაღნიშნული ნორმების იდეა და ის ამბობს რომ დანაშაულის მცდელობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით არის შესაძლებელი, ხოლო იმავე საფრთხე თუ არაპირდაპირი განზრახვით შეიქმნება, ქმედება საფრთხის შემქმნელი სპეციალური ნორმებით უნდა დაკვალიფიცირდეს.¹⁰⁶ გერმანიაში და შვეიცარიაში ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობა აბსოლუტურად მისაღებია.¹⁰⁷ ხოლო ამის საპირისპირო მოსაზრებას აყალიბებს მჭედლიშვილი-ჰედრიხი და ამბობს რომ ამ ქვეყნებში პრობლემურია ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის კვალიფიკაცია და სასამართლოს ურჩევნია ქმედება საფრთხის შემქმნელ დელიქტად დააკვალიფიციროს, გერმანიაში ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის კვალიფიკაციის გამოყენებას იმით ხსნიან რომ მათ არ აქვთ საფრთხის შემქმნელი დელიქტები.¹⁰⁸

სსკ-ის 109 მუხლი გულისხმობს „მკვლელობა ისეთი საშუალებით რომელიც განზრახ საფრთხეს უქმნის სხვათა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას“ ამ მუხლის ეს

¹⁰³ ი. დვალაძე თბილისი 2008 გვ 92

¹⁰⁴ ქ.მჭედლიშვილი-ჰედრიხი გვ 80

¹⁰⁵ ქ.მჭედლიშვილი-ჰედრიხი გვ 78

¹⁰⁶ გ. მამულაშვილი 2008 თბილისი გვ 127

¹⁰⁷ მ. ტურავა თბილისი 2013 გვ 138

¹⁰⁸ მჭედლიშვილი-ჰედრიხი. 2011 გვ 76-77

დეფინიცია არ იქნებოდა საჭირო თუ ეს ქმედება ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობად დაკვალიფიცირდებოდა და დაისჯებოდა, თუმცა პირი სხვისი სიცოცხლის მოსპობას არ ცდილობს, იყენებს მხოლოდ საფრთხის შემქმნელ საშუალებებს და კანონმდებელმაც შემოიღო საფრთხის შემქმნელი დელიქტები.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება დაუმთავრებელი დანაშაულის შემადგენელი ნაწილია, ის განზრახული ქმედებიდან გააზრებულ და საბოლოო ხელის აღებას მოითხოვს პირისგან და სამაგიეროდ სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებას პირდება. პირი ევენტუალური განზრახვით საზოგადოების თავშეყრის ადგილას გაისვრის იარაღს და საფრთხეს შეუქმნის სხვა პირთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, გასროლის შემდეგ ჩვეულებრივად განაგრძობს გზას, ხოლო პირდაპირი განზრახვით მოქმედი პირი, უმიზნებს ადამიანს იარაღს მოკვლის განზრახვით, თუმცა შემდეგ რატომღაც გადაიფიქრებს და არ გაისვრის. პირველი პირის დასჯა უნდა მოხდეს ევენტუალური განზრახვით მკვლელობის მცდელობისთვის, რადგან ნებაყოფლობით არ აიღო ხელი დანაშაულის ჩადენაზე, ამ შემთხვევაში არასამართლიანია გადაწყვეტილება, ევენტუალური განზრახვით მოქმედი პირი დაისჯება ხოლო ის ვისაც პირადპირი განზრახვა ჰქონდა აიცილებს სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას. ამ არგუმენტს იშველიებენ სამართლის ის მეცნიერები რომლებიც დანაშაულის მცდელობაში გამორიცხავენ ევენტუალური განზრახვის ინსტიტუტს.

„თვით სიტყვის „მცდელობა“ ეტიმოლოგიური ხასიათი, იმაზეა მიმანიშნებელი, რომ კაცს რაღაც სურს და ცდილობს ამის მიღწევას. ევენტუალური განზრახვა კი სურვილს გამორიცხავს, უკვე ნათელია ამ ორი მომენტის შერწყმის შეუძლებლობა“¹⁰⁹

სასამართლო პრაქტიკაში ნელ-ნელა ყალიბდება ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობა. ქართული სასამართლო პრაქტიკა დანაშაულის მცდელობის შემადგენლობაში მხოლოდ პირდაპირ განზრახვას განიხილავს, ეს მის გადაწყვეტილებაშია მითითებული.¹¹⁰

განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან სადაც ქმედების კვალიფიკაცია არ მოხდა ევენტუალური განზრახვით და ამ კვალიფიკაციას თავი აარიდა სასამართლომ. უზენაესმა სასამართლომ 2004 წლის გადაწყვეტილებით ძალაში დატოვა ქვემდგომი სასამართლოს მიღებული კვალიფიკაცია სსკ-ის 128-ე მუხლთან დაკავშირებით. საქმეში „ა“ გადაჭარბებული სიჩქარით მართავდა სატრანსპორტო საშუალებას(ავტობუსი) და დაეჯახა 3 ადამიანს, ისინი აღმოჩნდნენ

¹⁰⁹ სურგულაძე, თბილისი 2002 გვ 22

¹¹⁰ სუგს-ის N33აპ-18 განაჩენი, 21 მაისი 2018; სუგს-ის N227აპ-16 განაჩენი, 29 სექტემბერი 2016; სუგს-ის N64აპ-18 განაჩენი. 29 ივნისი 2018

სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში, ერთი კი არხში გადავარდა, მძლოლმა მომხდარი საკმაოდ კარგად გაიაზრა მაგრამ არ გაჩერდა და წავიდა, დაზარალებულები ისე დატოვა. 3 დაზარალებულისგან ერთი გარდაიცვალა. მძლოლს ჰქონდა არაპირდაპირი განზრახვა მოსალოდნელ შედეგთან, იმის მიუხედავად რომ ყველა მტკიცებულება მძლოლის მხრიდან შედეგის დაშვებაზე მიუთითებდა სასამართლომ ეს შემთხვევა დააკვალიფიცირა გაუფრთხილებლობით სატრანსპორტო დანაშაულად და განსაცდელში მიტოვებდა.¹¹¹

სასამართლო პრაქტიკაში მართებულად მიუთითებენ იმაზე, რომ ქმედების დანაშაულის მცდელობას შეფასების დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა განზრახვის დადგენას და მისი შინაარსის განსაზღვრას ენიჭება. მაგ: თუ გვინდა მკვლელობის მცდელობად კვალიფიკაცია სასამართლომ უნდა გამოარკვიოს დამნაშავე იაზრებდა თუ არა რომ სიკვდილი დადგებოდა, სურდა თუ არა ეს შედეგი და თუ არ სურდა გულგრილად ხომ არ უშვებდა მისი დადგომის შესაძლებლობას.¹¹² თუ განზრახვა არგვაქვს სახეზე არ შეიძლება ასეთი ქმედება მცდელობად შეფასდეს. დანაშაულის მცდელობა დამთავრებული დანაშაულის გამოვლენილი ფორმაა, მცდელობის დროს განზრახვის განსაზღვრისთვის სსკ-ის მე-9 მუხლით ხელმძღვანელობაა საჭირო. ამ მუხლში გვაქვს განზრახვის ცნება და სახეები. განზრახვა დაფუძნებულია ნებელობაზე, ცოდნაზე და მართლწინააღმდეგობაზე. დანაშაულის მცდელობისას განზრახვა ისეთი უნდა იყოს, როგორც ის არის დამთავრებული დანაშაულის შემთხვევაში.

განზრახვისთვის აუცილებელია არსებობდეს დანაშაულის ჩადენის დროს, იმ შემთხვევაში თუ პირს ქმედების დანაშაულისას ანუ პირველი აქტის დროს არ ამოძრავებს განზრახვა და განზრახვა მხოლოდ მეორე აქტის დროს წარმოეშვა, პირველი შემთხვევა არ უნდა შეფასდეს მცდელობად.¹¹³

სასამართლო პრაქტიკის მაგალითიდან ჩანს რომ, სასამართლო დასრულებულ დანაშაულშიც თავს იკავებს ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობა დააკვალიფიციროს, „ა“-მ „ბ“-ს მუცლის არეში მრავლობითი დაზიანება მიაყენა, რასაც შედეგად პირის გარდაცვალება მოჰყვა და არ არსებობდა მტკიცებულება რომლის მიხედვითაც დანაშაულებრივი შედეგი არ დადგებოდა, სასამართლომ ქმედება სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია) დააკვალიფიცირა ¹¹⁴

¹¹¹ სუზს განჩინება N370-აპ. 15 ნოემბერი 2005.

¹¹² კრებული: საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2010 წლის 11/01 განჩინება #3 გვ 8

¹¹³ მ.ტურავა 2010 გვ 310

¹¹⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი. 26 მარტი 2014. და .1 აგვისტო 2014. განაჩენი; სუზს N209 აპ განჩინება. 21 ივნისი 2006

სასამართლო ქმედებას არ აკვალიფიცირებს მკვლევლობად მიუხედავად იმისა რომ ევენტუალური განზრახვით დადგა შედეგი. მტკიცებულებები პირის არაპირდაპირ განზრახვაზე მიუთითებდა, მიუხედავად იმისა, რომ დადგა მართლსაწინააღმდეგო შედეგი.

განზრახვა არის „შეურყვევლი“ და „სტაბილური“ გადანყვეტილება.¹¹⁵ საზღვარგარეთის სისხლის სამართალში განზრახვას გამოყოფენ განზრახვისაგან, კერძოდ ევენტუალური განზრახვა რამდენად ითვლება განზრახვად ამაზე საფრანგეთს სისხლის სამართლის თეორიაში აქვს მოსაზრება და მას გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულებში განიხილავს.¹¹⁶ ქართულ სისხლის სამართალში და გერმანულ კანონმდებლობაში ევენტუალური განზრახვა განზრახვის სახედ მოიაზრება.¹¹⁷

„პირი ნასიამოვნებიც კი დარჩებოდა, თუ მის მიერ გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში შედეგი არ განხორციელდებოდა“¹¹⁸ პირი რომელიც მოქმედებს ევენტუალური განზრახვით მას არ აქვს მისწრაფება დადგეს მართლსაწინააღმდეგო შედეგი.

ნაშრომში ჩატარებული კვლევა მხარს უჭერს ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის შეუძლებლობას, ვინაიდან ქართულ სისხლის სამართალში არსებობს საფრთხის შემქმნელი დელიქტები არ შეიძლება ევენტუალური განზრახვით დაკვალიფიცირდეს ქმედება. სსკ-ის 127-ე 128-ე 129-ე 130-ე ეს მუხლები საფრთხის შემქმნელ დელიქტებს წარმოადგენენ, ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში როდესაც პირი საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს აქვს არაპირდაპირი განზრახვა შედეგისადმი და თუ განზრახვა პირდაპირია მაშინ დანაშაულის მცდელობად უნდა დაკვალიფიცირდეს.

როგორც მივხვდით ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობა დაუმთავრებელი დანაშაულის პრობლემური და აქტუალური საკითხია, ის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში იწვევს დავას, მაგალითად საფრანგეთში ევენტუალური განზრახვა გამოტანილია განზრახვის ინსტიტუტიდან და ფრანგულ კანონმდებლობაში მას გაუფრთხილებლობის სისტემაში მოიაზრებენ. საქართველოში ევენტუალური განზრახვის განზრახვის სისტემიდან გამოტანის საკითხი მერაბ ტურავას ეკუთვნის.¹¹⁹ ქართულ სისხლის სამართალში გამოცალკევება იმიტომ იქნებოდა კარგი რომ განზრახვაში მხოლოდ ნამდვილი ანუ პირდაპირი განზრახვა იქნებოდა.

ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობა ქმნის პრობლემას ევენტუალურ განზრახვასა და თვითიმედოვნებას შორის ზღვარის გავლების.

¹¹⁵ დ.უზნაძე ზოგადი ფსიქოლოგია 1964 გვ 196

¹¹⁶ კ. წიქარიშვილი 2008. ევენტუალური განზრახვა თანამედროვე დასავლეთევროპულ და ამერიკულ სისხლის სამართალში, მართლმსაჯულება N3. 42-43.

¹¹⁷ თ.ცქეტიშვილი. 2014. სტატია.

¹¹⁸ მაყაშვილივ. 1965. ევენტუალური განზრახვის საკითხისთვის, საბჭოთა სამართალი N4. 19.

¹¹⁹ მ. ტურავა 2011. თბილისი გვ 288-289.

ევენტუალური განზრახვა საფრთხის დელიქტებში

ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირი აცნობიერებს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობას და ითვალისწინებს აასეთი შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა არ სურს ეს შედეგი მაგრამ გულგრილად ეკიდება ამ საკითხს ეს ცნება ჩამოყალიბებულია სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლში.¹²⁰

ევენტუალური განზრახვა შეიძლება გამოიხატოს კონკრეტული საფრთხის დელიქტებში, კონკრეტული საფრთხეც თავისი შინაარსით შედეგია, პირდაპირი განზრახვა და ევენტუალური განზრახვაც მიმართულია შედეგიან დელიქტებზე.

როდესაც პირი ევენტუალური განზრახვით მოქმედებს მისი მიზანი არ არის მართლწინააღმდეგო შედეგი, დამნაშავეს სურვილი იქნებოდა არ დამდგარიყო მართლწინააღმდეგო შედეგი მის მიერ განხორციელებული ევენტუალური განზრახვით ქმედებისას.¹²¹

ევენტუალური განზრახვა არის **კონკრეტული და აბსტრაქტული** ხასიათის საფრთხის დელიქტებში. თუმცა მეცნიერთა ერთი ნაწილი არ უშვებს აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტებში ევენტუალურ განზრახვას. სამართლის მეცნიერები მამულაშვილი და მაცაშვილი უშვებენ ევენტუალურ განზრახვას აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტებში. მაცაშვილი ევენტუალური განზრახვის შესაძლებლად მიიჩნევდა აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტებში და ამასთან დაკავშირებით თქვა: მაშინ როდესაც სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა ქმედებს ჩადენის ფაქტს უკავშირდება, ქმედებას უნდა ჰქონდეს გარკვეული თვისობრიობა, თვისობრიობაში იგულისხმება ის რომ ქმედება უნდა ატარებდეს საზოგადოებისთვის საშიშ ხასიათს. სუბიექტის ფსიქიკური წარმოდგენა და აზრები უნდა იყოს ქმედებასთან დაკავშირებული რათა დავასაბუთოთ განზრახვა. თუ დამნაშავეს გააზრებული არააქვს დანაშაულის შემადგენლობაში არსებული ნიშნები, რამაც ქმედება დააკვალიფიცირა დანაშაულად ამ შემთხვევაში განზრახვის საკითხი არც მოიაზრება. ევენტუალური განზრახვა როდესაც არის პირი უშვებს თავის წარმოდგენაში რომ დანაშაულებრივი ხასიათის ქმედებას ახორციელებს ეჭვობს და უშვებს ამას. პირდაპირი განზრახვის დროს კი დამნაშავე ქმედებას თავისი ნებით და

¹²⁰ სსკ-ის მე-9 მუხლის მესამე ნაწილი

¹²¹ ვ. მაცაშვილი ევენტუალური განზრახვის საკითხისთვის „საბჭოთა სამართალი“ 1965 #4 გვ 19

წინასწარი გათვლით ახორციელებს, ის დარწმუნებულია და იცის რომ ქმედებას ახასიათებს დანაშაულებრივი ნიშნები.¹²²

საბჭოთა სისხლის სამართალში აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში პირდაპირი და ევენტუალური განზრახვის გამიჯვნა არამართებულად მიაჩნდათ. ამ მოსაზრებას აკრიტიკებდა მეცნიერი უგრეხელიძე და ამბობდა არ შეიძლება არსებობდეს დანაშაულის სუბიექტური მხარე რომელშიც არ გამოიხატება არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი განზრახვა.¹²³

აბსტრაქტული ხასიათის საფრთხის შემქმნელი დელიქტების ევენტუალური განზრახვისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ფაქტი, რომელიც მოგვცემს შესაძლებლობას, რამდენად შეიძლება ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ აბსტრაქტული საფრთხის დრო და სივრცე. ამასთან დაკავშირებით სამართლის ლიტერატურაშიც აზრები იყოფა, ერთი მხრივ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში ქმედებისგან აბსტრაქტული საფრთხის გამოყოფა შეუძლებელია, რადგან აბსტრაქტული საფრთხე მხოლოდ ქმედების თვისებაა, ამ აზრის განვითარებას საბოლოოდ ის სედეგი მოაქვს რომ ევენტუალური განზრახვა აბსტრაქტული საფრთხის არსებობისას არ არსებობს. როდესაც პირი ახორციელებს ქმედებას ის ქმნის აბსტრაქტულს სფრთხესაც და პირი არ უშვებს იმას რომ ქმედება დაკარგავს საზოგადოებისთვის საშიშ ხასიათს.

მეორე მხრივ აბსტრაქტული საფრთხე შეიძლება გავმიჯნოთ დროით და სივრცით ქმედებისაგან, ანუ დამნაშავე ვარაუდობს რომ გარკვეულ დროს და შესაბამის ადგილას დროთა განმავლობაში შეიძლება ქმედებას არ მოჰყვეს აბსტრაქტული საფრთხის შექმნა, ამას ასევე ხელს შეუშლის კონკრეტული გარემოება. ეს კონკრეტული პოზიცია ევენტუალური განზრახვით საფრთხის შექმნის შესაძლებლობას უშვებს.¹²⁴

გერმანულ სამართალში შეხედულებები ევენტუალური განზრახვის მცდელობის შესაძლებლობის შესახებ.

გერმანულ სისხლის სამართალში დანაშაულის მცდელობის განზრახვა არსებობს პირდაპირი და არაპირდაპირი. ევენტუალური განზრახვით მცდელობასთან დაკავშირებით უამრავი მოსაზრებაა გამოთქმული გერმანულ ლიტერატურაში. მეცნიერთა უმცირესობა ამბობს რომ ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობა გამორიცხულია.¹²⁵

¹²² თ.ცქიტიშვილი გვ 133

¹²³ მ. უგრეხელიძე გვ 14

¹²⁴ თ.ცქიტიშვილი გვ 136

¹²⁵ Pahlke 1993 გვ 24-25

მცდელობის დასჯადობა შესაძლებელია, როგორც პირდაპირი ასევე არაპირდაპირი განზრახვით. გერმანელი სამართლის მეცნიერების უმრავლესობა ამბობს რომ დამთავრებული დანაშაულის ევენტუალური განზრახვა თუ დასჯადია ასევე შესაძლებელია დანაშაულის მცდელობა ევენტუალური განზრახვით.

შესაძლებელია პირს არ უნდოდეს დანაშაულებრივი ქმედების ბოლომდე მიყვანა, მისი მიზანი კი მცდელობის ეტაპამდე მისვლა იყოს, ამ შემთხვევაში ის არ დაისჯება დანაშაულის მცდელობისთვის.¹²⁶

ევენტუალური განზრახვით მცდელობის შეუძლებლობას გერმანელი სამართლისმეცნიერების მცირე ნაწილი ასახულებდა, მათ შორის იყო ვებტერი , ის თავისი პოზიციის გასამყარებლად იყენებდა გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის 43-ე პარაგრაფს, აქ იყო მცდელობის ცნება ჩამოყალიბებული და ვებტერი ამ ცნებიდან გამომდინარე ამბობდა რომ კანონმდებელმა დანაშაულის მცდელობის ცნება ისე ჩამოაყალიბა რომ მასში არის გამიზნულ დანაშაულზე საუბარი რაც უარყოფს ევენტუალური განზრახვის არსებობას.¹²⁷

ასევე გერმანელი სამართლისმეცნიერი ბაუერიც მიეკუთვნება იმ მცირერიცხოვანთა გუნდს რომლებიც არ აღიარებენ ევენტუალური განზრახვით დანაშაულის ჩადენას და ბაუერიც ამბობს რომ ძველი სისხლის სამართლის კოდექსის 43-ე პარაგრაფი იგივეა რაც ახალი სისხლის სამართლის კოდექსის 22-პარაგრაფი , ძველი კოდექსის 43-ე პარაგრაფი მცდელობის გამიზნაზე და გადაცდომაზე საუბრობდა და ამიტომაც დაუშვებელია ევენტუალური განზრახვა.

გერმანიის უზენაესი სასამართლო მიიჩნევს რომ დასაშვებია ევენტუალური განზრახვით დანაშაულის წაქეზებაც, რაც ნიშნავს იმას რომ შესაძლებელია დანაშაულის მცდელობის დროს ევენტუალური განზრახვით წაქეზების დასაბუთება.¹²⁸

დღესდღეობით გერმანულ სამართალში როგორც სასამართლო პრაქტიკა ასევე სამართლის მეცნიერება აღიარებს დანაშაულის მცდელობას ევენტუალური განზრახვით. რაიხის სასამართლო აღიარებს რომ ნებისმიერი განზრახვის ფორმა აღიარებს დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობას.

გერმანულ სამართალში დაუშვებელია, განზრახვის სტადიაზე გაიმიჯნოს ერთმანეთისგან დამთავრებული დანაშაული და მცდელობა, ეს კიდევ ხაზს უსვამს ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობას.¹²⁹

¹²⁶ Fischer 2012 197-198

¹²⁷ Pahlke 1993 26-27.

¹²⁸ BghsT 50 გვ 1

¹²⁹ Phalke (1993), gv. 22-23

3.3 დანაშაულის მცდელობის სუბიექტური მხარის თავისებურებები გერმანული კანონმდებლობის მიხედვით

დანაშაულის მცდელობა არის განზრახვი დანაშაული და მას აქვს როგორც სუბიექტური ასევე ობიექტური შემადგენლობა. პირველ რიგში უნდა გავიგოთ თუ რაუნდა დამნაშავეს, რათა დავადგინოთ მისი შემდგომი ნაბიჯები, რომელიც ქმედების უშუალოდ დაწყებამდე მიდის, ამიტომაც პირველ რიგში უნდა შემოწმდეს სუბიექტური შემადგენლობა და შემდეგ ობიექტური.¹³⁰

დანაშაულის მცდელობის სუბიექტური ნიშანი გულისხმობს განზრახვას. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი მცდელობის განმარტებაში პირდაპირ მიუთითებდა განზრახვას, როგორც მცდელობის სუბიექტურ ნიშანზე.¹³¹

გერმანიის ძველი სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულის მცდელობის დასჯადობის საკითხში ყურადღებას ამახვილებდა სუბიექტური შემადგენლობის საკითხზე, კერძოდ „გადაწყვეტილება“, ეს გულისხმობს იმას, რომ დამნაშავემ გადაწყვიტა დანაშაულის ჩადენა, მას ეს აქვს გააზრებული. დანაშაულის მცდელობის დასჯადობისთვის აუცილებელი იყო „უშუალო დანაშაულებრივი გადაწყვეტილება“

¹³²

დროთა განმავლობაში ტერმინი „გადაწყვეტილება“ შეიცვალა განზრახვით. მოქმედ გერმანულ სისხლის სამართლის კოდექსში ეს საკითხი რეგულირდება 22-ე პარაგრაფში და მცდელობის სუბიექტური შემადგენლობის არსს გამოხატავს ტერმინი „დანაშაულის შესახებ წარმოდგენა.“

22-ე პარაგრაფში საუბარია „დანაშაულის შესახებ დამნაშავეს წარმოდგენაზე“ , „წარმოდგენა“ განზრახვას გულისხმობს ხანდახან კი „დანაშაულის შესახებ გადაწყვეტილებას.“ დანაშაულის გეგმა და წარმოდგენა ერთნაირად განიხილება, თუმცა ხანდახან მას კანონმდებელი ერთმანეთისგან განასხვავებს.¹³³

გერმანულ სისხლის სამართალში დანაშაულის „განზრახვა“ და „წარმოდგენა“ ერთმანეთთან არ არის გაიგივებული და თუ ვინმე გააიგივებს ეს გერმანული სამართლის ემცნიერების მიერ მკაცრი კრიტიკის საგანი ხდება.

ვინაიდან გერმანული სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი რომ თუ განზრახვა წარმოდგენამდე დაიყვანება ეს გამონწვევს უვარგისი მცდელობის დასჯადობის კითხვისნიშნის ქვეშ დაყენებას. თუ დამნაშავე შეცდომას დაუშვებს

¹³⁰ Heinrich 2012 გვ 289

¹³¹ Entwurf eines Strafgesetzbuches (1962), gv. 144

¹³² ლ. ხარანაული 2013 გვ 170

¹³³ როქსინი 2001 გვ 690

ფაქტობრივ გარემოებაში განზრახ არ მოქმედებს, ამას არეგულირებს გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 16-ე პარაგრაფი.

დანაშაულის მცდელობისას სახეზე აუცილებლად უნდა იყოს სუბიექტური შემადგენლობა, ანუ განზრახვა, რომელიც ასევე ასახავს ობიექტური შემადგენლობის ყველა ნიშანს. დანაშაულის მცდელობისას სახეზე უნდა იყოს დანაშაულის შემადგენლობის მაკვალიფიცირებელი ყველა გარემოება.

გერმანულ კანონმდებლობაში არსებობს აზრი, რომელიც გულისხმობს რომ დანაშაულის მცდელობის **გადანწყვეტილება** მაშინ არის როდესაც დამნაშავეს სურს ბოლომდე მიიყვანოს დანაშაული ან კიდევ დანაშაულის მცდელობამდე მიყვანა სურს.¹³⁴ „დანაშაულის გადანწყვეტას“ რეალური ობიექტური პირობები ახასიათებს.

დანაშაულის გადანწყვეტისას შეიძლება სახეზე არ გვექონდეს დამნაშავეს განზრახვის დადასტურება, გერმანულ ლიტერატურაში ამის შესახებ არის შემდეგი მოსაზრება, მაგალითად პირმა გადანწყვიტა მოეკლა „ბ“ პირი, მან დოქში სანამლაფი ჩაასხა და კარადაში ჩაღო, რათა მეორე დღეს „ბ“-ს დაეღია. მაგრამ „ბ“-მ მეორე დღის დადგომამდე დაღია სანამლაფი და მოკვდა. ზოგიერთი გერმანელი მეცნიერი ამას დამნაშავეს მხრიდან დამთავრებულ დანაშაულად აფასებს, ზოგიერთი კი თვლის რომ აქ არარის ქმედების განხორციელების ნება ჯერ და აქედან გამომდინარე დამთავრებული დანაშაული ვერ იქნება. მიიჩნევენ რომ „ა“-ს შედეგის დადგომისას იმყოფებოდა მომზადების სტატუსში.¹³⁵

გერმანულ სამართალში დანაშაულის მცდელობის სუბიექტური მხარის თავისებურება ასევე გამოიხატება იმაში რომ „დანაშაულის ბოლომდე განხორციელების ნება“ იყოს სახეზე, თუ ეს არ გვექნება თავისთავად არ იქნება განზრახვა. განზრახვა გერმანულ სამართალში არის „ინტელექტუალური“ ამაზე მიაწინებს სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე პარაგრაფი სადაც წერია რომ „მისი წარმოდგენით“ ანუ დამნაშავეს წარმოდგენაზე აქ საუბარი. ეინტელექტუალური განზრახვა გახდა საფუძველი იმის რომ კანონმდებელმა უარი თქვა გაუფრთხილებლობით მცდელობის დასჯადობაზე უარი.¹³⁶

დამნაშავეს შეცდნობილი უნდა ჰქონდეს შედეგის დადგომის შესაძლებლობა.

მცდელობის დროს განზრახვა ცოდნის და ნებელობის ელემენტია დამთავრებული დანაშაულის მსგავსად.¹³⁷ დანაშაულის მცდელობის განზრახვა მსგავსია დამთავრებული დანაშაულის დროს არსებული განზრახვის. თუ

¹³⁴ ამის შესახებ საუბარია Lackner , გვ 167 2011

¹³⁵ Herzberg, 1996 გვ 379

¹³⁶ როქსინი 2003 გვ 350

¹³⁷ Leipziger kommentar (2007), gv. 1473.

დანაშაულის მცდელობისას არ არის დანაშაულის დამთავრების განზრახვა ასეთი ქმედება დასუჯელი რჩება.

3.4 დანაშაულის მცდელობის ობიექტური მხარის ნიშანი

დანაშაულის მცდელობის სუბიექტური მხარის დახასიათების შემდეგ მნიშვნელოვანია დანაშაულის მცდელობის ობიექტური მხარის განსაზღვრა, ეს ადგენს მცდელობის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს.

ნაშრომის მეორე თავში როდესაც ვიმსჯელებთ მცდელობის ობიექტურ თეორიაზე ჩამოყალიბდა პოზიცია რომ ქართულ სამართალში განვითარებული იყო მცდელობის ობიექტური თეორია, რაც გულისხმობდა იმას, რომ თუ სამართლებრივ სიკეთეს შეეჭმნებოდა საფრთხე ეს იყო დანაშაულის მცდელობის დასჯადობის საფუძველი.^ბ

დანაშაულის მცდელობის ქმედების ობიექტური შემადგენლობისას, პირი ახორციელებს განზრახ ქმედებას, რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის ჩასადენად.¹³⁸

მცდელობის დროს სახეზეა ქმედების ობიექტური შემადგენლობა, რომელიც იწყებს განხორციელებას შედეგისკენ მიმართული ქმედებით, მაგრამ ამ ქმედებით შედეგი არ დადგება, განსხვავებით დამთავრებული შედეგიანი განზრახი დანაშაულისა, ხოლო შედეგი თუ დადგა არ გამოიკვეთება მიზეზ-შედეგობრიობა ან შედეგი ობიექტურად არ შეირაცხება რის გამოც დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.¹³⁹

როგორც წერეთელი ამბობს დანაშაულის მცდელობის ერთ-ერთ ობიექტურ ნიშანს ქმედება წარმოადგენს, რომელიც მოიცავს მოქმედებას და დანაშაულებრივ უმოქმედობასაც. სისხლის სამართლის დოგმატიკაში გაბატონებულია ქმედების სოციალური თეორია. ეს თეორია მოქმედებას ანიჭებს უპირატესობას, რომელიც გამოიხატება ქცევაში. ¹⁴⁰ ამ თეორიას ბევრი

წარმომადგენელი ჰყავს, ამას განმარტავენ როგორც სოციალურად მნიშვნელოვან ადამიანის ქცევას. ქცევა თავის მხრივ იყოფა ორ სახედ **სუბიექტური** და **ობიექტური**. სუბიექტური მხარე განსაზღვრავს პირის მიზანს , ხოლო ობიექტურ მხარეში გვაქვს პირის სურვილის გარეგანი გამომჟღავნება მოქმედებით ან უმოქმედობით. ქცევას აუცილებლად უნდა ქონდეს ნებელობა და არ შეიძლება იყოს რეფლექსური.

¹³⁸ ტურავა 2013 გვ 313

¹³⁹ მ.ტურავა 2013 გვ 313

¹⁴⁰ ტურავა ხარანაული

კანონმდებელმა მოქმედი კოდექსის მე-19 მუხლში დანაშაულის მცდელობის ობიექტურ წინაპირობად განსაზღვრა ქმედების განხორციელების უშუალოდ დაწყება. ქმედება რომ დანაშაულის მცდელობას შეფასდეს მნიშვნელოვანია პირველი და ბოლო აქტის დადგენა, რათა მცდელობა გავმიჯნოთ დანაშაულის მომზადებისგან და მეორე მხრივ დამთავრებული დანაშაულისგან.¹⁴¹

სამართლის მეცნიერებაში უამრავი თეორიაა ჩამოყალიბებული მოქმედების შესახებ. სამართლებრივი განსჯის საგანია ადამიანის ქმედება, რომელიც საფრთხის შექმნისა და ზიანის მიყენებისკენ არის მიმართული. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი დანაშაულად აცხადებს მხოლოდ კონკრეტულ მოქმედებას და უმოქმედობას.

დღესდღეობით ობიექტური თეორიებიდან ყველაზე გავრცელებული **სოციალური თეორიაა**, ამ თეორიამ შეიძლება გამოიყოს ისეთი ქცევები რომელიც არ არის პირის ნებელობით განხორციელებული და ასევე ამ თეორიას შეუძლია სისხლისამართლებრივად რელევანტური პირის ქცევის გამოვლენის საერთო საფუძველი იყოს.¹⁴²

ამ თეორიას ბევრი მიმდევარი ჰყავს, აქ მთავარია მოქმედების სოციალური არსი, რომელსაც აქვს სისხლისამართლებრივი მნიშვნელობა. ვესელსი და ბოილკე სისხლისამართლებრივად მნიშვნელოვან ქმედებას განმარტავენ როგორც ადამიანის ნების ბატონობის ქვეშ მოქცეულ სოციალურ ქცევას, ხოლო იეშეკი და ვაიგენდი განმარტავენ, როგორც სოციალურად მნიშვნელოვან ადამიანის ქცევას.¹⁴³

დანაშაულის მცდელობის ობიექტურ მხარე ასევე ითვალისწინებს დანაშაულის მცდელობის დაწყების სტადიას, დანაშაულის მცდელობა დაწყებულია თუ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება დაწყებულია და შესაძლოა დადგეს შედეგი.

3.4.1 მცდელობის მატერიალურ სამართლებრივი საფუძველი

დანაშაულის მცდელობის ობიექტური ნიშანი არის მცდელობის მატერიალური საფუძველი, ქართულ კანონმდებლობაში მეტად მისაღები იყო „ობიექტური თეორია“, თუმცა დღეს ეს თეორია მოძველებულად ითვლება. ამ თეორიით თუ საფრთხე შეიქმნებოდა სამართლებრივ სიკეთეს ეს შეიძლება ყოფილიყო დასჯადობის გარანტი. სამართლებრივი სიკეთის საფრთხის შექმნისათვის უნდა ვიხელმძღვანელოთ ობიექტური მიდგომით. დანაშაულის მცდელობას და საფრთხის შემქმნელ დელიქტებს აქვთ საერთო ობიექტური ნიშნები. დანაშაულის მცდელობის

¹⁴¹ ლ.ხარანაული 2013 გვ193

¹⁴² მ.ტურავა 2013 გვ 88

¹⁴³ მ.ტურავა 2013 გვ 88

დროს საფრთხე ექმნება სამართლებრივ სიკეთეს ასევე საფრთხის შემქნელი დელიქტების განხორციელების დროსაც.¹⁴⁴ ეს მიდგომა განასხვავებდა დანაშაულის მცდელობას დანაშაულის მომზადებისაგან, ვინაიდან მომზადებაში საფრთხე აბსტრაქტული ხასიათით გვევლინება და ამითვე განასხვავებდა დამთავრებული დანაშაულისგან, სადაც საფრთხე უკვე შეექმნა სამართლებრივ სიკეთეს და შედეგში გამოიხატა.¹⁴⁵ აბსტრაქტული საფრთხე სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის აბსტრაქტულ შესაძლებლობას მოიცავს. ამ შემთხვევაში არსებობს სამართლებრივად დაცული სიკეთის ხელყოფის აბსტრაქტული შესაძლებლობა, მაგრამ ზოგიერთი სამართლისმეცნიერის აზრით აბსტრაქტული საფრთხე არ არის რეალურ საფუძველს მოკლებული.¹⁴⁶

საფრთხე ექმნება დაცულ სამართლებრივ სიკეთეს, საფრთხე როგორც ვიციტ უკავშირდება შესაძლებლობის კატეგორიას, შესაძლებლობა შეიძლება ყოველთვის ერთნაირი არიყოს, შესაძლებლობა აუცილებლად უნდა იყოს რეალობასთან ახლოს, აქედან გამომდინარე ქართულ სისხლის სამართალში არსებობს ორი სახის შესაძლებლობა: **ფორმალური** და **რეალური** საფრთხის შესაძლებლობა. კონკრეტული საფრთხის დროს არსებობს რეალური შესაძლებლობა, ამ სახის საფრთხის დროს და დანაშაულის მცდელობის დროს საფრთხე სახეზე უნდა იყოს რეალურად და არა მარტო დაზარალებულის აზრებში. ზოგიერთი მეცნიერი დანაშაულის მცდელობის ერთ-ერთ საზომად მიიჩნევს საფრთხეს და შესაძლებლობას. ლ.ხარანაული კი არ ემხრობა მცდელობის აუცილებელ ნიშნად საფრთხე და შესაძლებლობა ვალიაროთ. ეს ყოველთვის არ პასუხობს მცდელობის ნამდვილ ბუნებას. მისი პოზიცია შემდეგში მდგომარეობს: მცდელობის დროს შესაძლებელია რეალიზდეს შედეგი აქედან გამომდინარე შესაძლებლობაზე საუბარი აბსურდია, რადგან შედეგი დამდგარია, ასევე ის ამბობს რომ ამით შეუძლებელი გახდება შედარებით უვარგისი მცდელობის დასაბუთება.¹⁴⁷ ამ ნაშრომში ჩატარებული კვლევა არ ემხრობა ხარანაულის პოზიციას რადგან ეს მიზგზობრივი კავშირის პრობლემაა და ფაქტობრივად დამდგარი შედეგი იურიდიულად რომ არ ფასდება სამართლის მეცნიერების მიერ და კანონმდებლის მიერ გამოთქმული საკუთარი აზრებიდან გამომდინარეობს.

იმისათვის რომ დადგინდეს ნამდვილად იყო თუ არა საფრთხე მნიშვნელოვანია დავადგინოთ როდის იყო ქმედება საშიში , ამიტომაც სწორად უნდა მოხდეს ქმედების საშიშროების შეფასება, კერძოდ სამართლის მეცნიერებაში არსებობს

¹⁴⁴ თ. ცქიტიშვილი გვ 192

¹⁴⁵ თ.წერეთელი 1961 გვ 102 თბილისი

¹⁴⁶ თ. ცქიტიშვილი გვ 193

¹⁴⁷ ლ.ხარანაული 2013 გვ 191

ასეთი EX-ANTE და EX-POST პირველი გულისხმობს ქმედების განხორციელების მომენტში და მეორე ქმედების განხორციელები მერე. საფრთხის შემქნელ დელიქტებში უნდა გამოვიყენოთ ობიექტური შეფასება და ქმედება უნდა შეფასდეს EX-ANTE ანუ ქმედების განხორციელების მომენტში დანაშაულის მცდელობისას საფრთხის შექმნა.¹⁴⁸

დანაშაულის მცდელობა, როგორც ავღნიშნეთ, დაცულ სამართლებრივ სიკეთეს უქმნის საფრთხეს, დანაშაულის მცდელობასა და საფრთხის შემქნელ დელიქტებს შორის არსებობს ურთიერთდამოკიდებულება. საფრთხის შემქმნელი დელიქტები არსებობს ასევე ორი სახის კონკრეტული და აბსტრაქტული. აბსტრაქტული საფრთხის დროს ხორციელდება ისეთი ქმედება, რომელიც არ ქმნის კონკრეტულ საფრთხეს, არამედ ეს ქმედება ზოგადად არის საშიშროების მატარებელი. რაც შეეხება კონკრეტული საფრთხის შექმნას გერმანელი მეცნიერი როქსინი ამასთან დაკავშირებით კონკრეტული შემთხვევების აუცილებლად გათვალისწინებას მიიჩნევს საჭიროდ.

3.4.2 დასჯადობა (დანაშაულის მცდელობის ობიექტური ნიშანი)

ნებისმიერ დანაშაულებრივ ქმედებას თან სდევს სასჯელი, დანაშაულებრივი ქმედების თანმდევი შედეგია მისი დასჯადობა. ნებისმიერ დანაშაულებრივ შემადგენლობას თან ახლავს დასჯადობა. დასჯადობა შეიძლება რიგ შემთხვევებში გამოირიცხოს, კანონმდებლობა ამისთვის ითვალისწინებს სასჯელისაგან განთავისუფლების საფუძვლებს. დანაშაულის მცდელობაც არის დანაშაულებრივი ქმედება ამიტომაც დანაშაულის მცდელობის ობიექტური ნიშანი ასევე არის დასჯადობა. სისხლის სამართლის კოდექსის 56-ე მუხლით განისაზღვრება დანაშაულის მცდელობისთვის სასჯელის დანიშვნა. ამ მუხლის პირველი ნაწილი დანაშაულის მცდელობისთვის სასჯელის დანიშვნისას ხელმძღვანელობს გარემოებით რომელთა გამოც დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. ამავე მუხლის მე-4 ნაწილში გათვალისწინებულია რომ დანაშაულის მცდელობის დროს არ დაინიშნოს უვადო თავისუფლების აღკვეთა, ამ მუხლის არსებობა სასჯელის თანაზომიერობის პრინციპიდან ჩამოყალიბდა.

სისხლის სამართლის კოდექსისი მე-19 მუხლის მეორე ნაწილი მცდელობის დასჯადობის თაობაზე შემდეგ პოზიციას აყალიბებს „სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა მცდელობისთვის განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით, რომლითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა დამთავრებული

¹⁴⁸ ჰ. ველცელცი გვ 137 გერმანელი მეცნიერი

დანაშაულისთვის, ამ მუხლზე¹⁴⁹ ახალი სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულის მცდელობის დროს სასჯელის სავალდებულო შემცირების პრინციპს აყალიბებს, რაც ნიშნავს იმას რომ მცდელობისთვის სასხელის ვადა და ზომა არ უნდა იყოს დამთავრებული დანაშაულის სასჯელის ყველაზე მკაცრი ზომის ანუ მაქსიმალური ვადის და სასჯელის ზომის სამ მეოთხედზე მეტი.¹⁵⁰ ამასთან დაკავშირებით გამოთქმული აქვს მოსაზრება მეცნიერ წერეთელს დაუმთავრებელი დანაშაულისთვის სისხლის სამართლის კოდექსი სასჯელის სავალდებულო შემცირების პრინციპზე უარის თქმა და მის ნაცვლად კონკრეტული დანაშაულისათვის სასჯელის კონკრეტული ღონისძიების არჩევის დროს გათვალისწინებული შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღების პრინციპი, ქართულ სისხლის სამართალში გაბატონებულ პრინციპად ითვლება.¹⁵¹

სამართლის მეცნიერი თ.წერეთელი ასევე ყურადღებას ამახვილებს საფრთხის ოდენობაზე, ეს საკითხი ხშირ შემთხვევაში მცდელობის დასჯადობის პრობლემატურ მხარეს უკავშირდება, საფრთხის ოდენობა განსაზღვრავს მოსალოდნელი ზიანის ოდენობას.¹⁵² სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მეორე ნაწილი სწორედ ამ გარემოებაზე მიუთითებს „დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც თუმცა ფორმალურად შეიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს ხდიდა მისი ცამდენის სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე.“¹⁵³ ამასთან დაკავშირებით თავის პოზიციას აყალიბებს ასევე თავის დისერტაციაში სამართლის მეცნიერი ლ.ხარანაული მას მოჰყავს მაგალითი ნივთის მცირე მნიშვნელობის მოკულობაზე რომელიც იყო ქურდობის საგანი თუმცა მისი მცირე მნიშვნელობის გამო ვერ ჩაითვალა დანაშაულად მიუხედავად იმისა რომ ადგილი აქვს ქურდობის შემადგენლობის განხორციელების დანყების მომენტს (მცდელობას).¹⁵⁴ ქართულ სისხლის სამართალში აღიარებულია რომ ქმედების მცირე მნიშვნელობა ქმედების შემადგენლობას გამორიცხავს.¹⁵⁵

სისხლის სამართლის კოდექსის მე-20 მუხლი ეხება პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებას დაუმთავრებელი დანაშაულისთვის. პირს არ დაეკისრება

¹⁴⁹ სსკ-ის მე- 19 მუხლი

¹⁵⁰ ვოთუა 2001 თბილისი გვ 53

¹⁵¹ თ.წერეთელი 1961 თბილისი

¹⁵² თ.წერეთელი 1961 თბილისი გვ 196

¹⁵³ სსკ-ის მე-7 მუხლის მეორე ნაწილი

¹⁵⁴ ლ.ხარანაული 2013 გვ 195

¹⁵⁵ მ.ტურავა 2013 გვ 72

სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის მცდელობისთვის, თუ მისი უმეცრების ან სხვა პიროვნული ნაკლის გამო დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული საშუალებით არ შეიძლებოდა მიღწეულიყო შესაბამისი მართლსაწინააღმდეგო შედეგი.¹⁵⁶ სწორედ ამ მუხლიდან გამომდინარე ითვლება აბსოლუტურად უვარგისი მცდელობა დაუსჯელ მცდელობად.

სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილით რეგულირდება ამსრულებლის და თანამონაწილის საკითხი დანაშაულის მცდელობის დასჯადობაზე, ეს მუხლი ამბობს რომ „თუ ამსრულებელს დანაშაული არ დაუმთავრებია, თანამონაწილეს სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება დანაშაულის მცდელობაში თანამონაწილეობისთვის.“¹⁵⁷

მცდელობის სახეებად დაყოფა დამთავრებულ და დაუმთავრებელ სახედ გავლენას ახდენს მცდელობის დასჯადობისას. სასამართლომ მცდელობის დასჯადობის დროს უნდა გაითვალისწინოს დაამთავრა თუ არა დანაშაული დამნაშავემ, მეცნიერები ამ თემას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რადგან დაუმთავრებელი მცდელობისთვის სასჯელი უფრომარტივია ვიდრე დამთავრებული მცდელობისთვის, ამიტომაც მცდელობის დასჯადობის საკითხში მნიშვნელოვანია მცდელობის სახეების არსებობა.¹⁵⁸

დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ობიექტური თეორიით უნდა ხდებოდეს, აქედან გამომდინარე დაუმთავრებელი დანაშაულისთვის სასხელად უნდა განისაზღვროს შედარებით მსუბუქი სასჯელი.

¹⁵⁶ სსკ-ის მე-20 მუხლი

¹⁵⁷ სსკ-ის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილი

¹⁵⁸ ლ.ხარანაული 2013 გვ 199

4. დანაშაულის მცდელობის დასჯადობის თავისებურებანი.

4.1 უვარგისი მცდელობის დასჯადობა ქართულ სისხლის სამართალში

დანაშაულის მცდელობის მესამე სახედ უვარგისი მცდელობას მოიაზრებენ, რომელიც თავის მხრივ შეიძლება იყოს დამთავრებული ან დაუმთავრებელი. მას განასხვავებენ როგორც მცდელობას უვარგისი ობიექტზე (საგანზე), მცდელობას უვარგისი საშუალებით, მცდელობა უვარგისი სუბიექტის მიერ, მცდელობა უვარგისი ქმედებით. უვარგისი სუბიექტის მიერ მცდელობის არსებობას სადავოდ მიიჩნევენ მჭედლიშვილი-ჰედრიხი.

უვარგისი მცდელობის ცნების შესახებ არაერთი მოსაზრება გამოთქეულა, სამართლის მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევენ რომ თუ მცდელობა უვარგისია, მაშინ ის მცდელობას არ წარმოადგენს და ის ვერ იქნება იურიდიული მსჯელობის საგანი.¹⁵⁹

უვარგისი მცდელობის ბუნება იგივეა რაც დანაშაულის ყოველი სხვა მცდელობისა, ეს მცდელობაც წარმოადგენს დანაშაულის განზრახ შესრულებას, რომელიც არ დაბოლოვდა სუბიექტის მიერ განზრახული დანაშაულებრივი შედეგით მასზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო.¹⁶⁰

უვარგისი მცდელობა უკავშირდება ფაქტობრივ მცდელობას, რადგან სამაყროში არსებულ რეალობაზე ადამიანის მცდარი წარმოდგენა იწვევს დანაშაულის განუხორციელებლობას.¹⁶¹

უვარგისი მცდელობას არ შეუძლია გამოიწვიოს დანაშაულებრივი შედეგი. როგორც თინა წერეთელი ამბობს ის არ შეიძლება გათანაბრებული იყოს მცდელობის სხვა ჩვეულებრივ შემთხვევებთან.

უვარგისია მცდელობა, როდესაც ფაქტიური თუ სამართლებრივი საფუძვლის გამო ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელება შეუძლებელია.¹⁶²

უვარგისი მცდელობის დროს არ დგება მართლსაწინააღმდეგო შედეგი, რადგან დანაშაულის ობიექტი, სუბიექტი ან საშუალება არის უვარგისი.

თუ მცდელობა უვარგისია ის არ წარმოადგენს მცდელობას და ვერ იქნება იურიდიული მსჯელობის ობიექტი.¹⁶³

¹⁵⁹ სულაქველიძე თბილისი 1992. გვ 179

¹⁶⁰ თ.წერეთელი დანაშაულის მომზადება და მცდელობა გვ 153

¹⁶¹ ი.დვალაძე სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი გვ 166

¹⁶² ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები გვ 43

¹⁶³ სულაქველიძე თბილისი 1992 გვ 179

უვარგის მცდელობას განხილავენ ვიწრო და ფართო გაგებით. ვიწრო გაგებით უვარგისი მცდელობა მოიცავს დასჯადობას, ხოლო ფართო გაგებით მოიცავს უვარგისი მცდელობის დასჯადობას და დაუსჯელობას.¹⁶⁴

უვარგისი მცდელობის დასჯადობა მარტივია მცდელობის სუბიექტური თეორიისთვის, ხოლო ამის დასაბუთება რთულია ობიექტური თეორიის საფუძველზე, რადგან ქმედების განხორციელების შემდეგ დგინდება, რომ დანაშაულის განხორციელების კონკრეტული საფრთხე საერთოდ არ არსებობდა.¹⁶⁵ ტურავაც ამბობს რომ სუბიექტური თეორიის მნიშვნელობის უარყოფის შემთხვევაში პასუხისმგებლობა ვერ დასაბუთდება უვარგისი მცდელობისთვის.

უვარგისი მცდელობის საკითხის გადაწყვეტის ორ თეორიას იაზრებენ სამართლის მეცნიერებაში, ობიექტური თეორია რომელიც მცდელობად აკვალიფიცირებს ისეთ მქედებას რომელსაც შედეგის განხორციელება შეუძლია და მეორე სუბიექტური თეორია ამდროს მარტივია უვარგისი მცდელობის საკითხის გადაწყვეტა, რადგან საკმარისია სუბიექტის დამნაშავის აზრებში იყოს დანაშაულის ობიექტური ნიშნები.¹⁶⁶

მცდელობა უვარგისი ობიექტზე ზოგიერთი სამართლის მეცნიერი ამ ტერმინის ნაცვლად იყენებს „უვარგისი სამართლებრივი სიკეთის დაზიანების მცდელობას.“¹⁶⁷ ასევე უწოდებენ უვარგისი საგანზე მცდელობას.¹⁶⁸ ასევე მცდელობა არარეალურ ობიექტზე¹⁶⁹

მცდელობა უვარგისი ობიექტზე როდესაც ხდება ობიექტი რომლის დაზიანებაც პირს აქვს გადაწყვეტილი არ შეესაბამება დანაშაულის შემადგენლობის მიერ დანაშაულის ობიექტისთვის არსებულ მოთხოვნებს. მცდელობა უვარგისი ობიექტზე არის პირის ფაქტური შეცდომა ხელყოფის საგანში. უვარგისი ობიექტი ასევე არსებობს **აბსოლუტურად უვარგისი** ობიექტის სახით, რაც ნიშნავს იმას რომ ობიექტი საერთოდ გამოუსადეგარია დანაშაულის ჩასადენად. ამის მაგალითად იურიდიულ ლიტერატურაში მოყვანილია გვამისათვის სროლა.¹⁷⁰ გვამი აბსოლუტურად უვარგისი ობიექტია. წერეთელი თავდაპირველად ამ აზრს ემხრობოდა შემდეგ კი გვამისათვის სროლა მან ჩათვალა არა უვარგისი მცდელობად არამედ დაუმთავრებელი დანაშაულის მცდელობად. იურიდიულ ლიტერატურაში სამართლის მეცნიერები ამ ქმედებას დანაშაულის მცდელობად ათვასებენ და

¹⁶⁴ ლ. ხარანაული თბილისი 2013 გვ 262

¹⁶⁵ ქ. მჭედლიშვილი-ჰედრისი დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები გვ 45

¹⁶⁶ თ.წერეთელი დანაშაულის მომზადება და მცდელობა

¹⁶⁷ თ. გამყრელიძე თბილისი 2008. გვ 168

¹⁶⁸ ი. დვალაძე სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი გვ 166

¹⁶⁹ ნ.დურმანოვი გვ 153

¹⁷⁰ ი.დვალაძე გვ 166

ეყრდნობიან შერეულ თეორიას. სსკ-ის მე-20 მუხლი არ ითვალისწინებს აბსოლუტურად უვარგისი მცდელობისთვის პასუხისმგებლობის აცილებას.

უვარგისი ობიექტის ერთ-ერთი სახეა ასევე **შეთარღებით უვარგისი ობიექტი**, ეს ნიშნავს იმას რომ ობიექტი კონკრეტულ სიტუაციაში არის უვარგისი და არ გამოდგება დანაშაულებრივი ქმედების განსახორციელებლად ანუ კონკრეტულ შემთხვევაში ობიექტი არის გამოუსადეგარი და დანაშაულის დამთავრება ამ მიზეზით ვერ ხერხდება. მცდელობის ეს სახე დასჯადი მცდელობის კატეგორიას მიეკუთვნება.

უვარგისი სამართლებრივი სიკეთე მხოლოდ მოჩვენებითი სიკეთეა და ამიტომ დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად გამოუსადეგარია. მცდელობის უვარგისობა სასამართლომ საგანგებოდ უნდა დაადგინოს და მხედველობაში მიიღოს სასჯელის ზომის განსაზღვრის დროს.¹⁷¹

უვარგისი ობიექტის ერთი სახეა **ადგილზე არმყოფი ობიექტი** ამ დროს სახეზე გვაქვს სუბიექტის ისეთი მართლსაწინააღმდეგო მოქმედება სასურველ ობიექტზე რომელიც დანაშაულის ადგილზე არ იმყოფებოდა და ამან ხელი შეუშალა დანაშაულის ჩადენას, სახეზეა უვარგისი მცდელობა ადგილზე არ მყოფ ობიექტზე. ადგილზე არ მყოფ ობიექტზე თავდასხმის შემთხვევაში ყველა პირობა არსებობს რომ ქმედება შესაბამისი დანაშაულის მცდელობად დაკვალიფიცირდეს.¹⁷² მცდელობის ამ სახეს წერეთელი ხელშემშლელ მცდელობას უწოდებს. ხელშემშლელ და წარუმატებელ მცდელობას პირობითად შეიძლება ვუწოდოთ მცდელობა უვარგის ვითარებაში.¹⁷³

ადგილზე არ მყოფი ობიექტის მიმართ ჩადენილი ქმედება არის რეალური საფრთხე სამართლებრივი სიკეთისთვის, დანაშაულებრივი შედეგი არ განხორციელდა მხოლოდ შემთხვევითი გარემოებების გამო, ამიტომაც ამ შემთხვევას წერეთელი დასჯად მცდელობად მიიჩნევს.

უვარგისი მცდელობის ერთ-ერთი სახეა **მცდელობა უვარგისი საშუალებით**. პირი დანაშაულის ჩასადენად ისეთ საგანს იყენებს რომლითაც შედეგის მიღწევა შეუძლებელია. მცდელობა აბსოლუტურად უვარგისი საგნით გათვალისწინებულია სსკ-ის მე-20 მუხლში, კანონმდებელი გამორიცხავს პასუხისმგებლობას უვარგისი მცდელობისთვის „დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული საშუალებით არ შეიძლებოდა მიღწეულიყო მართლსაწინააღმდეგო შედეგი.“¹⁷⁴ აბსოლუტურად უვარგისის საშუალებით მცდელობის დაუსჯელობა გამოიწვია იმან რომ მცდელობა ვერ გამოიწვევს მართლსაწინააღმდეგობას ვერცერთ შემთხვევაში.

¹⁷¹ ო.გამყრელიძე თბილისი 2013 გვ 251

¹⁷² ი.დვალიძე გვ 167

¹⁷³ ლ.ხარანაული 2013 გვ 268

¹⁷⁴ ე.მჭედლიშვილი-ჰედრიხი გვ 48

4.2 უვარგისი მცდელობა და მისი დასჯა გერმანულ სისხლის სამართალში

დაუმთავრებელ დანაშაულში უვარგისი მცდელობის სახე გერმანულ სისხლის სამართალში პირველად ფოიერმახმა განიხილა. გერმანული სამართალი უვარგისი მცდელობად განიხილავს ისეთ შემთხვევას როდესაც, დამნაშავის ნების საწინააღმდეგო გარემოებები არსებობს და დანაშაულებრივი შედეგის გამოწვევა არ ხდება. გერმანულ სამართალში თუ დამნაშავემ იცის რომ მისი ქმედება არის უვარგისი, მაშინ არ გვექნება სახეზე დანაშაულის მცდელობა.

გერმანულ სამართალში უვარგისი მცდელობის დასჯა მცდელობის დასჯადობის მსგავსად ხდება, ამას არეგულირებს გერმანიის სისხლის სამართალი 23-ე პარაგრაფში. გერმანულ სამართალში 23-ე პარაგრაფის მიხედვით უვარგისი მცდელობისას სასჯელი მსუბუქდება, ხოლო აბსოლუტურად უვარგისი მცდელობისას შეიძლება სასჯელი საერთოდ გაუქმდეს ან გამოყენებულ იქნეს ყველაზე მსუბუქი სასჯელი თუ სახეზეა „უხეში უმეცრება“ ანუ საყოველთაოდ ცნობილ მიზეზობრივ კავშირზე სრულიად არასწორი წარმოდგენა. მაგ: ვარაუდი რომ შესაძინებელი დანიშნულების პისტოლეტიდან გასროლით თვითმფრინავის ჩამოგდება შესაძლებელია.¹⁷⁵

როგორც ქართულ სისხლის სამართალში, ასევე გერმანულშიც გამოყოფენ ხელიშემშლელ მცდელობას. გერმანული სისხლის სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში აღიარებენ უვარგისი მცდელობის დასჯადობას.¹⁷⁶ ფოიერმახის „საფრთხის თეორია“ არ ემხრობა უვარგისი მცდელობის დასჯადობის საკითხს.

უვარგისი მცდელობა თუ ქმედების ჩამდენის გადაწყვეტილებას რომ განახორციელოს მართლსაწინააღმდეგო მოქმედება ფაქტობრივი ან სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარე უნარი არ შესწევს უმართლობის ობიექტური შემადგენლობის სრულყოფილ შესრულებამდე მიიყვანოს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სუბიექტის, ქმედების ობიექტის ან ქმედების საშუალების უვარგისობის გაუცნობიერებლობასთან.¹⁷⁷

აბსოლუტურად დაუსჯელი რჩება გერმანულ სისხლის სამართალში არარეალური საშუალებით უვარგისი მცდელობა (მოჯადოება, წყევლა) ცრურწმენითი მცდელობა, შეუძლებელია იმის განხორციელება რაც მხოლოდ სურვილის სახით შეიძლება არებობდეს.¹⁷⁸

¹⁷⁵ ბოილკე/ვესელსი გვ 362

¹⁷⁶ ბოილკე/ვესელსი გვ 361

¹⁷⁷ ბოილკე/ვესელსი გვ 361.

¹⁷⁸ ბოილკე/ვესელსი გვ 362

მცდელობა უვარგისი სუბიექტის მიერ გერმანულ სისხლის სამართალში უვარგისი მცდელობის ერთ-ერთი სახეა მცდელობა უვარგისი სუბიექტის მიერ, ამ მცდელობას მაშინ აქვს ადგილი როდესაც ქმედების შემადგენლობა სუბიექტის განსაკუთრებულ თვისებებს ითვალისწინებს და პირს ჰგონია რომ მას ეს თვისებები ახასიათებს, მაგ: პეტრეს ჰგონია რომ ის მოხელია და იღებს ქრთამს, სინამდვილესი ის ჯერ არაა მოხელედ დანიშნული.¹⁷⁹ გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით უვარგისი მცდელობის ეს სახე არ რეგულირდება. თეორიაში მეცნიერები მიიჩნევენ რომ პიროვნება თუ შეცდომით ფიქრობს რომ ვარგისი დამნაშავეა ასეთ შემთხვევაში დაუსჯელი რჩება, რადგან ობიექტური თეორიის მიხედვით ამგვარი მცდელობის დასჯადობა ვერ დასაბუტდება, რადგან მოვალეობის დარღვევა მხოლოდ იმ პირის მიერ შეიძლება, რომელსაც მოვალეობა რეალურად აკისრია, მხოლოდ პირის წარმოდგენა რომ მას მოვალეობები სინამდვილეში აკისრია ასეთი წარმოდგენა ვერ შექმნის საფრთხეს და ვერ დააზიანებს სამართლებრივ სიკეთეს.¹⁸⁰

გერმანულ სამართალში მცდელობა უვარგისი სუბიექტის მიერ უვარგისი მცდელობის სამართლებრივ კონსტრუქციას შეესაბამება, მასზე ვრცელდება 23-ე პარაგრაფი ანალოგიით (უკიდურესი უმეცრებით ჩადენილი მცდელობის დაუსჯელობა) და დასჯადი არუნდა იყოს.

4.3 დანაშაულის მცდელობა თანამონაწილეობის და თანაამსრულებლობის ფორმით ჩადენილ დანაშაულებში ქართულ და გერმანულ სისხლის სამართალში

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მეშვიდე თავი ეხება დანაშაულის თანამონაწილეობის და თანაამსრულებლობის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხს.

სსსკ ითვალისწინებს დანაშაულში თანამონაწილეობას, დანაშაული შეიძლება ჩაიდინოს როგორც ერთმა ასევე რამოდენიმე პირმა, ამას არეგულირებს ამავე კოდექსის 23-ე მუხლი, იგი განსაზღვრავს თანამონაწილეობის ცნებას და ამბობს რომ ეს არის ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივი მონაწილეობა განზრახი დანაშაულის ჩასადენად.

სუბიექტური მხარის მიხედვით თანამონაწილეობა შესაძლებელია **პირდაპირი** და **არაპირდაპირი** განზრახვით.

თანამონაწილეობა არსებობს ფართო და ასევე ვიწრო გაგებით. ფართო გაგებით თანამონაწილეობის დროს დანაშაულის შემადგენლობას ახორციელებს რამდენიმე ამსრულებლები და მათ მოიხსენიებენ როგორც თანაამსრულებელს. ფართო

¹⁷⁹ ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი გვ 54

¹⁸⁰ ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი გვ 55

გაგებით თანამონაწილეობისას ორი ან მეტი პირი , ამსრულებელი ერთიანად ჩადიან დანაშაულებრივ ქმედებას.

განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში ორი ან მეტი პირის ერთობლივი მონაწილეობის შემთხვევაში მათი როლების გასამიჯნად ქართულ სისხლისსამართალში იყენებენ დუალისტურ სისტემას, რომელიც თითოეულ მონაწილეს განიხილავს ამსრულებლად ან თანამონაწილედ.¹⁸¹ დუალისტური თეორია გაბატონებულია არამართო ქართულ სამართალში არამედ უამრავი სხვა ქვეყანის სისხლის სამართალში.

სამართლის მეცნიერი გამყრელიძე ობიექტური მხრივ აფასებს საკითხს, თუმცა უნდა ვიცოდეთ რომ მხოლოდ ობიექტური მხარე არ არის საკმარისი და აუცილებელია სუბიექტური მხარის არსებობა გამყრელიძე კი ამბობს რომ, თანამონაწილეების მოქმედება მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს შედეგთან, იმიტომ რომ თანამონაწილეობის დასჯადობა მიზეზობრიობას ეფუძნება, თანამონაწილეობისას აუცილებელია სახეზე გვექონდეს განზრახვა.

დანაშაულში თანამონაწილეებს აუცილებლად უნდა გააჩნდეთ ერთიანი განზრახვა. დანაშაულის თანამონაწილეობა სუბიექტური მხრივ შესაძლებელია როგორც პირდაპირი ასევე არაპირდაპირი განზრახვით.¹⁸² თინა წერეთელი აღიარებს თანამონაწილეობას როგორც პირდაპირი ასევე ევენტუალური განზრახვით, ხოლო გამყრელიძე არ ეთანხმება წერეთლის პოზიციას და თანამონაწილეობას აღიარებს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.¹⁸³

თუ დადგა საკითხი იმისა, რომ თანამონაწილეს დაეკისროს პასუხისმგებლობა უნდა დავადგინოთ ამსრულებელმა ბოლომდე მიიყვანა დანაშაული თუ გაჩერდა მცდელობის ეტაპზე. თუ ამსრულებელი დანაშაულის მცდელობის ეტაპზე გაჩერდა, დანაშაულში თანამონაწილეები დანაშაულის მცდელობისთვის დაისჯებიან, ხოლო თუ ამსრულებელი დანაშაულს დაამთავრებს და სახეზე გვექნება დამთავრებული დანაშაული თანამონაწილეებს პასუხისმგებლობა დაეკისრებათ დამთავრებული დანაშაულისთვის.¹⁸⁴

ქართულ სამართლის მეცნიერებაში უამრავი თეორია არის თანამონაწილეობასთან დაკავშირებით, მათ შორის არის **ფორმალურ-ობიექტური თეორია**, ის დღესდღეობით მოძველებულად ითვლება, დღესაც ჰყავს მიმდევრები თუმცა ეს თეორია ვინჩა და ზოგიერთ პრობლემატურ შემთხვევებში გამოუსადეგარი. ამ თეორიის მიხედვითაც ამსრულებელია ის ვინც მთლიანად ან

¹⁸¹ მ.ტურავა 2013 გვ 324

¹⁸² მ.ტურავა 2013 გვ 334

¹⁸³ მ.ტურავა 2013 გვ 334

¹⁸⁴ თ.წერეთელი

ნაწილობრივ უშუალოდ ასრულებს ქმედების ობიექტურ შემადგენლობას თანამონაწილე კი უშუალოდ მონაწილეობას არ ღებულობს ამსრულებლის მიერ განხორციელებულ ქმედებაში, არამედ მხოლოდ ორგანიზებას ან დახმარებას უწევს მას ან აღუძრავს დანაშაულის ჩადენის სურვილს.¹⁸⁵ ამ თეორიას მხარს უჭერს სამართლის მეცნიერიო. გამყრელიძე.

ფორმალურ-ობიექტური თეორიის მიხედვით ამსრულებელი შეიძლება იყოს ის, ვინც ფიზიკურად უშუალოდ ახორციელებს დანაშაულებრივ ქმედებას.¹⁸⁶

მეორე თეორია არის **ქმედებაზე ბატონობის თეორია**, რომელიც მატერიალურ-ობიექტური მოძღვრების ფარგლებში სისხლის სამართლის დოგმატიკაში განვითარდა, ამ თეორიის მიხედვით თანამსრულებელი შეიძლება იყოს ის პირი, რომელსაც უშუალოდ არ მიუღია დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობა, არ განუხორციელებია ობიექტური შემადგენლობა. თანამსრულებელთა პასუხისმგებლობის დასაბუთება შესაძლებელია ფუნქციონალური თეორიით, ამას იზიარებს ქართული სასამართლო პრაქტიკაც და შეესაბამება სსკ-ის 22-ე მუხლს.¹⁸⁷

ქმედებაზე ბატონობას გააჩნია სამი სხვადასხვა ფორმა: უშუალოდ ამსრულებლობა, შუალობით ამსრულებლობა და თანამსრულებლობა.

ქმედებაზე ბატონობის თეორია მნიშვნელოვან პოზიციას აყალიბებს შუალობითი ამსრულებლის სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობაზე. შუალობით ამსრულებელს აქვს ნებაზე ან ცოდნაზე ბატონობა.¹⁸⁸

თანამონაწილეობა აქცესორული ბუნებისაა, აქედან გამომდინარე თანამონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში შესაძლებელია მოქმედებით და უმოქმედობითაც, ამსრულებლისთვის აუცილებელია არაა თანამონაწილე ხოლო თანამონაწილისთვის აუცილებელია ამსრულებელი.¹⁸⁹

ვინაიდან თანამონაწილეობას ახასიათებს აქცესორული ბუნება, ამსრულებლის ჩადენილ დანაშაულში თანამონაწილეს ეკისრება პასუხისმგებლობა ამსრულებლის მიერ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის.¹⁹⁰

„აქცესორულობის თეორია“ გამოიყენება თანამონაწილეების სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის დასარეგულირებლად. ამ თეორიის მიზანი არის დანაშაულის განხორციელებისას მინიმუმ ერთი ამსრულებლის არსებობა, სხვა შემთხვევაში არ იქნება თანამონაწილეობა. სისხლის სამართალში მოქმედებს ლიმიტირებული აქცესორულობის პრინციპი

¹⁸⁵ მ.ტურავა 2013 გვ 335

¹⁸⁶ მ.ტურავა 2013 გვ 337

¹⁸⁷ მ.ტურავა 2013 გვ 337

¹⁸⁸ მ.ტურავა 2013 გვ 336

¹⁸⁹ მ. ტურავა 2013 გვ 338

¹⁹⁰ თ. წერეთელი 1963 გვ 341

თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა დამოკიდებულია ამსრულებლის პასუხისმგებლობაზე.¹⁹¹ ლიმიტირებულ აქცესორულობის პრინციპს არ ემხრობა თ.წერეთელი, ის მხარს უჭერდა უკიდურეს აქცესორულობას, სადაც სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა არის სახეზე როდესაც ქმედება ბრალად შეერაცხება ამსრულებელს.¹⁹²

სხვადასხვა თეორიებით სხვადასხვა კვალიფიკაციას ვიღებთ თანამონაწილეობით მცდელობაზე საუბრისას.

თანამონაწილე და ამსრულებელი სხვადასხვა მუხლით შეიძლება მიეცეს პასუხისმგებლობაში, მაგრამ მათ აუცილებლად უნდა ჰქონდეთ ერთიანი უმართლობა ჩადენილი, უმართლობის საკითხის არსებობა დიდ გავლენას ახდენს თანამონაწილეების დასჯადობის საკითხზე, თანამონაწილე ამსრულებელთან ელტად ერთიან უმართლობას სჩადის. იმავე შედეგი მოჰყვება იმ დანაშაულებრივ ქმედებას რომელსაც რამდენიმე ამსრულებელი ახორციელებს.

თანამონაწილეებს დაეკისრებათ პასუხისმგებლობა დანაშაულში თანამონაწილეობისთვის მიუხედავად იმისა, ამსრულებელმა დაამთავრა თუ არა დანაშაული, - ამ მოსაზრებას აყალიბებდნენ ქართული სამართლის მეცნიერების ნაწილი. თუმცა თანამედროვე სისხლის სამართლის მეცნიერები არ იზიარებენ ამ მიდგომას რადგან არ გამომდინარეობს თანამონაწილეობის აქცესორული ბუნებიდან. თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულს, როგორც ყველა მართლსაწინააღმდეგო ქმედებას თან ახლავს სასჯელი, ამ ინსტიტუტის დასჯადობას სისხლის სამართლებრივი უმართლობა განაპირობებს, დანაშაული ჩადენილია ერთიანობით და ის ეხება როგორც სუბიექტურ ასევე ობიექტურ მხარეს. ობიექტური მხარის მიხედვით თანამონაწილეები ერთი და იგივე მართლსაწინააღმდეგო ქმედებას ახორციელებენ და ერთნაირი სასჯელი დაეკისრებათ და არა განსხვავებული უმართლობისთვის.

ლიმიტირებული აქცესორული თეორიის ხელმძღვანელობს სამართლისმეცნიერი ტურავა თანამონაწილეობის დასჯადობის საკითხთან მიმართებით.¹⁹³

ქართულ სისხლის სამართალში თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის სუბიექტების ქმედება მიზემ-შედეგობრივ კავშირში უნდა იყოს შედეგთან. თანამონაწილეობისთვის სასჯელის დანიშვნისთვის არ არის საკმარისი მიზეზობრივი

¹⁹¹ მ. ტურავა 2013 გვ 333

¹⁹² თ.წერეთელი

¹⁹³ მ. ტურავა სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა მე-9 გამოცემა თბილისი 2013 გვ 333

კავშირის დადგენა თანამონაწილის ქმედებასა და ამსრულებლის ქმედებით დამდგარ შედეგს შორის.

ქართული კანონმდებლობის მიხედვით დანაშაულში თანამონაწილეობა ამსრულებლის ბრალეული ქმედებაა, მაგრამ თანამონაწილეთა სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას თანამონაწილეთა თანაბრალეულობა არ წარმოადგენს, რადგან ბრალი პერსონალური ხასიათისაა. სსკ-ის 25-ე მუხლით თანამონაწილეები პასუხს აგებენ ერთიანი სისხლისამართლებრივი უმართლობის განხორციელებისას საკუთარი ბრალისთვის.¹⁹⁴

დახმარების მცდელობად ითვლება უშედეგო ნაქმეზება.

გერმანულ სამართალში თანამონაწილეობის ოთხ ფორმას გამოყოფენ: თანაამსრულებელი, შუალობითი ამსრულებელი, ნამქმეზებელი, დამხმარე. თანამონაწილეობის დროს მცდელობა უკავშირდება ფართო და ვიწრო გაგებით თანამონაწილეობას.

მნიშვნელოვანია საკითხი გავარკვეოთ როდის იწყება დანაშაულის მცდელობა თანაამსრულებლისა და შუალობითი ამსრულებლის დროს.

თანაამსრულებლობით შესაძლებელია დანაშაულის მცდელობა, ასევე დამთავრებული დანაშაულის მცდელობაც შესაძლებელია თანაამსრულებლობით. ამ დროს დანაშაული უნდა იყოს ერთიანი განზრახვით. თანაამსრულებლობით დანაშაულის მცდელობისთვის სახეზე უნდა იყოს დანაშაულის გეგმა და თანაამსრულებლების მიერ დანაშაულის განხორციელებისთვის განსაზღვრული ქმედება.

გერმანულ სისხლის სამართალში ჩამოყალიბებულია „**საკითხის ერთობლივი გადანწყვეტის თეორია**“, ამ დროს დანაშაულის თანაამსრულებელი იწყებს დანაშაულის უშუალოდ განხორციელებას, მცდელობას, სხვები კი მოსამზადებელ ეტაპზე არიან.¹⁹⁵

დანაშაულის ყველა მონაწილეს შეერაცხება თანაამსრულებლობის დროს ყოველი მონაწილის დანაშაულებრივი გეგმის დანაშაულებრივი ქმედება.¹⁹⁶

პარალელური თანაამსრულებლობა არის იგივე უშუალო ამსრულებლობა, ამასკანონმდებლობა ცალკე არ არეგულირებს, ამ შემთხვევაში დანაშაულებრივი შედეგის განხორციელება ხდება ერთობლივი დანაშაულებრივი გეგმის გარეშე.

ყველა თანაამსრულებელმა მცდელობა თვითონ უნდა დაიწყოს.

¹⁹⁴ თ. ცქიტიშვილი გვ 268

¹⁹⁵ Heinrich 2012 330

¹⁹⁶ Roxin 2003 430

გერმანულ სისხლის სამართალში არსებობს შემთხვევები რომლის დროსაც შეუძლებელია თანამსრულებლობით დანაშაულის მცდელობა თუ არ არის ნორმატიული ხასიათის კრიტერიუმები.

თანამონაწილეობის დროს მცდელობა განხილულია ორი მიმართულებით, თანამონაწილეობის დროს მცდელობა და თანამონაწილეობის მცდელობა.

თანამონაწილეობისას ძირითადი ქმედება შეიძლება მცდელობის ეტაპს ვერ გასცდეს ან ქმედებამ მცდელობამდეც ვერ მიაღწიოს.¹⁹⁷

თანამონაწილეები არიან წამქეზებელი და დამხმარე, ისინი პასუხს აგებენ მაშინ როდესაც გვექნება განზრახ მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ამას აქცესორულობის პრინციპი გულისხმობს. დანაშაულის მცდელობა გერმანულ სამართალში არის განზრახ მართლსაწინააღმდეგო ქმედება და დამხმარეს და წამქეზებელს მცდელობის დროს დაეკისრებათ სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა.¹⁹⁸

თანამონაწილეობისას დანაშაულის მცდელობისგან განსხვავდება თანამონაწილეობის მცდელობა, ეს გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის 30-ე პარაგრაფშია მითითებული, თანამონაწილეობის მცდელობა არის როდესაც ძირითადი ქმედება ვერ მიდის მცდელობამდე, ანუ მცდელობა არის უშედეგო.¹⁹⁹

თუ გვაქვს სახეზე დახმარების ან წაქეზების მცდელობა ეს არის თანამონაწილეობის მცდელობა, დასჯადი არ არის დახმარების მცდელობა.²⁰⁰

გერმანულ სისხლის სამართალში წაქეზების მცდელობა დანაშაულებრივ ქმედებად ითვლება, ეს ხდება წამქეზებლის წარმოდგენიდან გამომდინარე.²⁰¹ ქმედება წაქეზების მცდელობად ფასდება თუ არსებობს aberration ictus.

გერმანულ სამართალში შუალობითი ამსრულებლობის დროს გემოქმედების თანამედროვე თეორია არის უპირატესი, იგი შინაარსით გავს ქმედებაზე ბატონობის თეორიას, ამ თეორიის მსგავსია საკითხის განცალკევებულად გადაწყვეტის თეორია, თანამსრულებლობის დროს კი მნიშვნელოვანი თეორიაა საკითხის ერთობლივი გადაწყვეტის თეორია.

4.4 მცდელობის დასჯადობა უმოქმედობის დელიქტებში

ქართულ სისხლის სამართალში დანაშაული შეიძლება ჩადენილი იქნეს როგორც აქტიური მოქმედებით ასევე უმოქმედობით. ადამიანის ნებელობითი ქცევა

¹⁹⁷ Leipziger 2007 1435

¹⁹⁸ Heinrich, AT (2012), გვ. 647.

¹⁹⁹ Leipziger Kommentar (2007), გვ. 1435-1436.

²⁰⁰ Fischer (2012), გვ. 239

²⁰¹ Wessels, Beulke, AT (2012), გვ. 213.

არის ან მოქმედებით ან უმოქმედობით გამოხატული, აქტიური მართლსაწინააღმდეგო მოქმედებისას პირმა შეიძლება შექმნას აქტიურად მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის წინაპირობა, უმოქმედობის დროს მან მოქმედებისაგან თავის სეკავებით შეიძლება გამოავლინოს თავის მართლსაწინააღმდეგო ნება. ამას ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილი. ადამიანი შეიძლება სისხლისამართლებრივად უმოქმედოა მაგრამ ფიზიკურად მოქმედი, ამიტომაც უმოქმედობისას პირი უძრაობაში კი არაა, არამედ ის ასრილებს კონკრეტულ მისთვის დაკისრებულ მოვალეობას.²⁰²

უმოქმედობაში იგულისხმება ყველა ის დანაშაული რადროსაც პირი არ ასრულებს სავალდებულო ქცევას და შესაძლებელ მოქმედებას. ამკრძალავი ნორმის დარღვევა შესაძლებელია მოქმედებით, მავალეებელი ნორმის დარღვევა კი შესაძლებელია უმოქმედობით ან სავალდებულო მოქმედებისაგან თავის შეკავებით.

სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ორი სახის უმოქმედობას წმინდა და შერეულ უმოქმედობას. წმინდა უმოქმედობაა განსაცდელში მიტოვება, დაუხმარებლობა, დანაშაულის შეუტყობინებლობა.²⁰³

ქართული სისხლის სამართლის მეცნიერებაში თ. წერეთელი ავითარებდა მოსაზრებას, რომ მცდელობა შესაძლებელია წმინდა უმოქმედობის დელიქტებში, იგი ამ აზრის გასამყარებლად საბჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერებას იყენებდა, თუმცა დღესდღეობით წმინდა უმოქმედობის დროს შეუძლებელია დანაშაულის მცდელობა, ვინაიდან ამ დროს ქმედების დამთავრება და დანყება ერთდროულად ხდება. **წმინდა უმოქმედობის დელიქტებში** შესაძლებელია მხოლოდ უვარგისი მცდელობა.²⁰⁴ **ნაშრომში ჩატარებული კვლევა ემხრობა მცდელობის შესაძლებლობას წმინდა უმოქმედობის დელიქტებში** და არ იზიარებს იმ აზრს რომ წმინდა უმოქმედობის დელიქტით შეუძლებელია დანაშაულის მცდელობა. ამის კარგი მაგალითი მოყვანილია ლ.ხარანაულის დისერტაციაში სადაც წერია, რომ : საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 390-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ჯარისკაცისთვის, რომელიც სხეულის თვითდაზიანებით ან სხვა ხერხის გამოყენებით თავს არისებს სამხედრო სავალდებულო სამსახურს, კერძოდ „ა“ თავის არიდების მიზნით მეგობრის თანდასწრებით ფეხების მიმართულებით გაისვრის, თუმცა ტყვია ასცდება „ა“-ს და მეგობარი არ მისცემს ხელმეორედ სროლის შანს. ამ შემთხვევაში „ა“-მ აქტიური მოქმედებით განახორციელა წმინდა უმოქმედობის დელიქტი, ამიტომ „ა“-ს ქმედება სამხედრო სამსახურის თავიდან

²⁰² ლ. კუხიანიძე დანაშაულებრივი უმოქმედობის დოგმატური ასპექტები გვ 177 თბილისი

²⁰³ მ.ტურავა 2013 გვ 274

²⁰⁴ ცქიტიშვილი 2012 გვ 218

არიდების მცდელობად შეფასდება სსკ-ის მე-19 , 390-ე მუხლებით, წმინდა უმოქმედობით ჩადენილი მცდელობა მოქმედებით.²⁰⁵ ქართულ სისხლის სამართალში როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მცდელობა ვერ დგინდებოდა წმინდა უმოქმედობით დელიქტებში, მიუხედავად ამისა ნაშრომში მოყვანილმა მაგალითებმა და მსჯელობებმა ცალსახად მიუთითა წმინდა უმოქმედობით დელიქტებში მცდელობის დასაშვებობაზე. ამ დროს დამნაშავე აქტიურ მოქმედებას ახორციელებს, უმოქმედობით დანაშაულის ჩასადენად.

ამასთან დაკავშირებით თავის აზრი ჩამოაყალიბა სამართლის მეცნიერმა ქ.მჭედლიშვილი-ჰედრიხმა რომელიც ამბობს რომ თუ პირი თავს აარიდებს დაკისრებულ მოვალეობას, ქმედება უკვე დამთავრებულ დანაშაულად ითვლება.

დასჯადია როგორც მოქმედებით ასევე უმოქმედობით ჩადენილი მცდელობა. ქართულ სისხლის სამართლის პრაქტიკასა და დოქტრინაში უმოქმედობით მცდელობის დასჯადობის შესაძლებლობაზე არავინ კამათობს²⁰⁶ ქართველი და გერმანელი სამართლის მეცნიერებისთვის მნიშვნელოვანი საკითხია დადგინდეს რა მომენტიდან იწყება უმოქმედობით მცდელობა. ამასთან დაკავშირებით ქართველმა მეცნიერმა მჭედლიშვილი-ჰედრიხმა უმოქმედობით მცდელობის საწყისად ჩათვალა როდესაც პირს შეუძლია გადაარჩინოს სამართლებრივი სიკეთე, მაგრამ ის არ იყენებს ამისთვის არსებულ გარემოებას. უმწეო მდგომარეობაში მყოფისთვის საჭმლის მიუწოდებლობა მოკვლის განზრახვით მცდელობად იქნება მაშინ როდესაც უმოქმედობა საფრთხეს უქმნის პირის ჯანმრთელობას. მცდელობას ახასიათებს დაცული სიკეთისთვის კონკრეტული საფრთხის შექმნა.²⁰⁷

როდესაც სუბიექტი ფიზიკურად გამოხატავს უმოქმედობას, ის ფსიქიკურად მოქმედებს, ფსიქოლოგიურად უმოქმედობა მოქმედებაა, ამიტომაც უმოქმედობა მხოლოდ ფიზიკურად არის უმოქმედობა ობიექტური თვალსაზრისით, ხოლო სუბიექტურად ფსიქოლოგიურად კი მოქმედებაა.²⁰⁸

სამართალში ასევე არსებობს შერეული უმოქმედობის დელიქტები, სადაც უშვებენ დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობას შერეულ უმოქმედობის დელიქტებში.

შერეული უმოქმედობის დელიქტის დროს პირი პასიურად მოქმედებს სსკ-ის კონკრეტულ შემადგენლობაზე, ეს როგორც წესი მოქმედებით ჩადენილ დანაშაულებზე მოქმედებს , მაგრამ სსკ-ის მე-8 მუხლს აქვს დამატებული

²⁰⁵ ლ.ხარანაული 2013 გვ 232

²⁰⁶ მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. 2011. გვ 345, 1-ლი სქოლიო

²⁰⁷ მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ 2011 346

²⁰⁸ ლ. კუხიანიძე დანაშაულებრივი უმოქმედობის დოგმატური ასპექტები გვ 178 თბილისი

დასჯადობის საფუძველი და გამოიყენება უმოქმედობის დროსაც.²⁰⁹ შერეული უმოქმედობის დელიქტი შესაძლებელია განხორციელდეს თანამონაწილეობით ან თანაამსრულებლობით.

შერეული უმოქმედობის დელიქტის დასჯადობის სამი ობიექტური პირობა არსებობს:

- სამართლებრივი გარანტიის ფუნქცია
- მოქმედების შესაძლებლობა
- შედეგის თავიდან აცილება.²¹⁰

შერეული უმოქმედობისთვის პირი არ მიეცემა სისხლისამართლებრივ პასუხისგებაში თუ ის იმყოფებოდა ისეთ მდგომარეობაში რომ ვალდებული იყო მოქმედება ვერ განეხორციელებინა.

შესაძლებელია უმოქმედობით დანაშაულში მცდელობის დაწყება განაპირობოს სხვა პირის ან პირების მოქმედებამ. მაგალითად, საპატიმროს თანამშრომლის უმოქმედოთ , რომელიც გამოიხატება განგაშის ლილაკის ჩაურთველობაში, მცდელობა შეიძლება დაიწყოს მაშინ როდესაც დაიწყება თავად პატიმრების მოქმედება, როდესაც პატიმრები მიუახლოვდებიან გასასვლელს. კერძოდ პატიმრები საპატიმროდან გაქცევის მცდელობას განახორციელებენ, ხოლო თუ პატიმრები არ წასულან გასასვლელისკენ და წესის მიხედვით მოქმედებენ , საპატიმროს თანამშრომლის უმოქმედობა დანაშაულის მცდელობად არ განიხილება , მაგრამ როგორც კი დავინახავთ რომ პატიმრები ბაპირებენ გასასვლელისკენ წასვლას ამ მომენტიდან შესაძლებელია ქმედება დაკვალიფიცირდეს დანაშაულის მცდელობად.²¹¹

სისხლის სამართალში შესაძლებელია უმოქმედობით მცდელობა და თანაამსრულებლობა, ასევე შესაძლებელია თანამონაწილეობა იმ დანაშაულში სადაც სხვა ახორციელებს აქტიურ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას.

როგორც ქართულ სისხლის სამართალში ასევე გერმანულშიც არსებობს უმოქმედობის დელიქტები, კერძოდ შერეული და წმინდა უმოქმედობა.

გერმანულ სისხლის სამართალში დღესდღეობით შერეული უმოქმედობის არსებობა არ არის სადაო საკითხი, თუმცა პრობლემურია იმის გადამწყვეტა თუ რა მომენტიდან იწყება შერეული უმოქმედობაში დანაშაულის მცდელობა.²¹² გერმანიის სისხლის სამართლის კოდექს აქვს საგარანტიო ფუნქცია , რომელიც მე-13

²⁰⁹ მ.ტურავა 2013 გვ 274

²¹⁰ მ/ტურავა 2013 გვ 276

²¹¹ ლ.ხარანაული 2013 გვ 233

²¹² Leipziger 2007 gv 1550

პარაგრაფშია ჩამოყალიბებული და წარმოადგენს აუცილებელ პირობას შერეული უმოქმედობის დელიქტებით უმოქმედობით დანაშაულის ჩადენის.

გერმანულ კანონმდებლობაში შერეული უმოქმედობის დელიქტების დროს მცდელობა დაწყებულად ითვლება თუ არსებობს დაზარალებულის გადარჩენის ბოლო შესაძლებლობის გამოუყენებლობა და ამ შანსის ხელიდან გაშვება, ასევე მცდელობა დაწყებულია თუ სახეზე გვაქვს დამნაშავის წარმოიდგენა,- ამასთან დაკავშირებით გერმანულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება რომ „უვარგისი მცდელობის დროს თუ საფრთხე არ არსებობს მცდელობა ყველაფრის მიუხედავად მაინც დასჯადია.“²¹³

გერმანული მეცნიერი როქსინის ნაშრომში ვკითხულობთ უმოქმედობით ჩადენილი დელიქტების დროს მცდელობის დამთავრებულ და დაუმთავრებელ სახეებზე, გერმანულ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, მეცნიერთა ნაწილი დაუმთავრებელ მცდელობას უარყოფს უმოქმედობის დელიქტებში. შერეული უმოქმედობის დროს მცდელობა დამთავრებულ მცდელობად ითვლება.²¹⁴

არსებობს პოზიცია რომელიც უმოქმედობის დროს ერთმანეთისგან განასხვავებს დაუმთავრებელ და დამთავრებულ მცდელობებს. ეს შეხედულება დაუმთავრებელი და დამთავრებული მცდელობის გამიჯვნის მნიშვნელოვან შედეგს ხედავს იმაში, რომ დამაშავე მხოლოდ დამთავრებული მცდელობის სტადიაზე არის შედეგის თავიდან აცილების რისკის მატარებელი. უმოქმედობით დელიქტებში მცდელობის დაყოფა დაუმთავრებელ და დამთავრებულ მცდელობად საკმაოდ ეფექტურია და მათი დიფერენცირება აჩვენებს, რომ შესაძლებელია აქ სხვადასხვა მასშტაბებს ჰქონდეს ადგილი.²¹⁵

გერმანულ სამართალში უმოქმედობის დელიქტებში მცდელობის დასჯადობის საკითხის გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია ვარგისი და უვარგისი მცდელობის არსის ჩამოყალიბება, ეს კონკრეტული საკითხი წმინდა უმოქმედობის დელიქტებში გვხვდება. გერმანელი მეცნიერი Thomas weighendi თავის სამართლის მეცნიერების ნაშრომში ამბობს რომ უვარგისი მცდელობა შესაძლებელია წმინდა უმოქმედობის დელიქტებში.²¹⁶

ვარგისი მცდელობის დროს გასათვალისწინებელია უმოქმედობით განხორციელებული დანაშაულის შემადგენლობა, რომელიც არ არის დამოკიდებული დანაშაულის შედეგზე, ამ დროს მიუღებელია ვარგისი მცდელობაზე

²¹³ Kuhl at 2008 gv 635

²¹⁴ Kuper 200 გვ 4

²¹⁵ ლ.ხარანაული 2013 გვ 239

²¹⁶ Hans heinrich jesceck, Thomas weigend 1996 გვ 638

საუბარი რადგან ამ დროს უმოქმედობა არის დამთავრებული დანაშაული. აქედან გამომდინარე პირი რომელიც დახმარებას არ გაუწევს სხვას, ანუ ჩაიდენს დაუხმარებლობას, აქ მცდელობის არსებობა გერმანელმა სამართალშემოქმედმა სამართლიანად არ ჩათვალა.²¹⁷

„ალტერნატიული თეორია“ არის ის თეორია რომელიც გერმანულ სისხლის სამართალში უმოქმედობით ჩადენილ დელიქტებში მცდელობის დაწყების შესაძლებლობას ყველაზე კარგად განსაზღვრავს. ეს თეორია ახასიათებს ქმედებაზე ბატონობა ან კიდევ საფრთხის არსებობა.

გერმანიის სისხლის სამართლის მეცნიერება ამბობს რომ წმინდა უმოქმედობის დელიქტები ხშირად უვარგისი მცდელობის ინსტიტუტს ითვალისწინებს, თუმცა ეს რათქმაუნდა არ გამორიცხავს ვარგისი მცდელობის არსებობას, თუ დანაშაულის შემადგენლობა ითვალისწინებს შედეგის დადგომის შესაძლებლობას აქ შესაძლებელია იყოს ვარგისი მცდელობა.

დასკვნა

ზემო აღნიშნულ ნაშრომში ჩატარებულია კვლევა რომელმაც დანაშაულის მცდელობის შესახებ აქტიურ და პრობლემურ საკითხებზე გააკეთა აქცენტი. კონკრეტულ თემებთან მიმართებით ჩამოყალიბდა ახლებური შეხედულებები და გაზიარებული იქნა უცხო ქვეყნის პრაქტიკა.

²¹⁷ ლ.ხარანაული 2013 გვ 243

დანაშაულის მცდელობის ცნების ჩამოსაყალიბებლად ნაშრომში განხილულია მცდელობის ინსტიტუტის ისტორიული წარმომავლობა როგორც ქართულ ასევე გერმანულ კანონმდებლობაში. კვლევა ეფუძნება არამართო თეორიულ საკითხებს არამედ სასამართლო პრაქტიკასაც. თეორიული თვალსაზრისით ქართულ კანონმდებლობაში „ობიექტური თეორია“ იყო ყველაზე მისაღები, ხოლო დროთა განმავლობაში სამართლის მეცნიერების დიდმა ნაწილმა მხარი დაუჭირა დანაშაულის მცდელობის ცნების განსაზღვრად დანაშაულის მცდელობის „შერეულ თეორიას“. ეს განაპირობა იმან რომ მხოლოდ ობიექტური ან მხოლოდ სუბიექტური თეორიები არ კმარა მცდელობის ბუნების გასარკვევად და საჭიროა ორივე ერთად იქნეს გამოყენებული. ობიექტური თეორიისთვის კონკრეტული საფრთხის შექმნა უკვე დასჯადობის საფუძველია. მაგრამ თუ გვეჩვენა უვარგისი მცდელობა აქ კონკრეტული საფრთხე არ არსებობს, რაც დასჯადობის საფუძველს აუქმებს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკის გამოყენებამ ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის დასაბუთების საკითხში მოგვცა. ნაშრომი ამ საკითხთან მიმართებით იზიარებს მხოლოდ იმ მეცნიერთა აზრს რომლებიც არ ემხრობიან ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობა, ამის საფუძველს კვლევაში მოყვანილია საფრთხის შემქმნელი დელიქტების არსებობა ქართულ კანონმდებლობაში. ევენტუალური განზრახვა დანაშაულის მცდელობის სუბიექტური მხარეა, როდესაც ამ თემას ვიკვლევდით ჩამოგვიყალიბდა აზრი რომ არ არსებობს ევენტუალური განზრახვით მცდელობის დასჯის აუცილებლობა. ხოლო სასამართლო პრაქტიკის მაგალითებმა რომლების მოვიყვანეთ კვლევაში არამართო დანაშაულის მცდელობისას აარიდა ევენტუალური განზრახვით კვალიფიკაციას თავი არამედ დაუსრულებელ დანაშაულშიც კი ერიდება ირიბ განზრახვას სასამართლო პრაქტიკა.

ნაშრომში ჩატარებული კვლევის მთავარი მიზანია დაადგინოს დანაშაულის მცდელობის არსი, ამიტომ შესაძლებლობისა და საფრთხის კატეგორიის გამოყენებას მხარს ვუჭერთ და ეს ხელს შეუწყობს სისხლის სამართლის სხვა ინსტიტუტებთან ნორმალურ კავშირს.

კვლევაში განხილულია დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის საკითხი და მისაღები ვარიანტი დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობასთან დაკავშირებით ობიექტური თეორია გახდა. ზუსტად ობიექტური თეორია განსაზღვრავს როდის სრულდება დაუმთავრებელ დანაშაულში მომზადება და იწყება მცდელობა. მიუხედავად იმისა რომ ჩვენი თემა მხოლოდ დანაშაულის მცდელობას ეხება, მცდელობასთან დაკავშირებით ასევე ძალიან პრობლემური და აქტუალური საკითხია დაუმთავრებელი დანაშაულის მომზადების და მცდელობის გამიჯვნის საკითხი. ობიექტური თეორია ქმედებას მცდელობად რომ ათვისებს ამისთვის უამრავ კრიტერიუმს ითვალისწინებს, ობიექტურ მასშტაბებს, საფრთხეს და შესაძლებლობას. დასჯადობის საკითხის უკეთ ჩამოყალიბებისათვის კვლევაში მოყვანილია არაერთი თეორია, ასევე

ნაშრომში განხილულია დანაშაულის მცდელობის დასჯადობა და მცდელობის დასჯადობა უმოქმედობის დელიქტებში. აქ ვემხრობით ალტერნატიულ თეორიას. დასჯადობის საკითხში ყურადსაღებია ის ფაქტი რომ , თუ დანაშაულის მომზადება რომელიმე ქვეყანაში არ ისჯება ამ შემთხვევაში მთელი დაუსჯელობის მთელი ინსტიტუტი მცდელობაზე გადმოდის.

ნაშრომში ასევე განხილულია უვარგისი მცდელობა, უვარგისი მცდელობისას არ არსებობს კონკრეტული საფრთხე. აქედან გამომდინარე უვარგისი მცდელობის დასჯადობაზე ქართულმა კანონმდებლობამ უარი უნდა თქვას.

ნაშრომის ბოლო თავში ერთ-ერთი საკითხია დანაშაულის მცდელობაში თანამონაწილეობა. კვლევამ აჩვენა რომ ამ საკითხში მისარებია „ფორმალურ-ობიექტური“ თეორია თუმცა მეტად გასათვალისწინებელი და დამკვიდრებულია „ქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობის თეორია“ ეს თეორია ქართულ სამართალში შუალობითი ამსრულებლობის მცდელობის საკითხისთვისაც გამოიყენება.

გერმანულ სისხლის სამართალში დანაშაულის მცდელობის ცნების ჩამოყალიბებისას არაერთი თეორია იჩენს თავს, თავდაპირველად გერმანულ სამართალში „კლასიკური თეორია“ დომინირებდა შემდეგ „ობიექტური თეორია“ წამოიჭრა და ლიდერობდა და ამის პარალელურად „სუბიექტური თეორიების“ მიმდევრებმა თავიანთი პოზიცია ჩამოაყალიბეს სუბიექტური თეორიის შესახებ და საბოლოოდ გერმანულ სამართალში დრესდლეობის შერეული თეორიები გახდა დომინანტი. საბოლოოდ დასკვნა ამ საკითხთან მიმართებით ის არის რომ ქართულ და გერმანულ სისხლის სამართალში მცდელობის ცნების ჩამოსაყალიბებლად საბოლოოდ შერეული თეორია დამკვიდრდა.

გერმანელი სამართლის მეცნიერები სუბიექტური შემადგენლობის ნაკლებობას უსვამენ ხაზს, კერძოდ ისინი განზრახვას ყოფენ არასრულ და სრულ განზრახვად. გერმანულ კანონმდებლობაში მცდელობის სუბიექტური მხარე დამთავრებული დანაშაულის სუბიექტურ მხარეს შეესაბამება, და დამთავრებულ და დაუმთავრებელ დანაშაულებს შორის განსხვავება მხოლოდ ობიექტურ კრიტერიუმებშია.

გერმანულ კანონმდებლობაში მცდელობის ცნება დაუმთავრებელ მცდელობაზე ამახვილებს ყურადღებას.

გერმანულ სამართალში უვარგისი მცდელობის დასჯადობის საკითხი მოსამართლის უფლებამოსილებაა, ის ან მსუბუქად სჯის დამნაშავეს ან საერთოდ უხსნის სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას.

გამოყენებული ლიტერატურა

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
- „დანაშაული მცდელობა და ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის ჩადენაზე“ ჟურნალი „სამართალი“, N 3-4, 1991 წ.
- გ. ნაჭყებია ი.დვალიძე სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, 2007 თბილისი
- ო.გამყრელიძე სისხლის სამართლის პრობლემები, 2013, თბილისი,
- გამყრელიძე ო. 2006. დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობის საკითხისათვის. სისხლის სამართლის თანამედროვე პრობლემები. თბილისი, მერიდიანი.
- გამყრელიძე ო. 2008. დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. თბილისი, მერიდიანი
- გამყრელიძე ო. 1974. დანაშაულში შუალობით ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა. თბილისი, მეცნიერება
- თ. წერეთელი დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბილისი, 1961
- ე. მჭედლიძევილი-ჰედრიხი სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი 2, დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები თბილისი, 2011
- თ.დონჯაშვილი საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი 2002
- ო, გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბილისი, 2008
- მ. ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2007
- ლ.ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაული 2013 თბილისი
- ფურცხვანიძე ბ. საბჭოთა სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი თბილისი: თბილისის უნივერსიტეტი. 1971.
- ი. დვალიძე, ავტორთა კოლექტივი სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი
- სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, მეორე გამოცემა, თბილისი 2016,

- მ. ლეკვეიშვილი სისხლის სამართლის კერძო ნაწილი თბილისი 2011 მეოთხე გამოცემა.
- იურისტი ულპიანე ჩვ. ნ-მდე 2-3 სს მოღვაწეობდა.
- წერეთელი თ. 2007. დანაშაულის მომზადება და მცდელობა, სისხლის სამართლის პრობლემები, ტ.1. თბილისი, მერიდიანი.
- ო.გამყრელიძე, „ცხოვრება და კანონი“ 2011
- თ.ცქიტიშვილი „სამართლის უკრნალი“ # 1 2012
- დ. სულაქველიძე თბილისი 1992
- ციპელიუსი რ. 2006. იურიდიული მეთოდების მოძღვრება, სამართლის ნორმების აგებულება და ურთიერთკავშირი, მთარგ. ლევან თოთლაძე. მიუნხენი, ბესიკის გამომცემლობა.
- გ. მამულაშვილი თბილისი 2011 კერძო ნაწილი
- ნ. თოდუა ., წიგნში: სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, რედ : ნაჭყებია გ., დვალიძე ი., თბილისი, 2007
- გ. მამულაშვილი., წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ტომი 1 , რედ., მამულაშვილი გ., თბილისი, 2011
- მ. ტურავა ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-7 გამოცემა, თბილისი, 2008
- ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა მე-9 გამოცემა, თბილისი , 2013
- თოდუა ნ. 2014. დანაშაულის მომზადება, მცდელობა და მათი მნიშვნელობა დანაშაულის აღმსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნის საკითხში. მართლმსაჯულების ხმა, N 3.
- ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, მესამე გამოცემა , თბილისი 2018
- თ.გვეგელია დაუმთავრებელი დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები, თბილისი, 2018
- მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ, დანაშაულის მომზადების დასჯადობა ქართულ სისხლის სამართალში დანაშაულის

მცდელობის შესახებ გერმანული მოძღვრების
გათვალისწინებით სისხლის სამართლის სამეცნიერო
სიმპოზიუმის კრებულში : სისხლის სამართლის ემცნიერება
ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში პირველი
გამოცემა , რედ. ტურავა მ, 2013

- ვ. მაყაშვილი ევენტუალური განზრახვის საკითხავისთვის
„საბჭოთა სამართალი“ 1965 #4
- დ. სულაქველიძე დანაშაულის მცდელობა და
ნებაყოფილობით ხელის აღება დანაშაულის ჩადენაზე,
ჟურნალში „სამართალი“ #3-4, 1991
- უგრეხელიძე მ. 1982. ბრალი საფრთხის დელიქტებში.
თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობა
- ლ. კუხიანიძე დანაშაულებრივი უმოქმედობის დოგმატური
ასპექტები
- გივიტაშვილი ნ. 1997. ევენტუალური განზრახვის პრობლემა
სისხლის სამართალში, სამართალი N11-12.
- კ. წიქარიშვილი 2008. ევენტუალური განზრახვა თანამედროვე
დასავლეთევროპულ და ამერიკულ სისხლის სამართალში,
მართლმსაჯულება N3
- სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის
დადგენილება N9.1963. საბჭოთა სამართალი
- სუზს-ის N33აპ-18 განაჩენი, 21 მაისი 2018; სუზს-ის N227აპ-16
განაჩენი, 29 სექტემბერი 2016; სუზს-ის N64აპ-18 განაჩენი. 29
ივნისი 2018
- სუზს განჩინება N370-აპ. 15 ნოემბერი 2005.
- კრებული: საქართველოს უზენაესი სასამართლოს
გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2010 წლის
11/01 განჩინება #3

- თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი. 26 მარტი 2014. და .1 აგვისტო 2014. განაჩენი; სუზს N209 აპ განჩინება. 21 ივნისი 2006
- *Duff R.A. 1996*
- *ნ. ჯერმანოვი*
- *Vesels/ boilke*
- *ЛяссН. В.1952*
- *Maurach 1989*
- *Rath Jus 1998*
- *Papageorgious-Gonatas 1988*
- *Heinrich 2012*
- *Fischer 2012*
- *Pahlke 1993*
- *Entwurf eines Strafgesetzbuches (1962)*
- *Herzberg, 1996*
- *Leipziger Kommentar (2007)*
- *Entscheidungen des bundesgerichtshofes in strafsachen 7*
- *Hans heinrich jesceck, Thomas weigend 1996*